

საქართველო
საგარეო საზღვარების
სამსახური

ფ. 1 - 364

30-პანკო-65

George KIPIANI

Œuvres Poétiques

1930 — PARIS — 1965

კიბორჩხის ყიფიახი



ლექსები




1930 პერიოდი 1965




1930-1965

ԿԵՆ-ԿԵՆ

ԿԵՆ - ԿԵՆ
 ԵՐԵՎԱՆԻ ՅԵՐԵՎԱՆ,
 ԶԵՆԻՍ
 ԵՐԵՎԱՆԻ ԵՐԵՎԱՆԻ ԲՅՈՒՆԻ,
 ԲՅՈՒՆ
 ԶԵՆԻՍ ԵՐԵՎԱՆԻ ԵՐԵՎԱՆ,
 ԶԵՆԻՍ - ԶԵՆԻՍ
 ԵՐԵՎԱՆԻ ԵՐԵՎԱՆ,
 ԵՐԵՎԱՆԻ ԵՐԵՎԱՆ
 ԵՐԵՎԱՆԻ ԵՐԵՎԱՆ,
 ԶԵՆԻՍ
 ԶԵՆԻՍԻՆ ԶԵՆԻՍԻՆ,
 ԶԵՆԻՍ - ԶԵՆԻՍ
 ԵՐԵՎԱՆԻ ԵՐԵՎԱՆԻ
 ԵՐԵՎԱՆԻ ԵՐԵՎԱՆ
 ԶԵՆԻՍ ԵՐԵՎԱՆԻ


 ԵՐԵՎԱՆ



უცხო ზორეთში

უცხო ზორეთში
სიყვარულის მზრდიდა ყვაველი,
მიწის სიმწიფით
პზის სხივებში ამოყვანილი;
სიტყვის განგება
განთიადის გზით მოინათლა,
შაირში ნათქვამს
ვეზიდები კალმის კივილით.
დილიდან როცა
გარიჟრაჟი შორს ეამიტაკებს,
მოვისმენ ლოცვებს,
განაოცებს შენი სიტურფით;
მოვდივარ გზაზე
პოეზიით დაღლილი მგზავრი,
უძილო ბავშვი,
შენ მშვენებსა შეყვარებული,
როგორც ზელურა
გალახული ტყის ქარიშხალში.
ჩემი სიცოცხლე
ხან-მოკლეა, მოვკვდები გზაში.

ვერ დამიბრუნებს
შენ მშვენებას დროების წინ-სვლა!
რა სიამეა
პოეზიის სიმარტოეში!
ალარც მზეს უნდა
შემითვისოს და ალარც მიწას,
ვარ გარჩენილი
შემოდგომის ყვითელ რტოებში
და ბრუნავს... ბრუნავს
მგლოვიარე შავი ფოთლები.
ველარ გეხები
საკოცნელად ჩემო ლამაზო!
ვიცი, ჭალარა
ყინვის ხელით შემომეხვევი,
რომ სიკვდილიდან
კვლავ სიცოცხლე შემომთავაზო.

1960 წ.

თბილისი

1500 წლის თავზე

საიუბილეო მიმართვა უცხოეთიდან

დედაო მიწის ქალაქო დედა!
ათასხუთასჯერ იბრუნე წელი!
ვილაც საწყალი სიტყვას გიბედავ,
მსურს რომ სიცოცხლით იყო დღეგრძელი.

უცხო ზეცის ქვეშ ჩვენ ვიყინებით,
ნინოს სატახტო თბილისო თბილო!
ლექსებს დავკაწრავ გულის ფრჩხილებით
გრძნობებს სიმართლე რომ ვათქმევინო.

შენ ნაკურთხი ხარ წმინდანის ჯგრიდან,
ჯვარმა საყდარში ლოცვით იხარა!
უცხო ქვეყნიდან გულ-დაგლეჯილმა
მსურს შემოგძახო ომაზიანად:

ჰაუ... თბილისო, ციხე-ქალაქო!
წლები გიქსოვს ცეცხლიან ამბებს,
რომ გორდა ხმლებმა გაინავარდონ...
სად გყავს ერეკლე ან სააკაძე?

შემოგვიბუარავს ეს საუკუნე
ყვითელ ჩონჩხებად ვადმოტეხილი!
ჩრდილოს ჩრდილები ისე გაწუხებს,
როგორც სულთანის მძიმე მახვილი!

შორიდან გიცქურს მოხუცი მცხეთა
და ვაზის ჯვარი მაგრად დაუგული.
სარკოფაგი ხარ ქართველ მეფეთა,
ბრძოლის ქარცეცხლით შემოქარგული!

დაბადებიდან თამარ დედოფალს
დედობდა ალბათ შენი სახელი,
პატარა კახმა რომ შეგინახა,
მიწა ქართველთა სისხლით ნადენი!

დღესაც მიუძღვის გზებს განასწავლებს
ილიას სისხლი, აკაკის ცრემლი!
გეძახის ქალაქს ახლად ნაწამებს
პავლო, ტიციან და აბაშელი.

გულში ჩაგიკლეს ბედი ქართლისა,
დუღუნებს მტკვარი, ნერვებ-აშლილი,
გაფრენილ მერანს ღრუბლებში სძინავს,
ტირის, რომ არ ჰყავს ბარათაშვილი!

ზრდი პოეტების მებრძოლთა ლაშქარს,
ხარ საქართველოს სიტყვა კაზმული!
შოთას სამშობლოვ! დიდება! ვაშა!
დარჩები მუღამ წელგამართული!

ჩვენ კი, თბილისო! შენი შვილები
შენი იმედით, შენი უფლებით
წლებებს მოგიქსოვთ მანდ სამაისოს
და მზის სიცილში დავიღუპებით.

თბილისის ღამეს ხშირად ხევეია
ხმა სისხლიანი, დროთა მუქარა.
ძვლები წაიღეს, მაგრამ გული კი,
გული ვერავინ გამოუთხარა.

პრეზიდენტის დასაფლავება

1868 — 1958

არც ერთი გვირგვინი! არც ერთი სიტყვა!
უცხოეთს ჰყინავს ცრემლის სიცივე!
დასრულდა წიღვა, გაიღო კარი,
კუბოს ეხვევა სამფერი ღრღინა,
ვით განწირული ბედის აკვანი.

აქ განისვენებს ქალარა მკრთალი,
საქმე მართალი და ისტორია;
დავითის ხმალი, თამარის კუბო
მიწას რომ სიმწრით აუწონია!

დრო დროს ედრება... სულთ სწორია
ქართლის ცხოვრება ძვლებით ნახნავი,
მიჰყვება მსხვერპლი დაჩაგრულ ქვეყნის
წლებს აჩეხილს წითელი ხმალით.

სოლომონ მეფე, თეიმურაზი,
დღეს დიდი ნოეს ქალარა სახე,
ჯვარზე გაკრული კოტე აფხაზი,
ტყვიით უკვდავი ილიას საქმე!

რამდენი ერთი, წამებით, ღმერთი,
იშვილა მიწამ განწირულ ბედის
აგვისტოს ღამე, კრწანისის ველი!
ქრილზე ქრილობა, ახალი, ძველი!

და ეს საფლავიც გულშემზარავი,
გადახიზნული ბრძოლების ბინა,
ცრემლებში ძირავს განწირულ წლებს,
სიცოცხლეს ახშობს მსოფლიო ყინვა!

მითხარ, სადა ხარ კაცობრიობავ?!
სად არის რწმენა, მართალთ თვისება?!
ჩამოდის სისხლი მზის სხეულიდან,
როცა ძალა სძლევს ქვეყნის ღირსებას.

შენ გევედრები უცხო სამარეს,
მასპინძელს გულით საკაცობრიოს.
ბედი ქართლისა სხეულს გაბარებს,
რომ დაუბრუნო თბილისის ღამეს.

შენგან სიამე ბევრი ვიგრძენით,
შენ წმინდა სახლში ვისდიდით ლოცვებს;
მტერი ერთია. გზა არაა გრძელი.
დიდო ევროპავ. ასე იცოდე:

არ არის ბერწი ქართული მიწა,
დატრიალდება ახალი ღერძი;
ბრძოლების ძეგლის თვით კუბოს ფიცარს
გულში ჩაიკრავს ქართლის ანდერძი.

დღეს კი...

არც ერთი გვირგვინი! არც ერთი სიტყვა!
უცხოეთს ჰყინავს ცრემლის სიცივე!
დასრულდა წირვა, გაიღო კარი.
კუბოს ეხვევა სამფური დროშა,
ვით განწირული ბედის აკვანი!

1953 წ. პარიზი.

ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს

ეროვნული გმირის ხსოვნას

თამარის ბაღში ტაძარი იწვიას,
ვეშაპს წმინდანი დაუძლევეია!
შენი სახელი სამშობლოს ფიცის
გაუტეხელი ოქროს ხმალია!

ამა ქვეყნიდან ბევრნი წავიდნენ,
რამდენჯერ დილამ ფერი იცვალა!
მკვდარიც ბრუნდება გამაჯგევიდან,
თუ კი სამშობლო ბაძოლით იწამა.

ბევრი რამ დარჩა გაუგებარი,
დიდო რაინდო პატარა ქვეყნის!
შემუსევია მუხას მკბენარი,
ცა იმუქრება ახალი სეტყვით.

გუშინ ვრიგალმა გადაიარა,
თბილისმა იერძნო პარიზის მსხვერპლი,
დღეს ქარიშხალი სინჯავს იარაღს
და განთიადი შენ სახელს ელის!



მკვლევებს ზეცაში გადაეღობნენ
სიკვდილის შვილნი, ჩვენი გმირები:
„თამარ პირველი“, „თამარ მეორე“,
შენი ქაილობით გამოზრდილები.

როგორც მტრის ხელით მომიზნულ ირემს
გული გიცემდა მართალ ოცნებით!
მამათა მიწას შენ შეეწირე
შვილის რაინდულ პატიოსნებით.

ვინ შეიბრალებს დღეებს დამსხვრეულს,
მზეზე დარდები თუ არ გადიწვა,
მკერდში ჩაიკრავს შენ წმინდა პხეულს
დიდი ერეკლეს აღმზრდელი მიწა.

ხალხს რომ შეეძლოს ბედის ძიება,
თავისუფლების ცეცხლის სამოსში
ვაქვს ცრემლებით დაგიტირებდა
ნუკრი უწყინარ საქართველოსი.

პატივი. 1944 წ.

მარიამ დედოფალს

(გარდაცვალებიდან ასი წლის თავზე)

დედა უფალი

ხარ დედოფალი,
წმინდანის ხმალით ქრისტეს ჯვარიდან
ცრემლების ჯარით გამოწნათალი,
საქმე მართალი,
მეფეთ გვარიდან.

მძიმე უღელი,

ბრძოლით უხრელი,
ნაზი მუხლებით ზიდე ბოლომდე,
სანამ ბოროტი

წმინდა საწოლთან
ხანჯლით გასწორდა დაუნდობელი,
იყო რომელი...

თუ არა იგი,
მეფეთა რიგი ვინც შეიწირა, —
მოგესმა წირვა ზეციურ მხვედრის
ერეკლეს ხმები

როგორც ვეფხები
მიწის შეხებით მთებს გადმოეშვა.

თამარის ეშხმა გაკოცა შუბლზე
და მთვარის შუქზე
ასპინძის მიწამ
კვლავ დაიფიცა ბაგრატიონზე.
შემოგსევია შავი ლანდები,
მძიმე ბრალდებით
გისინჯავს კუნთებს
ნაძალადები,
დგას ლაზარევი
და გზა ნარევი, სისხლი სდის გულზე.
დედა უფალი

ხარ დედოფალი!
წმინდანის ხმალით ქრისტეს ჯვარიდან
ცრემლების ჯარით გამონათალი,
საქმე მართალი, მეფეთ გვარიდან!

1950 წ. პარიზი.

მზებანი გზებჯორს

ქართული საქმის მბრწყინავ ხელოვანს,
სამშობლო ქვეყნის დიდ მოქანდაკეს
ვაბარებთ მიწას. მიწაც ვურ ზიდავს
სახელს, გამოზრდილს თბილისის მზიდან.

ბრძოლების გზიდან მზე გადავარდა,
ია და ვარდმა შემოსა კუბო,
ხმა საუკუნოდ, ხმა მკრელმეტყველი.
დროთა კიდილში ველარ საუბრობს.

სამფერ დროშებში აზხვედი ზარებს,
ზარებს მღელვარეს თამარის ხნიდან,
ციური ლოცვა სამშობლო ქვეყნის
სიონის სხივებს რომ მოესმინა!

ნოეს გაპყევი, საქმით ერთგული
შეთლღებული, უწყინარ ბედით
ცეცხლით დამწვარი და ანთებული
ახალ ბრძოლების წინამორსედი.

აწ ვანისვენე მზის სანაპიროს;
იყავი ლმობი, ბრძოლებით კრწტი. —
ჩაპყვა საფლავში უხეშ ლიტვინოვს
ჯიქურ დაკრული ქართული მუშტი.

იქნების ვიყავ პატარა ბიჭი,
ვეჭიდებოდი მე უხრელ მუხას,
უკვდავი ნიჭით დიდო დესპანო,
შენ შეეუღლე თვით საბა სულხანს.

ვერ დაგიტირებს სიმართლის ტრფობა,
ქართული ტანჯვის ჯვარზე ატანა!
რადგან განაგებს კაცობრიობას
„სამი ლიდი“ და ერთი სატანა!

მხოლოდ შორს... იქით, ცის დასავალში
თბილისს რომ სევდით აღელვებს მტკვარი,
კვლავ ატირდება ისე ვით ბავშვი
წითელ სხეულზე მზე გადამწვარი.

რამდენი კუბო მხრებით ავწიეთ,
რამდენჯერ ბედმა გვიმუხტოლა კიდევ!
ისევ ვიმარჯვებთ დროებს აწინდელს,
თუ ცრემლთა ზღვაში არ გავიყინეთ!

დრო გადაივლის, დრო გვატრიალებს,
სურათი მძიმე უდროო ჯვარცმის!
სახელი თქვენი — მემატინანე,
სამარე — სიედა ქართული ტანჯვის.

1954. პარიზი

ღამუვიღობება

გრიგოლ გიხილე წმინდა მამებში,
ქართული სიტყვის დიდი გენია!
შენი გრძნობები დამწვარ ღამეში
ნაკვერჩხლებივით იყურებიან.

ქვეყნის მზიური ზიდვა იყავი,
შემოსალტული სიბრძნის მკლავებით,
სიყვარულის და აზრის მყინვარი,
ლეგენდარული კილოკავებით.

დაუნდობლობამ შენ არ დავინდო,
რადგან მზესავით იყავი სრული;
დადუმებულა. ცრემლსაც არ ინდობს
წითელ ხაზოში „ჩაკლული სული“.

გადმოიხედა პაოლოს ხვედრმა,
სისხლის ცრემლებით ტირის ტიციან,
ტკივილით კვენესის თბილისი დედა,
მოხუც მთა წმიდის მართალ მიწიდან.

იკონებს ბერლინს, იკონებს პარიზს,
„მალშტრემი“, „ლონდას“, „ლონდა“, „ლამარას“
კუბოს ყვავილთა გვირგვინი აზის,
ვით ფიროსმანის ფერთა კამარა.

საფლავს ეხვევა დამე მავრული,
მიწას დაკრული ველარ ვზორდები,
ხმა უცხოეთის ჯვარზე გაკრული, —
შაირის სიტყვით გემშვიდობები.

მთის მწვერვალებში მზე რომ ჩაჯდება,
რჩეულთა შორის სიციცხლე დავობს,
მარადისობამ გყო, გამარჯვება,
შენ, შოთას შემდეგ, ჩემო წმინდანო!

1962. პარიზი.

უკანაგველი

საქართველი

უკანასკნელ წუთამდე

როცა მზე ირაზმება
სხივთა მილიონებით,
ვული მთებზე აგორე,
სიტყვა კვლავ გამაგონე
ფერთა ალამაზების.

მზის სხივების ნახნავეში
ცრემლს რომ ჩამოწურავენ,
არ ივიწყო, იცოდე,
კალამი და სიცოცხლე
უკანასკნელ წუთამდე.

საუკუნე გაგწირავს
წელთა საწვრილმანოში,
არ გპირდება ნუგეში,
სული წმინდა გახედნე
ლექსთა საჯირითოში.

მარტო დარჩე უღელში
სასიკვდილოდ სუნთქავდე,
არ ივიწყო, იცოდე,
კალამი და სიცოცხლე
უკანასკნელ წუთამდე.

სიყვარული გაგწირავს,
ქალი ქარებს გაჰყვება.
ქარი წარმავალია,
სულის საპყრობილეში
ჩემად ჩამოლამდება.

ხალხი სულთა მხუთავი
მკვდარსაც არ შეგიცოდებს!
არ ივიწყო, იცოდე.
კალამი და სიცოცხლე
უკანასკნელ წუთამდე.

უცებ ზეცა გაიხსნა,
პოეზია მზიური,
პარნასი და მთაწმინდა
გეძახიან ერთი ხმით,
ერთად შეუღლებული:

კრემლი ქვეყნის შხამია!
არ ივიწყო, იცოდე.
სულის თანამგზავრია
კალამი და სიცოცხლე
უკანასკნელ წუთამდე.

1959. პარიზი.

დავიმადლებთ

დავიმადლებთ,
 მადლობელი ვიქნები,
 დავიმადლებთ,
 გადაგიხდით მადლობას.
 მადლი ჩემი
 ლოცვანია ფიქრების.
 ლოცვა ჩემი
 გულზე შემოგემკობათ.
 ჩვენ, პოეტებს
 არ გეჩვევია თავდახრა!
 სხივებს გვესერის
 განთიადის რაინდი;
 თუ კი მე მზემ
 დამაჩოქა, გამლახა,
 უმზეუროს
 სიცოცხლეს კი არ მინდა.
 ჰომეროსი,
 დანტე, ომარ ხაიამ;
 თქვენსკენ მოდის
 ვინც ამ ქვეყნად მოვიდა.
 გადახადეთ
 საუკოფაგებს თავები,
 წამოდექით
 დროთა უკვდავებიდან.

მონასტერი
 სათნო ქართულ ჯვარისა,
 შორეულში
 შორით გულდათალხული,
 ვეფხის ტყავზე
 სიტყვა გამარჯვებისა,
 გეგებებით
 რუსთაველის მსახური.
 სიყვარული
 ჩვენ არასდროს გვეყოფა,
 ასაწონი არ არსებობს სასწორი;
 უსაზღვროა
 სიყვარულის მეფობა
 ცის და მიწის
 გამოუცნობ საწოლში;
 გულს მოგიძღვნით
 სიყვარულით ანაჩევს;
 მომივლია
 ზეცა, ზღვები, ხმელეთი,
 სიყვარული
 ღმერთსაც კი გადაარჩენს.
 პოეტებო
 მთელი ქვეყნის, შეერთდით!

სირ-დე-მელო. 1964 წ.

ზამთარი

მიყვარს მე ზამთარი, თოვლით ათენთილი,
სიწმინდის ნათელი,
და ფიფქი მართალი,
სამყარო ნათალი,
სოფლისა სიჩუმით.
მიჯნური ფერ-მკრთალი გაყინულ საბანში,
ხორკლიან ყინვების კანკალა კრიალი,
მდინარე ვერცხლებში
მალული ყმაწვილი.
მხრებ-თეთრა აწვივი,
კლდეების ნაწილი,
ციური მანძილით მიწაზე დახრილი.
დაგუნდულ გუნდების დაღლილი მკლავები,
ყინვები ნალესი,
დაკიდულ ხანჯლებად,
სოფლისა დარაჯად
მთები თეთრ-ფარაჯა,
ფორაჯა ფერებით ქოხები გაჯრილი.
ღრუბლები ნაჯიჯგნი ქარ-ბუქის ძახილით,
გლეხი და მარხილი,
ორ-ღობის ბუნება,
მთებიდან ბრუნება.

ახვეტილ ქარების,
გაყინულ თვალეზში ჩამჯდარი ბუხაჩი.
მიყვარს მე ზამთარი ზღაპრებში მძინარე,
ჭინკების მდინარე,
ლამიდან ლამეში,
ბაგაში კამეჩი,
ცოხნა და ხრამუნი,
შუა ცეცხლის ხმაური ანთებულ ჯირკვებზე
გარეთ კი მოხუცი, ქალარა კითხვები,
ციური მითები
და ხმა: ბაგა-ბუგი,
ფრთებ-თეთრა პეპლების
ქარბუჭი, ქაოსი,
თოვლით ნამოსი: მთა, ტყე და ქოხები.

საიდან სად

ვის გავეხიზნე, ვის შევეხიზნე,
რად მოვეკიდე წარსულს, მომავალს!
სამყარო, ცივი დედინაცვალი,
თვალში ნაცარი! და ცისკენ კიბე!

ჯვარზე ხვირჯინი გადავიკიდე
და პურს დამტვრეულს ცრემლით ვასველებ;
გულის დანგრეულ სამლოცველოში
მე არ მასვენებს ლექსი და ჭრისტე!

სიზმრებით ნაფენ საბანში მძინავს,
ზარები რეკენ, ზარები მრუში;
ვერ გამაღვიძებს მე პოეზია,
მზე პოეზია თვით მიზის გულში.

ქრელი ქინკების დასრულდა წირვა,
ღრუბლების ძირას საფლავი თეთრი,
დაკარგულ გზიდან ყვავილებს ვზიდავ,
ვარ შებრალება უწყინარ ღმერთის.

დაღლილ ღრუბლებში ჩამჯდაა მთვარე,
შემოსევია ათასი მტრედი;
დაღერდილია ყოველი ღამე
შავ კუბოების დამწვარი მტვერით.

ორი ლამე

ორი ლამე მოდიოდა პირ-ქუშა,
ორი ლამე დაღუნული კბილებით,
ქარიშხალი შუა ჩადგა, იმრუშა,
რომ სიშავის დაეთხარა ძირები.

დააყარა მესი, გრვეინვა, გრიგალი,
ორი ლამე ღრიალებდა, ღელავდა,
ქარიშხალი სილამაზის ნიღაბით,
ცაზე ცეცხლის ყვავილებით ელავდა.

შავი სისხლის დაადინა წვიმები,
განთიადმა იარაღი იცვალა,
ქარიშხალი დარჩა განაწბილები, —
ორ ლამესთან ისიც ვარდაიცვალა.

1945 წ. პარიზი.

გაჯაფხული

თვალებს მოაქვს სიხარული,
გარიერაჲ თეთრი ვაჟის,
ლურჯი კაბა, ცის სამოსი,
დედოფალი სილამაზის.

ყვავილთ ფურჩქენას მზე განაგებს,
კვირტი გაშლილ კაბას იცვამს,
კოცნის მიწას გლეხის თოხი,
თეთრი ოფლი შრომას იცავს.

მერცხლის ჯარი უკუმოდის,
ოდის კუთხე ბუდეს აგებს,
ჩიტი მარცვლებს ეზიდება,
გლეხის შრომით ნაამაგებს.

ყანას ფარცხავს ფარცხის ეტლი,
იკეცება შავი ბელტი,
მზის ნაჭვრეტი თესლებს თესავს
ღვთიურ კალთით დანაბერტყი.

რომ გამრავლდეს მეტის მეტი
მწვანე ხვეენა, ვით ხავერდი;
მიწამ შესევა მზის სიცილი,
ცას შესძახა ალავერდი!

სიყვარულმა გახსნა მკერდი,
ყვავილებმა იწყეს ქარგვა,
ფაფართეთრა ყინვის რაში
მზის სხივებში გადიკარგა.

ერთი მარცვალი

ერთი მარცვალი ლექსის —
ერთი მარცვალი პური.
როგორც მარცვალი თვალი —
ყვავილთა თაიგული.

იზრდება ერთი ათად
სიუხვე სიტყვა გულის,
თესავს სიცოცხლეს მართალს
მარცვალი სიყვარულის.

გადაამრავლებ მარცვლებს,
ერთია ასის მქმნელი,
როგორც სიცოცხლის ყანა
მომავლის შემომქმედი.

და შენც უზიხარ ფიჭრებს,
მარცვლავ ვარსკვლავებს ცაზე,
ჯგუფს დაინახავ ერთად,
კვლავ შეჩერდები ასზე.

მზე ცხელ მარცვლებად იწვის,
მზე სიმწვანეში ნაზი,
მთელი სიმძიმე მიწის
მარცვალს წერტილად აზის.

გიუს მეძახიან

გიუს მეძახიან, მზეს ველი მზიდან,
გულს სიყვარული აკრავს უკლებლად;
ვიუს მეძახიან, რწმენა რომ ზიდა
კან-გადამძვრალმა ჩემმა მუხლებმა.

მინდა ჯოჯოხეთს შევლო კარი,
შევეხო დასჯილ სულთა სამოსელს,
ეკლესიიდან ეკლების ჯარი
დამედევნება უცოდველ მლოცველს.

დე ვიყო გიჟი! ჰაერს ხმა მივცე,
ქრელ კუდიანებს ჩალაზე ვწვავდე,
მინდა, რომ მიწა ერთგულად იქცეს
პორიზონტიდან პორიზონტამდე.

გიუს მეძახიან, რომ მეშინია
წითელი ფერის, გარეთ და შიგნით,
მუნჯი ფიქრები უფრო ხშირია
და გაკვირვება სახე შეშლილი.

რამდენი ვნახე, რამდენს დაეცილდი,
რამდენ უგულოს კიდევ შევხვდები,
გამაცილებენ უთქმელ დაცინვით,
შეჩერდებიან ჩუმი შერხევით.

ვისი ხმა ისმის გულშემშარავი,
რა გრიგალია კედლებს რომ ებრძვის?
ქვეყანა — ეიხე, ზეტა — დარაჯი.
ვინ მომათავსა ამ ცივ კარავში!

პარიზი. -63 წ.

სასაფლაოდან

ამ ღამით ისევ ამოვა მთვარე,
ცაზე დათესავს ოქროს წიწილებს,
შაბიამანში გადაყრილ ბავშვებს
დაათრობს ფერთა ლურჯი შარბათი.

როგორც გლახისთვის ოქროს მანათი
ანათებს მთვარე სახე ბრჭყვიალა.
ხეებს რად უნდათ ხელში სანათი!
მთები ისხამენ ვერცხლის იარაღს.

კლდეს თავს ახურავს მოხუცი ციხე,
ვით საუკუნე ნეკნებ მტვრეული;
ისე დარაჯობს ღამე თეთრ ფიჭრებს,
როგორც პირველი შეყვარებული.

არწევს სიჩუმე უხორცო სივრცეს,
სძინავს უსაზღვრო იდუმალებას,
მიწა უხილავ სხეულით იჭერს
ცისა და ფიჭვის ფერთა ცვალებას.

ცა, დედამიწა მზისკენ მიიწევს,
შავი და ლურჯი ბრწყინავს სამოსი,
ყვავილთა ყნოსვა საკმევლად იწვის,
სამოთხის წყალში ტალღათა ლოცვით.

ნეტავი ვიყო მე თეთრი ჩონჩხი,
სადმე ლოდის ქვეშ. სასაფლაოზე,
რომ ამ სამყაროს უსიტყვო ქოხში
ცას ვაზარებდე მიწის გამოცდებს.

1952 წ. პარიზი.

წყალ-წაღებული

წყალ წაღებული
წყალს მიჰქონდა,
წყალი წყუროდა,
წყალი წყუროდა
და ამიტომ
იყო საწყალი.

წყალმა წაიღო,
ისე წაიღო,
ვერ აავსო
ვჯლი სარწყავი!

1964. პარიზი.

ძალღუბი

ვყეფავ და ვყეფავ
 და არა მჯერა,
 თუ ძაღლთა შორის
 ხმა განირჩევა.
 ძაღლი მოკვდება,
 სადღაც მოკვდება.
 ყოფნა ძაღლური
 მაინც დარჩება!
 ძაღლი ძველია.
 ის განირჩევა.
 ღრუბლები ღვივის
 გაქვნილილ ჩვრებად.
 მალე დაიწყებს
 წუწკუნს და ტირილს;
 საფლავზე ცრემლის
 ჩუმი შეჩვევა.
 ვიცქერი უკან,
 არცინ არ მრჩება,
 ძაღლს ვაკმევ ლუკმას
 ძაღლური ღუნით
 და როცა მოვკვდი,
 ჩაველ საფლავში,
 ძაღლმა მიმღერა
 ძაღლურ სიმღერით.

ღამე განთიადისკენ

ნაცრის-ფერ სირმით, ნაფერ ტირაუებს,
 თეთრი ტერფები
 ჩაუდგამთ წყალში,
 ისე ვით ბავშვი,
 თამაშობს ლანდი,
 მძინარე ვარდის სურნელეზაში.

წყალზე ღრუბლებმა დასტოვა მთვარე,
 გააღებს თვალებს,
 ღამის ზღაპარი
 და ლურჯსა სივრცეს,
 ცათ გადანაწოლს,
 საწოლს გაუგებს სოფლის ამბავი.

ჭრიჭინის ჭრიალს, ლობიდან ლობე,
 კინ გაუბედავს
 ხელის შეხებას;
 შრიალა ვერხვებს
 სიო ეძახის,
 ვენახის კოცნა მტევნებს ეხვევა.

სამყურა ბალახს აცრემლებს ცვარი,
 სიმინდის ზღვარი
 ფრუებს ულვაშებს,
 ალერდი ნაზად

მხრებს აკანკალებს,
 რძით სავსე კაკლებს ეტმასნის ქურჩა.
 სოფლისა ქუჩას სიჩუმე ფარავს,
 ტყეების ფარა
 მთებს მოდებია,
 დღის «ოდელია“-ს
 ქობებში სძინავს,
 პატარა ცირა უცინის სიზმარს.

ცის კიდით კიდე, ლურჯ სამყაროში,
 ოქროს სარდალი,
 ღამის ნადავლით,
 გარსკვლავთა ჯარის,
 დინჯად გადავლით,
 საომრად იწევს განთიადისკენ.

გადმოიხედავს მაღალ მთებიდან.
 სხივთა თმები და
 ლურჯი ქალწული,
 ხედება ქვევიდან
 სოფლის მთქნარება,
 ღამის ზმანება, მზე — სიხარული.

მთაწმინდას

ციდან რეკენ ზარები,
 გულში ქარი ილამებს;
 მე შენ დამესიზმრები,
 როცა მიწა პირს აღებს
 გაბზარული თვალებით;
 როცა ღამის ნუგეშით
 გული გეაღწებს,
 ფერწასული ფერების,
 ფრთებ დაქრილი ლექსები.
 ქარი ბევრჯერ ყოფილა.
 ვილას გავახსენდები!
 ქარი არსად ყოფილა
 დამტვრეული ხელებით.
 მარტოდ მარტო ვიყავი
 წარსულთან განუყრელი,
 როგორც კავკასიონზე
 კელ დაქრილი ნუკრები.
 ლექსი მქონდა საკვებად,
 სული — სულის მხლებელი,
 ძხეს შევახე სიცოცხლე
 დაგლეჯილი ხელებით.

ჩამოვხეი ღრუბლები,
შავად შემოვიქარგე,
ჩრდილოეთმა დამსეტყვა,
ქარში გადავიქარგე.
გულდახეულ ფიჭვნახში
გული გადამიკაწრეს —
აქ ხომ ყველამ გამწირა,
აქ ხომ ვერვინ ვიწამე.
მხოლოდ დამრჩა მთა-წმინდა,
გადაფრენილ მერანით,
ლურჯა ცხენთა ჯირითი,
განთიადის მხედარი.
ნიკო, გალაკტიონი,
ერის ბრძენი ილია,
ელვის სტიქიონებით,
პირჯვარ გადანაწერი,
სისხლის მწვერვალებიდან
სისხლმა ცრემლი აწვიმა, —
საქართველოს პაჩნასი —
საქართველოს მთაწმინდა.

1958 წ. პარიზი.

საფუძვალს

მხოლოდ შენა ხარ ამა ქვეყნის უპირველესი,
და შენ წინაშე მეტანიით ვლიან მლოცველნი,
შენზე დასწერა პოეზიამ პირველი ლექსი,
მშვენიების ხილვა, სათნოებით განაოცარი.

მძიმე გრძნობებით დასნეულდა, მოკვდა მგოსანი,
გადაჩა მხოლოდ მშობლის — შობა ულამაზესი.

არ იცი კენესა, არც სიცილი, არც ცივი ცრემლი,
არც უხეში ხარ, არც მოჭნილი და ლმობიერი,
დაბადებიდან დასასრული შენ არ მოგელის,
მონად აქციე თვით ეშმაკი, სულით ცბიერი.

ასე ყველანი სიყვარულის სევდით ვხუცდებით,
მხოლოდ შენა ხარ ერთად-ერთი მუდამ უცვლელი.

დილა ამოდის იისფერი, მზე ოქროს აფენს,
ჰორიზონტებად ეშვებიან მწვანე მინდვრები,
ხან ცა ღრუბლებში ემსგავსება გაშლილ თირაფებს,
ათასი ფერი ცისარტყელად შემოიკრების.

მიდის წლები, სიყვარულის ეშხის ფურცლები,
მხოლოდ შენა ხარ, ერთად-ერთი, მუდამ უცვლელი.

შენვე წარმოშვი სატანჯველად სიცოცხლის სული,
და სიყვარულით მოევლინე, როგორც ზღვის ტალღა;
სცემს დედა-მიწა, ცეცხლის ძარღვით შემოგარსული
და ყუმბარები ეცემიან საწუთროს საზღვარს.

შენგან შობილნი შენთვის ვკვდებით გამოუცდელნი,
მხოლოდ შენა ხარ, ერთად-ერთი, მუდამ უცვლელი.

საშიშ მშვენებას, გარდაუვალს, სამარადისოს,
გიმღერ და გეტრფი, ვით პოეტი შენი დიდების;
თუ განთიადი შაემა ლამემ კიდევ მალირსა,
მოგიძღვნი გრძნობებს, აფერილი ლურჯი იებით,
დასრულდა ნატვრა. დროთა ბრუნვის წამი სწრაფია,
გახიზნულ წლებს წაეწერა ეპიტაფია:

ვიყავ დევნილი, მქონდა ზრახვა ივერიელის,
მრწამლა სამშობლო, ყოველ ღმერთზე უფრო ძლიერი.

1942 წ. პარიზი.

სუკათეზი სოფლის ცხოვრებიდან

ოქროს შტოებით ეშვება მიწას
ნაძვის ფოთლებში თეთრად ბანაობს.
გარიჟრაჟიდან ცამ მოიწმინდა,
დაქრილ ზანგივით ღამე ქანაობს.

რაკ... რუკ... რაკ... სცემს სარეკელი,
ჩასძინებია ფქვილში მურიას
და მეწისქვილეს წისქვილის მტვერი
თმებზე ქუდივით გადმოხურვია.

გადმოჰქუხს ღარზე წყლის ჩანჩქერები,
შხრიალებს ფუთებში, ბრუნავს ბორბალი,
ხარხარებს ხმები, მივეჩქარებით,
გლეხის ოცნება, მე და ხორბალი.

გადმოწოლილა მწვანე გორები,
სოფლის ორღობე, შარა გაშლილი,
გზაზე გოჭდება ურმის ბორბლები,
გლეხის სიმღერა, სიცოცხლის შვილი.

დედის ალერსი, მშობლიურ კრძალვით,
ლარიზ ქოხიდან ბავშვის ტიკტიკი,
მიიკლაკნება დაღლილ მგზავრით
მთის ფერდობებზე ვიწრო ბილიკი.

ფხვიერ მიწაზე ხიხინებს თოხი,
ხიხინებს თოხი ერთგულ გარჯაში,
თეთრი ფიცრებით შენდება ქოხი,
ნაფოტის ფრენით ბრუნავს ნაჯახი.

და ქოხის პირას ზის სიყმაწვილე,
ჩაფიჭრებული ხუჭუჭა ბავშვი,
დილის სიმშვიდე შხეს ახაწილებს,
სიო თაძაშობს ფოთლების ტაშით.

ღღეს დაეფინა

ღღეს დაეფინა ღამის ლოდები,
ქმინავს ქალაქი ქარხნის ეზვებით;
ამედევენება სახე ბოდღერის
და მეც ღვინოთი გავილესებში.

სადღაც მომივლის, წამაქცევს ბნედა,
განწირულ პოეტს ქუჩები მზრდიან,
ერთხელ მეც მყავდა სამშობლო დედა,
მთა წმინდის ღამე და პოეზია.

ახლა კი ვამბობ სრულიად წყნარად:
ნულარ მაკმარებ დღეებო სასჯელს,
მომეცით ხელში ნალესი დანა,
რომეღლივით დავიჭრი შაჯებს.

1932 წ. ხალიაპინის სამიკიტნო.

რისთვის ვხელობ

რისთვის ვხელობ, ხელოვნება ხომ არ არის ცრემლთა ღვარი!
ან რად მინდა თუ გინდ ვიყო სიცოცხლიდან შენაბრალი.

უკვე ვატყობ სულის სუნთქვას აღარ ძალუძს თქმათა თობა,
ძნელი არის მიწად მყოფნის უსიცოცხლოდ აქიმობა.

შეფე ფერფლზე უფერული აღარ ამყავს ტახტზე ისე,
როგორც ვაძნობის გაქანება, როგორც დილა ნამაისევს.

მავრამ რაა... ყოველივე უმიზეზოდ მიდის, ჰქრება,
ვით მხურვალე მზის სხივებში სასაფლაოს მოჩვენება.

გუშინ ბავშვი, დღეს ბოროტი, ხვალ - სიკვდილის შავი ზრახვა,
ცკინება საფლავის ქვას, მიწამ ძელები გადინახა.

და სიცოცხლე ასე ბრუნავს, სად წავიდეთ, ვის ვედაროთ!
სიყვარულო, სიყვარულო! უცოდველო ქვეყნის ვარდო!

1933 წ. პარიზი.

პოეტი „ლურჯა ცხენები“-ს

როგორც მეტეორები
 გრგვინვა ლურჯას ტორები,
 გრიგალების გორებით,
 ცეცხლი ანათათოლები,
 დიდი სევდა გონების,
 ცქემლთა განმეორებით.
 დროთა დროშა გაშლილი,
 ფიქრი ბარათაშვილის,
 მზე საფლავზე ამცდარი,
 საუკუნის მზე, რაში
 ლურჯა ცხენთა მხედარი.
 გადავარდნილ ფრენაში,
 მაღლა-მაღლა მიიწევს
 „ორი ზარი“ დაღლილი,
 ელვა „ლურჯა ცხენები“-ს
 გამამწყდარი აღვირი.
 ჩრდილოეთის ქარებში,
 ყვავ-ყორნების ძახილი,
 ყვავ-ყორნების თარეშში
 ძვლებთა შემოძახილი:
 გალაკტიონ, სად მიხვალ
 და რომელსა მხარეში?!
 ყველა შენთან მოვდივართ
 დროთა სიმწულხარეში.

არა... არა დროს!

გავაიაფე მე პოეზია!
არა! არა დროს!
გულის სუფრაზე
სიცოცხლე მიზის
და მეც ვთამაძობ.
თუ კი ლექსს გეტყვი,
შეიფერე, ჩემო ლამაზო!
რაც ღმერთმა მომცა,
მოკრძალებით
შენ მას გთავაზობ.

მე თამადა ვარ
პოეზიის და სიყვარულის.
მე თამადა ვარ
სიცოცხლეზე თავადებული.
კრემლიც კარგია
თავადობით თავდადებული.

ლექსიც კარგია
სიჩუმეში გადაგდებული.
კვლავ გადაშალე
ღამეების შავი რვეული,
თუ გინდ მიწოდო
პოეტი და გადარეული.
მე მაინც გეტყვი:
შეიფერე, ჩემო ლამაზო!
რაც ღმერთმა მომცა,
მოკრძალებით
მე შენ გთავაზობ.
გავაიაფე შე პოეზია?
არა, არადროს.

ქარი

ქარი ღმუის, ქარი ღელავს,
გადაიხმო ფიჭვი ზენამ
და ხარხარებს უფსკრულიდან
საოცარი ბედისწერა.

ჩქარობს ქარის ნიაღვარი,
ჩქარობს წვიმა, ჩქარობს თქეში,
მზის სხივების ნასახლარი.
შავ ღრუბლების სიუხვეში
ლამე იცვამს ციურ ნისლებს,
მთა გამდგარა, როგორც ბერი,
ზმუის ქარი, ზმუის ისე,
ვით ზარები ოქტომბერის,
თმა გაშლილი დედა ქალი,
ქრისტეს ღამე, ცა გრიგალი,
შესისხლული არე-მარე,
შესისხლული თებერვალი,
კენესის ზარი, გლოვის ზარი,
შავ ღრუბლებზე გადამდგარი,
ცის კუნძულში ნათელს აფრქვევს
წამებულის თეთრი ჯვარი.

უკანასკნელი იხელი

არ ამისრულდა
 დრო გარდასრულს
 ის, რაც მე მსურდა.
 მზე უმზეურო
 თითქოს ათბობს სიციცხლეს ყინვით,
 ქარში აცურდა
 იმედების მთელი სერია,
 რომ სიციცხლეს ჰქონდეს მიზანი;
 თქმაც კი ძნელია.
 მე მიხაროდა
 სიხარულის თეთრად ანთება,
 როგორც ხატის წინ
 უწმინდესი სიტყვა ქართული:
 ვწირავდი ლოცვებს
 ტან ჩამოთლილ ყვითელ სანთლებად.
 მიწვევდა ფიქრი,
 სათნოებით ცათ ამართული.
 დღეს რას დავეძებ
 თმა-ჭალარა, წყლის პირზე მდგარი,
 ბუდის ვარსკვლავებს,
 დროს გარდასრულს, ცას მოკამკამეს,
 როცა გიყურებ.

დედასავით ტკბილო სიცოცხლევ,
მე ობოლივით
ქრუანტელი ამაკანკალებს,
შავშემოსილი,
შორეთიდან დავრჩი ხიზანი
ომში წასულნი
მეგობრებიც სიკვდილს ელიან.
დაინგრა დილა,
ვანადგურდა ჩემი ნიძლავი,
აწ მომავალი
მხოლოდ ცრემლის მონასტერია.

უკანასკნელი საღღებრძელო

დღე გვიმოკლდება,
 თქვით საღღებრძელო!
 გადარჩენილნი
 ვერ გადურჩებით,
 დამისხით ღვინო!
 ღვინო ყელ-ცეცხლა!
 მაინც სიცოცხლეს
 ვწრუბავ ტუჩებით
 და ვეწაფები
 მე ყოველ სითბოს,
 სითბოს მზისა და
 სითბოს დედისა.
 ყველა გვიყვარდა,
 ყველას ვეტრფოდით!
 მიწა ქართული
 ჩვენ არ გვეღირსა.
 მოქალაქენო!
 ქალაქის გარედ
 სისხლის ნაკვალევს
 თუ ჩამოვრჩებით,
 წაგვიღებს ქარი
 ეივი ზამთარის
 და შორს ნისლებში
 დაგვასამარებს.
 რა გვენალღვლება!

რა მენადღელება,
 თუ ისტორია
 ველ გაღადრული
 დროს გადაშვეება.
 ია და ვარდით
 გული მევესება.
 გული მევესება
 სასმისი ქვეყნის.
 შევესვამ სიყვარულს,
 შევესვამ სიცოცხლეს,
 სანამ სიკვდილი
 საყვედურს მეტყვის.
 დღე გვიმოკლდება,
 თქვით სადღეგრძელო!
 გადარჩენილნი
 ვერ გადურჩებით!
 დამისხით ღვინო,
 ღვინო ველცეცხლა!
 მაინც სიცოცხლეს
 ვწრუბავ ტურებით.

1965 წ. პარიზი.

იდიდე მარად ჩემო სამშობლო

იდიდე მარად
 ჩემო სამშობლო! — იდიდე!
 შენ, უმამულოს,
 სამამულო ომში გყიდიდნენ.
 სდიოდა სისხლი
 ქაბთულ მიწას, სისხლით შენარჩენს.
 ზღვის ვეშაპები
 შეუნდობლად სვამდნენ ზედაშეს,
 იძირებოდნენ
 ზღვის ტალღებში ათასეულნი
 შვილები შენი —
 შენი ქვეყნის — შენი სიმდიდრე.
 იდიდე მარად
 ჩემო სამშობლო, იდიდე!
 ქვეყნად სიცოცხლე
 შენ უწყინარ სისხლით იყიდე.
 ვინ მოგიძულა?
 ვინ გაგწირა, ვისგან რას ელი?!
 ცრემლის ჯოხივით
 მოლუნულა წელში ქართველი;
 ვით ათონელი,
 აულია სიბრძნისა წიგნი
 და წინ, წინ მიდის
 სიბრძნე მისი, მისი დამცველი.
 იდიდე მარად
 ჩემო სამშობლო, იდიდე!
 ქვეყნად სიცოცხლე
 შენ საკუთარ სისხლით იყიდე.

ლოცვა უცხოეთიდან

ღმერთო! თუ მთხოვ ანა ქვეყნად
 რას ვისურვებ? რას ვინატრებ?
 — შემინახე დიდ ხანს დედა,
 ააცდინე რკინის მატლებს.

ჩემ სიმათლეს თუ კი ხედავ,
 შეიწყნარე გულის ლოცვა:
 საქართველოს ნუ გაწირავს
 ატომების გარე მოცვა.

შენ გინახავს ეს სოფელი,
 ქრისტეს ჯვარზე ხმა ქართული.
 ღედა ღმერთის დედოფლები
 (კ)ცხლის რკინით დაშანთულნი.

შენ გინახავს დედა-შვილი,
 გაზიზნული შორს ბაზარზე.
 შახ-ალახით გაყიდული
 საქართველოს სილამაზე.

ბედმა ეგეც არ იკმარა,
 დაამსხვრია ჯვარი ვაზის,
 ღვთის მშობლის ხატს ემიზნება
 წითელ ქვეყნის შახაბაზი.

კმარა... კმარა სისხლის დენა,
კრწანისი და საბურთალო.
ქრისტე ღმერთის თუ ხარ დედა,
მომეც ლოცვა სამკურნალო!

წითელ ფერმა ჩვენ დაგვიპყრო,
წითელ ფერში ხალხი გმინავს;
თუ გაგვიყვან სამშვიდობოს,
შემოგწირავთ ათას წირვას.

ერთად ებრძვის შავ ლამებს
ურეკლე და თებერვალი,
ქარიშხალი კედლებს ამტვრევს,
ააცდინე სახლს გრივალი.

დე აქ დავრჩე, უცხო ლეში,
გვედრები, მეუფეო,
ნუ მომასწრებ უცხოეთში
საქართველოს უქართველოდ.

1945 წ. პარიზი.

იროზიმა

იროზიმა,

იროზიმა,

შენ რა გიყო გარე-შინამ!
აღარ ძღება ეგ სამყარო,
მიწა სისხლით გაღეშილა,
იროზიმა,

იროზიმა,

მოტორები დღესაც გვამტვრევს,
მოტორები დღესაც ქშინავს;
ცის და ქვეყნის ბრალმდებლო,
ჩემი სულის ტანჯვის ბინავ.
კაცის გონით განწოწულო

იროზიმა,

იროზიმა,

ატომიურ აფეთქებით
მიწა იწვის. მზე ვერ მზეობს,
მოწამლული ფრინველები
სვამენ მკვდრების სადღეგრძელოს.

იროზიმა,

იროზიმა,

შენ რა გიყო გარე - შინამ,
აღარ ძღება ეგ სამყარო,
მიწა სისხლით გაღეშილა.

მისი მზე

მიხეილ წერეთლის ხსოვნას

ცხოვრობდა
 ოცნების ბორცვებზე,
 ლურჯეთში
 ვარსკვლავთა დინებით.
 ნათლობდა
 ნათელი მნათობი,
 ახალი
 სიცოცხლის გამთენი.
 რა ეუყოთ,
 დახუჭა თვალები.
 თვალები
 მომავლის ღიმილით.
 ერთ მუჭა მიწასაც
 ჩაეატანთ
 არ უნდა,
 არ უნდა ტირილი,
 მისი მზე —
 ჩვენი მზე — ჩვენ გვიმზერს,
 ერთია —
 ღმერთია წმინდანი.
 უფალო...
 შეინდე, შეინდე,
 საფლავში
 უმზეოდ მძინარი.

პარიზი, 1965.

სურათი

ათოვის და ათრობს
იის ფერ ღამეს
თეთრი პეპლების
უსულო ფრენა.

სიჩუმის ზღაპარს
ყურს უგდებს მთვარე,
მთვარე პირ-ბადე
და აღმაცერა.

რომელი მზეა,
თვით პოეზია.
არ უნდა გრძნობა.
არ უნდა სიტყვა.

მთის მწვერვალებზე
ღრუბელნი ზიან,
როგორც იდუმალ
სიჩუმის კითხვა.

1932 წ. პარიზი.

კლოზარი

როცა ღამით მზე გაქრება,
და ქალაქი იწყებს თვლემას,
ელ-მნათების მინანქრები
სენის პირზე აინთება.

მიყვარს ცქერა, წყლის ტალღებში
აქ თავს იხრჩობს ოცი წელი,
ცრემლი გულით ანაღები,
სიყმაწვილე ძველის-ძველი.

ზის კლოზარი სენის პირზე,
დაძონძილი ჩერების ჩრდილი,
წვერი წვირეს იხვევს პირზე,
წვერი მკერდზე ჩამოშლილი.

ყველაფერი დაივიწყა,
საზრდოს ეძებს ნაკვის ყუთში,
სახე უგავს მტვრიან მიწას,
უსისხლოა მისი კუჭი.

წყალს უამბობს წასულ ამბებს,
ამბებს ნაკრებს ვარდის თვეში,
შორს ქუჩები ავტო-ცხენებს
გაგიჟებით მიაქენებს.

ლამაზ ქალებს შეხვედრა აქვთ,
შეხვედრა აქვთ სენის პირზე,
ცას ღრუბლები ავიწყდება
სალაქვარდო მზის სიცილზე.

ზის კლოშარი სენია პირზე,
გამხმარ პურის ნაჭრებს ღეჭავს,
შმაგი ქუჩა არ ისვენებს,
რკინის ქუსლით დღეებს ბეჭდავს.

ბრძოლა არის დღე და ღამის,
კაცის ფიქრებს ფული ახრჩობს,
მკვლელობს მთვარე თეთრი დანით,
ბნელ სურათის სისხლის ჩარჩო.

კლოშარი ზის სენის პირზე,
უცნობი და უანგარო,
დროთი აზრებს ათილისმებს,
მისთვის მკვდარი ეგ სამყარო.

გენერალი ჯარს მიუძღვის.
ათას ბრძოლით „საამაყო“-ს,
ხალხი ყვავილთ გზოვას უძღვნის,
ვინც პლანეტა სისხლით დაყო.

ზის კლოშარი სენის პირზე,
უცნობი და უსახელო.
მისი გვარი? შორით მდგარი,
უთქმელი და უგებარი.

ნუ ვკითხულობთ, არას გვეტყვის,
ვინ გაცვალა კაცი გმირზე!
ვით დაცინვა მთელი ქვეყნის
ზის კლოშარი სენის პირზე.

ლოლინი

ქუჩაში ცივა, თოვლი ცვივა,
 ბუხართან ვზივარ.
 ნაკვერჩხლების თბილი მოგონება
 სიბნელეს ანათებს.

ვილატას ცივა,
 მოუთმენლობა იმატებს.
 დრო აღარ იცდის.
 რომელი საათია?
 სინათლე ქრება,
 იწვის თამბაქო.
 თამაშობს ფიქრების
 მოხუცი ზღაპარი.
 ფანჯარაზე ღამე, შავი კუნთებით,
 უცხო ლანდს ემუქრება.
 სიჩუმის სმენა, ქალის სურათი.
 შავი თვალები საათზე კანკალებს.
 ვინ გამოიცნობს: ვინ ვის ახარებს?!
 საჯერფლეზე დაეცა ფერფლი.
 სიჩუმე დაირღვა.
 ვეწევი თამბაქოს.
 მეწვია ფიქრები.
 კარებზე აკაკუნდა ცოვი თითები.
 საათზე დაეცა წინის ნატახი.
 საათი გატყდა, წუთები აცუქდა.
 უხილავ დროის რომელი ნაწილია?
 ვინ გიპასუხებს?!
 იმედი დასრულდა.
 სიჩუმეს მოაქვს იორიში.
 იწვის თამბაქო, იწვის უბრალოდ,
 როგორც აჩრდილი, როგორც ტუსაღი.
 ცოვი ქვებით აშენებულ საპყრობილეში.

აკობი ეფემერი

გონი ღებულობს და გული სტამბავს,
ამბავს აღებულს მიწის ზე პირზე,
ამბავს, სტრიქონებს, თეთრი თითები,
ჩანაფიქრები ვიწრო თაბახსე.

ეტრფის პოეტი პირუთვნელ ბაღებს,
შეაღებს ღამეს თეთრი გვირგვინით,
ვარდის ფერ ტალღებს სიცოცხლეს ჯმღერს,
უვნებელ ფიქრებს ამცნობს სამყაროს.

რომ გაიხაროს და გაახაროს,
შიგნით სულმნათი, გარეთ თვალმხედი,
სიტყვა ნარხევი გულის ნახევით,
მომავალს მისცეს მორცხვი გამხელით.

ხმა, სიყვარულით ნათესი გრძნობა,
ჰაერს ედება, აქლექებს ლოდინს,
მთვარე ამოდის და ფანჯრის სივრცეს
უგზავნის ნისლებს, დრო გადასული.

ჩუმი ვედრებით ჩურჩულებს ხმები,
დამწვარნი დრონი, თამბაქოს ბოლი,
სახე გამხდაჩი, თვალეზ დიდონი,
ალაპარაკდა თეთრი სტრიქონი.

ვცხოვრობდი ლოდინზე დაყრდნობილ ფიქრებზე,
იქნების ტკივილი ამეხსნა გულიდან,
მივლიდა შაირი სულმნათი მკურნალი,
ყვავილთა უბანი მზის სიხარულიდან.

მთები და მინდვრები, ხალისით ნაზარდი,
პოეტის ამბორი, ლურჯი ცა — სხივები,
იები ამყოლი, მლიმარე ბავშვები,
თვალეზით ნაშენი სამყარო სიამე.

სადა ხარ, მზე მნათო, მხურვალე ალერსით
აღესილ სიცოცხლეს სხივებში იდნობდი,
ფიქრობდი უკვდავი დარჩება პოეტი?!
სიკვდილთან მოვედი, გადიწვა ყოველი.

აიღო კალამი თითების კანკალით,
ნაცადი ვანცდები აცრემლა გულიდან.
და როგორც ფურცლები დამწვარი ქალაქის,
დახუტა თვალეზი შავ თაიგულიდან.

1947 წ. პარიზი.

შემოდგომა

გაყვითლებულა შემოდგომის მკენარი თოფლები,
მზით ნალოთები

დედამიწა ყინვებს ეძახის,
როგორც მერცხლებმა,
მზის სხივებმა წაილო სითბო,
სიცოცხლეს ითხოვს ღამეები ოქროს აკენიდან.

ღრუბელთა დენამ შავი ტვირთი მთვარეს აჰკიდა,
აკივლდა ქარი,

ტყის ჩონჩხებში თეთრი ყაჩაღი,
მარჯვე ნაჯახი
გლების მკლავმა კარზე დაჰკიდა,
მშიშარა ღამე საკმელიდან ცეცხლზე კანკალებს,
სიმინდის რჩევა, ფელამუში, ანჩხლი მაჭარი,
ღვივის ღაღარი,

აჩრდილები ქოხის კედელზე,
შრომა ზღაპარი,

მონაყოლი ამბავთა დენა,
ოჯახის დედა, კერიაზე ქვაბის სიმღერა,
შავი წისქვილი, ვირის შრომა, თეთრი ბათმანი,
გზები ნათალი,
გაძარცული სიცხე სიცივით,
ხეების სუნთქვა,

იკეცება ვით ხელთათმანი,
მთის მწვერვალიდან თეთრ ნისლებად ჩამონართავი.

დახედავ მიწას, ვინ წაიღო ყოფნა ამდენი,
ია, ვარდები

გაზაფხული. ზაფხულის ლხენით,
ფრინველთა ენით.

მოქარგული დილა, საღამო,
სიო საამო, ყვეაილებს ბაღში ჩურჩული,
გადამტვრეულა ტირიფები მთვარის სარკეში,
ზამთრის მახეში

შემოდგომა კუბოებს ზიდავს,
მოსწყვიტა მზიდან

მიწიერი სიცოცხლის სატრფო
და ქოხებს ათბობს დამსხვრეული ტყეთა ტირილი

1956 წ. პარიზი.

საქართველოდან

რომ მოვდიოდე საქართველოდან,
ნაწვიმარ მიწის მომქონდეს ყნოსვა,
თერგი, რიონი და ალაზანი,
წითელ ყლორტიდან მოწყვეტილ მგოსანს.

მომქონდეს მთებზე გარიჟრაჟება,
ლურჯ ფერებში დილა მზიანი,
გადამეხვევით და მეტყვეით ალბათ:
ხარ პოეტი და ადამიანი!

რომ მოვდიოდე საქართველოდან,
უშლელი უშბა და მთიულეთი,
ნაქერალადან გადანათება,
დარბაისელი ყაზბეგი თეთრი.

გულზე დარგული გურიის მთები,
გელათის წირვა და მოწამეთა,
ლეჭი სუნთქავდეს ბახმაროს ჰაერს,
მკურნალად მადგეს ნაძვნართა ზეცა.

ამეტყველდება ქვები უძრავი,
გულში ჩაიდგამს სიტყვათა მადანს.
პოეტს რად უნდა სახელის მტვრევა.
მას საქართველო ერქმევა გვარად.

თქვენ გაიმბობღეთ დალუპვას მზისას,
მზეს ჩრდილოეთის ქარით უჩინარს,
როგორ გაწითლდა ჯვარი ვაზისა,
ფერს რომ წმინდანი გადაერჩინა...

რომ მოვდიოდე, მაგრამ სად არის
ცრემლით ნაღნობი ევ ნატურის თვალი!
ყოველი წუთი მოჩვენებაა,
მიდის და ქრება, როგორც სიზმარი.

დაიხვევს გული ლექსების ხვეულს,
დაბადებიდან ბედით განწირულს,
ჩემი სიცოცხლის გაბზარულ სხეულს,
უცხო დღეების ქუსლით დაწიხლულს.

პარიზი, 1963 წ.

დედის ღარიბობა

შვილო! წადი სოფელში,
რომ მოიკელ სახეზე,
ხმები მესმის ნახლეჩი,
ღამღამობით ახველებ.

იქ მზე-ნათელ სხივებში
გაგიხვევენ ნაძვები;
იქ სოფლის ბიქს გიგოლას
სათამაშოდ გაჰყვები.

იქ ღელის პირს გადმოჰქუტხს
ცივი წყალი ჩანჩქერი,
როცა სიტხე დაგლალავს,
საბანაოდ ჩაწვები.

ხილი გინდა? ბევრია
დახლეჩილი ლედვები.
მიდი, ნახე ბებია,
აქ რომ სიტხით იხრჩვები!

მახსოვს დედი ეს თხოვნა,
როცა ამას ამბობდი.
მაშინ ვიყავ მე ბავშვი,
ბილიკებზე დავრბოდი.

რიკტაფელას თამაში,
კენჭებით თავის მტვრევა,
სულ ჩხუბი და განკაში,
ბავშვების მთელი გროვა!

ასე, ჩემო დედიკო!
გადიოდა ბავშვობა,
და წლები მინდვრებზე
ბურთებივით გაზბოდა.

აწ ყოფილის ლანდი ვარ,
უცხოობამ ვამრიცხა,
მინდვრებში მონავარდე,
ნეტავ მანდ მომკვდარიყავ.

ისევ ატირდა განცდა,
ფიჭრი (რემლად დავლვაბე,
დედი... მადლობის ნაცვლად,
ძილში გამოგეპარე.

ლექსილი

გაცილდა პარიზს შარა სავლელი,
ძველი ამბები დაიწყებს ხმაურს,
რკინით გალახულს სოფელი მელის
(სოფელს ვეძახი ქართველთა მამულს).

ქალაქის ზღვარი ჩამორჩა მინდვრებს,
მინდვრების ბრუნვა ამოკლებს მანძილს,
წვრილი ბილიკი სოფელში ჩავა,
სიმინდის ჩალა იგრეხს ტაროებს.

დროებს ვეძახი დროთი დევნილი,
მიცქირს ლეველი ქართული ქუდიო!
და როგორც ქურდის ფრთხილი ფეხები,
ჩუმი შერხევით შევიპარები.

შორიდან მესმის ქართული ხმები,
ბავშვის ალერსი, ქართველი დედა.
სიცოცხლის სუნთქვით სიო ნარბევი,
ხეებმა ხვევით შემომახვედრა.

ყვავილთ სინაზეს ფოთლები აკმევს,
ლურჯ სარკმელიდან მზე იყურება,
დაიხურება გული მოლხენით,
ხმანი მოხვეის როცა ვალობენ.

იქით გურული, აქეთ ქართლელი,
შრომის ურმული, ღამე ნათევი,
ვით ბარათები

 ცხა დაკარგული,
ქარში ნახული
 და შენაკრები.

ვინ ვისზე არის მეტი, ნაკლები!
ბელტი ეწევა შრომას ოფლიანს.
მითხარო ყვავილნო, გული არ გტკივით?!
მიწა ჯგუფებდა რომ გაყოფილა?!

მაინც ქართული ხელით ნახნავი,
მუდამ ახალი, მიყვარს ლევილი.
ვარ დაწყველილი ქალაქის შვილი,
ქუჩების მტვერში ვარდი გაშლილი.

დამისხით ღვინო, გახსენით მეგრდი,
მასპინძლობს დილა, მასპინძლობს ღამე,
კვლავ ალავერდი თბილისის ცისკარს,
დედინაცვალი ეძახის მთვარეს.

დარხეულ ჩრდილმა გაშალა სუფრა.
საფარი სუფთა, მწვანე მინდორი,
და ვარდის ფერი ღვინის მირთმევით
ცას ევედრება ჩვენი ფიქრები.

კეთილშობილი გულის ხალისით,
სულით თავადი, სუფრის თამადა,
სიმონ წერეთლის სიღარბაისლით,
რუსთველის ენა ალაპარაკდა.

„რა ვარდმან მისი ყვავილი
გაახმოს, დაამკნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღნაროსა“.

სად არის სატრფო, სად არის ბალი!
სად არის ბალლი ფშანში გაზრდილი?
ქალის მანდილი, დედა თუ შვილი?
შავ ქარიშხალში გზები აშლილი.

დაასხით ღვინო! თქვით სადღეგრძელო!
საფლავებს ძინავს, ღამე ეშვება!
თუ უცხოეთი გულს გაგვიყინავს,
ლევლის ლოდი მაინც დარჩება!

1948 წ. პარიზი.

შორს

შორს, შორს ყველაფრის დასასრულს, იქით,
მიწის და ხალხის, ქვეყნის გაღრმე
მსურს დავისახლო გრძნობა და ფიქრი,
მოვწყდე ცხოვრების წვრილ ანგარიშებს.

იქ ქარიშხალიც სულის აზრია.
მეხად ტეხილი მრისხანე ზეცა.
სადაც უსიტყვოდ ცემლს თავაზიანს
სევდის ფურცლებად გულში იკეცავ.

სადაც ანათებს ცეცხლის ზარები.
თუჯის ღრუბლები, მეხი და გრცეინვა,
ცის ქალწულები ლამაზმანები,
თეთრ ბალიშებზე მკერდს გადაიბანს.

სადაც არ ბრწყინავს მაცდური მზე და
ფაფაჩ აყრილი ღელავს ღრუბლები.
საკუთარ სულში შენ ჩაიხედავ,
ღვთიური ლოცვით ან დაილღები.

სადაც არ არის ამ ქვეყნიური
გესლი და შური, ბოროტი ბოდვა,
სადაც არა სდევს საუკუნეებს
სახე შეშლილი ადამის მოდგმა.

ილოცე სჯლის მძებნელო ღამით,
მიჰყევ უსიტყვო ბუნების დენას,
როგორც აჩრდილი სინუმის მგზავრი,
შენ შეგახვედრებს ღბილავ დიდას.

შორს, შორს, ყველაფრის დასასრულს, იქით,
მიწის და ხალხის. ქვეყნის გარეშე,
მსურს დავასახლო გრძნობა და ფიქრი,
ძოვწყდე ცხოვრების წვრილ ანგარიშებს.

1943 წ. პარიზი.

იქნებ ვიშვი

იქნებ ვიშვი დაწყევლიდან,
რომ სიცოცხლე მიცქერს მწყრაღად,
სასობით სულის კითხვამ
სასაფლაოს შემაყვარა...

ა... ის ლოდი, საფლავის ქვა!
ჩუმი ჩრდილის ლოცვა მესმის.
რა კარგია, რა დავარქვა?!
უსხეულო ეს აღერსი!

მავიწყდება ყველაფერი,
ამა ქვეყნის დროთა ბოდვა,
ლოცვა ჩემი ციურ ფერის,
ლოცვა ცრემლად რომ დამქონდა.

და მეც თითქოს ციური ვარ,
წარმოშვებით ღვთიურ დედის,
სიყვარულის ცრემლის წირვა,
ქვეყნად ახლად დაბადების!

1933 წ. პარიზი.

ხმა სახარისან

ღიბს მჯერა, რომ ამ ღამეს
სამუდამოდ ფერი ცვლია,
მე ვერავინ შევიყვარე,
თუმცა გული მქონდა ღია.

რომელ კლდეზე გზა იწყება,
რომელ ბედით გავხდი კრული,
რად განიცდის დავიწყებას
ჩემი გრძნობის სიყვარული!

რად დამცინის სინამდვილე,
ყრუ ძახილით ვის მოგვლი!
ან რად არის საპყრობილე,
სიტყვა „ღეღა“ და „ქა“თველი“?

თუ კი მხოლოდ ჩემი ლოცვა
იყო სიზმრის საუბარი,
თუ კი მიწამ გადამკოცნა,
და არ დამრჩა მეგობარი.

მე მინდოდა სხვა სიახლე,
მოწამეა ღამე ბნელი,
რომ დევნილის წმინდა ზრახვებს
არ ჰქონია დასაყრდენი.

და მეც მოეწყდი ადგილიდან.
ვით ფოთოლი ქა“ში მკვდარი,
აფრენილი გამხმარ ხიდან,
არავისგან შესაბრალო...

ღიას მსურდა ცყოფილიყავ
 უღარდელი. როგორც დილა,
 რომ მხურვალე მზის სხეულზე
 სხივთ სიცილი ამეკრიფა,

რომ მეც მეგრძნოს თავისუფალს
 სიცოცხლიდან ერთად ერთი:
 ფოთლებივით წყნარი სუნთქვა.
 სუნთქვა მზესთან შენაერთი.

ერთხელ მოველ ქვეყანაზე.
 მხოლოდ ერთხელ მყავდა დედა.
 ცხოვრებამ კი გავლილ გზაზე.
 დაშორება დამახვედრა.

აწ მშვიდობით მშვენიერო.
 ოქროს ჩაღრით იის დილავე.
 ტან-შიშველავ ჩემო ეზო
 და სიმღერავ „დიღ-ოდღილა“.

მალე ალბათ კვი საფლავში
 კრელი მატლი შესჭამს ენას.
 მაგრამ ძეღების სამრეკლოში
 სულ შექნება ეს სიმღერა.

რომ მეც მქონდა ჩემი მიწა,
 არ სჭიროდა გვამსაც ვალი,
 ბედმა გზები გადამიჭრა.
 და შევიქენ შესაბრალი...

აკილის სუზრა

დაბადებიდან ასე ყოფილა:
 დროთი ნათეთრი სუფრის თამადა!
 აილო ჭიჭა უცხოეთიდან,
 მთა წმინდის ენით ალაპარაკა.

ჩვენ ორი მხრიდან ერთად მოვედით,
 თქვენთან შეხვედრის გვწვავდა აღმური,
 სახე მღიმაზე მკოცნის პოეტი,
 მზის პოეზიით გამოკალული.

გულმა გაიხსნა ათასი წყლული,
 ათასჯერ გულმა გაიხმაუტა,
 დღე არის ჩემი, დღე — სასწაულის!
 ასე იცოდეს სუფრის თაღრმა.

გადაიხიზნა შავი საზღვაო
 და საქართველო მოადგა პარიზს,
 სიტყვა ამ ქეიუნად შესანდობარი,
 გულზე სუყველას თანასწორ გვაზის.

სისხლის წვეთებად დავწრიტეთ ვაზი,
ვაზი კვლავ ცოცხლობს სუსტი სხეულით,
სხვა და სხვა ჟერის ერთია აზრი,
ჯვარზე წმინდანის თმებად ხვეული.

„ქართლის დედაო“ — ასე მღეროდა
მზის ნაკვალევში სისხლის წვეთები,
ამოვა ქვეყნად ძმობის ღერო და
ჩვენც სიყვარულით დავითესებით.

ვისმინოთ ლოცვა მოკლული მამის,
დავწვათ ეგ სუფრა დამწვარ ლეჭხებად,
დავრჩეთ სიზმარი გაუვალ ღამის
და განთიადის გაორკეცება.

14. 4. 65 წ. პარიზი.

ვიკტორ ნოზაძის

მზე დალაგდება ოქროს ბელტებად,
გაოორნატებს ღამე ღრუბლებში,
წაგიღებს სულის ამეტყველება,
გაბმული ღვთიურ საქმის უღელში.

შენი ამ ქვეყნად შენ არ გქონია,
შენი ყოველი ქართულს მიეცი, —
დარჩები დროსთან განუყოფელი,
ვით რუსთაველის უკვდავი ლექსი.

ვერ აითვისე სიცოცხლე მრუში,
თესაე სიყვარულს გულის თესლებად,
თვით ანგელოზი მზე გიზის გულში
და სათნოება გველერსება!

პარიზ - ბერლინი - ბუენოს აირეს —
დაგაქვს ხურჯინით ქართული სტამბა —
შოთას ფერებში გზას ვინ აგირევს,
დაკარგულ დროთა განკითხვას სტამბაე.

მზე დალაგდება ოქროს ბელტებად,
გაიორნატებს ღამე ღრუბლებში,
წაგიღებს სულის ამეტყველება,
გაბმული ღვთიურ საქმის უღელში.

პარიზი, 1964 წ.

პოეტები სამსხვერპლოზე

აღარ დაინდო მრისხანებამ ტვირთის ამწეენი,
სისხლით სავსეა პოეზია ცის-ფერ ყანწების.

ვერ გადაივლის სურვილები ალაზნის ველებს,
ყელ დაღადრული ბეშვებზევით ჰყრია განცდები,
სამფერი მკერდით დაღრუბლული ცა გაიღვებს
და გზას დაჩეხილს მოგზაური ველარ ასცდება.

შენ მზეს უცინი, მზეს მიჰყვები, და ის გატყვილებს,
სამოთხის ნაცვლად გაიღება უფსკრულის კარი,
უფურებ... გჯერა... სისხლი მოდის დაჭრილ ყმაწვილებს
როგორც მოხუცი დაიხოჭებ მუხლის კანკალით.

სისხლი სისხლს შეხვდა, შეადედეთ ლექსის ადათი,
პაოლო - ტიციან. შეფიცული დარჩით ტყულებში,
ახალ პლეადას გადავიდგათ ძველი ჯალათი,
თქვენ როგორც სხვები, პოეზიით დაიღუპენით.

აღბათ იგრძენით დასასრული სიკვდილის წინად,
ორთა პირობამ თქვენი ვული ორად ვერ გაჰყო,
პოეზიაში? პოეტებო! ტყვია გხვდათ წილად,
ჯავახიშვილიც ხომ იმსხვერპლა უხეშმა ჯაყომ!

ცის-ფერ ყანწებით აღამაზდა ლექსის თაობა,
ქალდეას ლამე საწამლავს სვამს მძიმე განცდებით,
დაკლულ პოეტებს უკან გრჩებათ შთამომავლობა,
ღიმიტრის შუბლი, უცხოეთის გიჩით ნაცემი!

ყოველი დილა დასავლისკენ გადახრილია,
მზე კუბოშია, კუბო კიდევ ძვლების კალოზე,
ზემოვარათ თეთრი ეტლით დიდმა ილიამ
და იწყო გლოვა შუბლ გაბზარულ საქართველოზე.

მოდის გიჟმაგი, ავაჯდნილი ბრბოების ტალღა,
მთებზე ვადმოდგნენ, დაისრულნი დაბაისელნი,
აღმართს ჯვარი უღმობელი სიციცხლის გაღმა,
როგორც იესო, სისხლის დენით დადნენ ისინი.

ცის-ფერ ყანწელებს ბევრი დაგჩათ ძმა მეგობარი,
თქვენი ქალდეა, გაძარცული ქვეყნის ქალწული,
მაგრამ გაიგეთ შულავერით, რომ არის მკვდარი,
ქართველი ქრისტე, საწამებლად ჯვარზე ასული.

პარიზი, 1945 წ.

ქუთაისი

ისევ მილიმის მზით ნათელი ჩემი ქვეყანა,
ბურთის ბრუნება, წყლის ტალღებზე გულის თამაში,
ამაყი მოთები, თეთრი ცხვრები და მწვანე ყანა,
ყვავილთა ბაღში თმა ხუჭუქა პატარა ბავშვი.

ისევ მილიმის ქუთაისის ცელქი მაისი,
დიდი ბაგრატის ტაძარიდან განცხრომით ხედვა,
როყის ქუჩები, ყვავილების ჯარით ავსილი
და თოფურიძის ჩქერებიდან როინის ღელვა.

ისევ მილიმის სასწავლებლის თეთრი კედლები,
დიდი ოცხელი, გულმოდგინე, კეთილი, წყნარი,
წულეისკირი. ჯაფარიძე და სხვა რამდენი.
მუდმივი ფიქრით თავ დახრილი მხნე სილოვანი.

ვერ დავივიწყე: წითელი, თეთრი. ჯაკვის ხიდი,
თუ როგორ სახე თამაშობდა ტალღათა სვლაში,
ზაფხულის მზეზე მზით დამწვარი მხრებ გარუჯული
როინის პირზე გაწოლილი პატარა ბავშვი.

ვერ დავივიწყე თეთრი გზები ლეჩხუმის გზისკენ,
წყარო კიბულა, კლდის მწვერვალი — გლეხის ნახტომი,
ღამის არღანი, ღვინის ღელვა და ალავიძე,
ბახუსის ბინა ვარდის ფერის ლოცვით ნადგომი.

შორიდან მიხმობს მოწამეთა ღვთიური ხმებით,
მატარებელი თავს რომ უვლის დაგრეხილ კლდეებს,
შემდეგ გელათი, ხელოვნების ძველი ხელადით
ასხურებს მირონს დიდი მეფის მზის სანაპიროს.

ვინ შემითვისოს, ვინ მიმილოს, ვინ მანუგეშოს,
პარიზის ქუჩებს ფეხით ვთელავ ყვითელი, მჰკნარი,
სადა ჰყავს დედა ქარში დამწვარ, გაყინულ ნეშოს,
სიცოცხლის სხივებს ერეკება ცივი ზამთარი.

და სადღაც მოვრალსა სენის პირზე გამეღვიძება,
ქალი მეძავი რკინის თმებით დედობას მიჩენს,
ნიჩბებს არხვევენ ცეცხლიანი ქვეყნის ტალღები,
მძიმე ბრალდებით მივაბიჯებ მოკვეთილ მუხლებს.

გზა რომ შეუხვევს. ხალხი ხარობს, ხალხი იცინის,
მე და ისინი შორი-შორ ვართ, როგორც უცხონი,
ღლიური ბრძოლით დრო მამულებს ბედის ძიებას,
ყველასთვის უცნობს, თვით მკვლელობაც შეპატივება.

შობის ხე

ვუძღვნი ოთარ ზურაბიშვილს

ფერ მიხდილი თეთრ კაზავში
 თმა ხუჭუტა ცხვრებთან ერთად,
 უიმედო დროთა სვლაში
 ქვეყნის შეილი შობა ღმერთმა.

ცა სინათლით შეიმოსა,
 ვარსკვლავებმა იწყო დენა,
 მიწამ იგრძნო ქვეყნის ლოცვა,
 მიწა ჩვენი დედის დედა.

შობის ღამე საჩუქრებით
 ბრწყინვალეებას ათოვს ღამეს
 და სიმატლე სათნოების
 ბავშვურ გუძნობებს ათამაშებს.

გაიხარეთ პატარებო!
 მშობლებს არ გვესურს დავიძინოთ,
 ჩვენი ფიქრი შორით მიდის —
 საქართველო — წმინდა ნინო!

სძინავს სუფლებს, სძინავთ ბავშვებს,
 რეკს ზარები მთიდან მთაზე,
 ციურ ქვეყნის სიკაშკაშე
 ციურ ფერებს ალამაზებს.

შობის ღამე და შობის ხეც
 ბრწყინავს, ღელავს ათას ფერად,
 ღვთის მშობლისა სპეტაკ სახეს
 ზეციით იწვევს აღმაფრენა.

დღეს დედების დღეობაა.
 ანგელოზთა მღერის გუნდი,
 ბეთლემს იშვა იგი ობლად.
 მთელი ქვეყნის სიხარულით.

და მის შემდეგ წელთა რიცხვმა
 აფაქიზა სულის სუნთქვა.
 ბოროტება მან გაჰკიცხა,
 სიყვარული ჩვენთვის უთქვამს.

1948 წ.

გაზაფხულის საწყისი

წყარო ცელქი, კლდის ნაჩქეფი,
ამტვრევს სიბს და მიაქვს ლელეს,
შრომის ბგერით გლეხი მღერის,
ყელს ცივი წყლით ჩაისველებს.

შემდეგ ქვაზე დაისვენებს,
დაოფლილ მკერდს სიო აწრობს,
ზეცა ხარობს ლურჯი დენით,
მზე, სხივების სათამაშო.

ტყე ფოთლების გვირგვინს იდგამს,
თოხი მიწას ახმაურებს,
ყვავილები სხივებს ისხამს,
როგორც ოქროს სამკაულებს.

ვერცხლის ცაცხვებს სიო არხევს,
ნაცრის ფერი ტირიფები.
ვინ იქნება გულით ცივი,
რომ არ იგრძნოს მზის სიცილი.

ყინვით გამხმარ მთის მწვერვალებს
ათვალთვალებს ცა მკურნალი,
თეთრში მკვდარი მწვანედ ღგება,
სასიცოცხლოდ მოუბარი.

დაღმა შვადლე ვადიხუება,
ცელქი ცირა ზიდავს სამხარს,
ახნავს ცქერა მწვანე მინდვრებს,
ციდან ნახულ მზის სანახავს.

1938 წ. პატივი

დავით გურამიშვილი

(დაბადებიდან 250 წლის თავზე)

შენ ბალიდან გაგიტაცეს,
მწყემსად მღვარი ქართლის გულში.
მზეს და მიწას ერთად გრძნობდი
განუყოფელ სიყვარულში.

შემოსევა შემოგესმა
კიდით კიდე, მტრიდან — მტერი.
ლეკთა ყინვის საპრობილემ
განაახლა ტანჯვა ძველი.

ვარდი იყავ გაუშლელი,
სხვის მიწაზე ვერ იხარე,
უდემდამო ქვეყნის შვილმა
ცივ ორმოში კრემლი ღვარე.

ნაზი გრძნობა გვითავაზე,
ვაზის სუნთქვა, ტანჯვის ჯვარი.
აზრის სხეულს ალამაზებს
ხელოვნების შენი ხმალი.

შენნი შვილნი დაიზარდენ,
ვერ გატეხა მტერთა ჩისხვამ,
შორეული სულის ტანჯვა
საქართველომ შეისისხლა.

პოეტის და მეფის ცრემლებს,
ცრემლებს დღეს ჩვენ აქ რომ ვლოცავთ,
საწამლავად შეუცვალეს
ქრისტიანულ ჯვარზე კოცნა.

არ ყოფილა არაოდეს
პოეზია მრუდე, მრუში,
დღესაც ისმის ლექსის კენესა,
ჩაკირული ქართლის გულში.

1956 წ.

სვლა წუთებისა

სვლა წუთებისა,
ჩქარი და მაზდი,
თამბაქოს ფერფლზე
დამჯდარა დარდი.

დარდი ბუხარი,
ფიჭრი ფუტუზო.
აბოლებს ბოლი,
ბოლი მწუხარი.

ვუცქერი, მიცქერს.
დავჩიით უცვლელი.

კარების ლანდი
კანკალებს დარდით:

ამალამ არ ვინ
მოვა სტუმარი.

შემოაქვს ცრემლებს
სიკვდილის ვაზდი.

ვაზდი იშლება
სიკოცხლის ფერად.

რა კარგი მზეა!
რა კარგი დღეა!

მღერის. იცინის
მთელი ქვეყანა!

გრიგოლ როგავიძე

ხარ საქართველოს, პანასის ელჩი,
ქიმერიონის ქიმში გაბმული,
გული მოძრავი, მოძმეთა ხვედრით,
ცის ფერი ხვევნით გამოცვართული.

ბრძოლის ბედია, უბედოდ მოდგმა,
ქინკების ბოდვა წაიღო ქარმა
და ნიაღვარმა ახალი სეტყვის
ახალი სიტყვა გარგუნა მარად.

შენ გადახსენი ევროპის გულში
ქართული ძარღვის სისხლის უჯრედი,
როგორც უჯრელი, სიგელ-გუჯრები,
თქმა საუნჯენი მშობლიურ ენის.

ქართუს მარჯვენა აცოცხლე მარად,
ამეტყველე ყამიჩი სიტყვა,
მზიური ზიდვა მიწიურ ხვედრის,
ზღვა - გრიგალებთან კალმით შემხვედრი.

ვინა თქვა ბედ-კრულს ერი არ გწყალობს,
შაირებს შეკრულს მავარ თქმებიდან,
როს ფიროსმანის ფერებით შემკულს,
ვაფა ვილიმის მალალ მთებიდან.

პარიზი. 1949 წ.

ვაშლის ქუჩი

დაეშვა ბინდი შავებში გაშლით,
გიშრის ცრემლებით ატირდა ქუჩა,
მეზობლის ხეზე მოვკრიფე ვაშლი,
სოფლის ხმაურმა რომ გაიყუჩა.

და ჩამოვცოცდი თავივით ხიდან.
შიშველი ფეხი გაეკრა მიწას,
ხმა შემომესმა: „შენ აქ რა გინდა!“
თვალზე ცრემლები თან აიკინდა.

კბილებში შემრჩა ნაკბეჩი ვაშლი,
როგორ დავცალო ავსილი უბე.
შიში შეიჭრა ფოთოლთ შიშალში,
ყველამ გაიგო, ხომ დავიღუპე!

მე მომაგონდა ბებიას სიტყვა.
სიტყვა სიუხვით დაჩიგებული:
«თავს დაგატყდება ზეციდან ჩისხვა,
ვაშლი ხატზეა გადაცემული!»

ხმა საინივით დაიმსხვრა შუბზე,
ვაშლის შტოებში ჩამოწვა კითხვა,
კვლავ მოჩვენება რტოთა ხმაურზე,
კვლავ მოჩვენება: „მიოხარ, ვინა ხარ?“.

შიშმა ზანგივით გადადგა ფეხი,
და ნაბადივით გაეკრა ღრუბლებს,
ცეცხლის ზოლებად გადასკდა მეხი,
ღეთისგან ვანგება ყოფილა თურმე!

მხატვარი

ეუძღვნი ლიდა ნოზაძისას

საოცნებო ფანჯრებზე
გადმომდგარან იები,
მხატვრისა და პოეტის
ლურჯი ფანტაზიები.

გულში მთები მოზიდა,
ზეცას თვალი ესროლა,
ტილოზე მზე მომძივდა
გარიჟრაჟის ეზოდან.

თვალი თვალში ელვარებს,
გადმოღვრილა ფერები,
დაღვენთილი, მღელვარე,
ფერზე დანაფერდები.

ისეამს წვეთებს ყალამი,
ხილვით განახლებული,
ფუნჯი ლურჯი სისველე,
ცისარტყელას ხეული.

იშლებიან ტილოზე
ფერთა კორიანტენი,
სხივთა სანაპიროზე,
აფეთქებით ნადენნი.

ყალამს იხვევს სიბრძნიდან
დამორგვილი გველები
და ტილოზე იბრძვიან
ფერთა კართაგენები.

სირ-ლე-მელო. 1964 წ.

შეოღვომა იხეათუი

მზე ოქროს ზეინად იდგმება,
ყურძნით ურემი ჭრიალებს,
ისმის სიმღერა საწნახლის,
ყელი ჩაგვიმაჭრიანე.

ბულრაობს ნიშა ნიკორა,
მთები დამდგარან მდევებად,
მზემ სხივი შემოიკონა,
დამსკდარი ოქროს მტევნებად.

ეკვრება ზეცას სისხლის ფერს
ჰაერის სუნთქვა მზურველი,
მინდვრებს ფოთლებით დანაფენს,
ტყეებს ფერ მიხდილ მწუხარეთ.

მზე იზეინება სიმდიდრით,
ყველგან სიცოცხლის გაეკმა,
ეცემა ნამგლით სიმინდი
ოქროს ფერ ჯარის კაცებად.

სუნთქავს სასულე ქვევრიდან,
სდღუს და ფურცხუნებს მაკარი,
მოდის ლილინით ქვევიდან
შალომა, ჩილის ვაჭარი.

ძაღვები ყურებ დახრილნი
აყეფდნენ ეზო - ეზოთი.
ჭიწკარს მოადგა ნახირი,
ჭისკარს, დაკიდულს თეძოთი.

სიმინდს არჩევენ ქალ-ბიჭნი,
ულვაშ დაგრეხილს, ბეწვიანს,
ქურჩაში ყვითელ ტაროებს
კაკლები დაუკრეჭიათ.

ვარსკვლავთა სანათურებით
ცა მშვიდ ზღვასავით ლურჯდება,
ქოხებში მოჩანს სუფრები,
სოფელი თვლემს და ყურდება.

ისევ ჭუთაისი

შობაგონდება ქუთაისი, ბალში ჩამჯდარი,
სხივების სიციხით დახუთული რიყის ქუჩები,
განაურჩები ჩანჩქერებით რიონის დენა,
„იალტის“ ქვაზე დასიციხული გულის სიმღერა.

წითელი ხიდი, მალღობიდან ტაძრის ნანგრევი,
ღამის არღნები, ლეჩხუმის გზა და მთვრალი ჭომა,
ქალაქის კუჭი, ყაფანი და მწვანე ბაზარი,
ლობიანი თუ ულობიო მჭადით ვაჭრობა.

ღადოს ღიმილი თუ ჯღამაძის ჯოხის ტრიალი,
შეშლილი მაშო, მოწაფეთა გიფი კისკისი,
პატარა ბავშვი, შიმშილივით სახე მტირალი,
ჩემი სამშობლო, დაბადება და ქუთაისი.

პარიზი, 1957.

რკი ოზოლი

შენ მოგონებებს ვერ გადურჩები,
 კიდევ მიმღერე,
 მოცინარე მაისის დილა,
 მზის ჩანჩქერებში
 მხრებ-დახრილი მწვეანე ბუჩქები,
 მხიარულ შტოზე
 აცრემლებულ ჩიტს რომ ეძინა.
 თურმე იმ გულით
 მგრძნობიარე და უწმინდესით.
 ბუმბულა ბარტყი
 სიყვარულით უცქერდა დედას,
 ესიზმრებოდა
 თბილ ბუდეში მისი ალერსი,
 როცა მზის სხივმა
 მოკრძალებით გადმოიხედა;
 ესიზმრებოდა მისი ზრუნვა,
 მსუქანი კერძი.
 თავის პატარას რომ აწვდიდა
 წვრილი ნისკარტით
 და როცა ქაჩი გადმოჰყრიდა
 რტოებ დაღეწილს,
 ელოდა დედას, ტყის შრიალით
 შემკრთალი ბარტყი.

მას ვერ გაეგო,
შეშინებულ ზაფის განწირვით
რისთვის მშობელმა
ფრთხილი ფრთები შემოაფარა,
დაეშვა ციდან მხრებ-გაშლილი
გიჟი მიმინო
ყვითელ კლანჭებით, უღმობელმა
წაართვა დედა.
ხედავდა, როგორ ცილდებოდა
საკუთარ მშობელს.
„ეაიშე, შეილო!“
სიმალიდან კენესოდა დედა:
„ვინ გიპატრონებს,
ვინ გიპოვნის სიცოცხლის საზრდოს,
სიკვდილის კლანჭი
სასიკვდილოდ გულზე დამედვა“.
მზის საეარძელში
თხილ სიზმრებით თვლემდა პატარა.
დიდ ხანს ვუცქირე,
ფეხ აკრფით მიკუთხლოვდი
და როცა მსურდა
მოწიწებით ხელზე აყვანა,
მან შემომხედა
მადლიერი თვალთა თანხმობით.

პარიზი, 1946 წ.

საავადმყოფო — სიჩუმე

სიცოცხლეს ასე სურს,
რომ მის დასასრულს
სუფევდეს სიჩუმე!
ჩუჩულებს ფოთლები,
საავადმყოფო — სიჩუმე!

თეთრი ხალათები
ხეჩხვენ ხელებს,
ხერხვენ ფეხებს;
დახერხილ სხეულს
ტკივილი ახელებს:
მძინარე ღმუის,
წფოთავს და სწუხს,
ვუ^ღ დაამშვიდეს,
სისხლიდან იცლება,
სხვისი მიაშველეს,
წვეთ-წვეთად წვეთს
უცნობი სისხლი;
ფეხ დაკარგული იყურება:
გადარჩა სიცოცხლე
და ცალი ფეხი.
თაებრუ ესხმის,
არ ჯერა,
სად წავიდა მისი ფეხი?!
მოკვეთეს, განაგდეს.
გახმა, გახუნდა,
საწყალი ფეხი
აჩავეის არ უნდა,
არც ყვავილები!

არც შესანდობარი!
 არც დასაფლავება!
 არც მოგონება!
 ფეხი მოკვდა, ნერვზე რაა!?
 ის ხომ გადაჩრია...
 ის, რომელიც ფეხმა
 ათეული წლები ატარა!

შემოაქვთ კუბო,
 წაქცეულ მუხიდან გამოჭრილი.
 დახერხილ სხეულიდან
 შეკრული საკაცე.
 სიკვდილში აწვენენ
 სიკვდილს.
 სიკოცხლეს ასე სურს,
 რომ მის დასასრულს
 სუფევდეს სიჩუმე!
 ჩუჩულებს ფოთლები,
 სააეადმყოფო — სიჩუმე!

სააეადმყოფოში მოდიან
 კარგად მყოფნი,
 გაცრეცილ სახეზე
 ცრემლები იცვიოთება.
 მიცვალებულს გლოვობს
 მიცვალების შიში.
 ყვავილები ხშირია,
 მიაცილებენ მას ყვავილნი,
 ბალში მოწყვეტილნი,
 ანუ ამოწყვეტილნი.
 შემდეგ შეკრებილი,
 გლოვის თაიგული,
 გლოვის სამსახურში,
 და ისე, როგორც გუშინ,
 გრძელდება პროცესია.

გამზენის წესია:
სიცოცხლის თესლიდან
დაიბადა სიკვდილი,
და ახლად შობილი
შორს მიესვენება.

მოიხადეს ქუდები,
რკინის აკანკალებით,
გაიღო კარები
და ფეხ აკრეფით,
როგორც ქურდები,
სასაფლაოს შეესივნენ
ჭირისუფლები.

ჭირმა მოჰკლა კაცი,
მოჰკლა სრული უფლებით
და თვით კაცი
დარჩა ჭირის უფალი.

სირ-დე-მელო. 1964 წ.

ორმოცი წელი.

ვიბრუნე ამბები
 უკან დაბრუნებით;
 ორმოცი წელი,
 ორმოცჯერ ძნელი;
 ორმოცი თვე.
 იძლევა კითხვებს
 ორმოცი დღე,
 ხმას რომ გაიღებს.
 ორმოცი წუთით,
 ბავშვი სათუთი,
 იგივე წამი,
 ვასრულებ ამით:
 გამასწრო საათმა!
 რომელი საათია?
 წუთებმა ათრია
 ორმოცი წელი.
 ძველი თუ ახალი.
 ნემსებით ნახნავი,
 დრო დღეში ტრიალებს.
 ვარ მოხეტიალე
 წამიდან წამების;
 დროს მიაქვს ზაფხული,
 დროს მიაქვს ზამთარი,
 ჩვენც მიგვერეკება
 ისე, ვით მეჯოგე.
 გზა ყინვით დახრული
 ყინვებით ივსება
 და კუბოს ფიცრებთან
 თვალები დახუჭა,
 თვალები დახუჭა
 საათის ისრებმა.

იხარეთი

ღამე შეიჭრა ტყიბულის მთებში,
 ღამე ნახშირი, შავი შავ-გულა.
 ცივნი წყარონი კლდის ნაწნავებში
 ვერცხლის ქამრებად გადმოვიდულან.

დაღლილ ხვევნაში ხევი იჭრება,
 ბუტბუტებს ღელე, ღამის ხუმარა.
 ცაზე ღრუბლები ისე იშლება,
 ვით განასროლი ცეცხლი-უუმზარა.

ნაქურალას მთა, ცად აზიდული
 მთვარეს დაეძებს ღრუბლიან ცაში.
 ბარ-ბილიკები, სახლი ფიცრული,
 გადახიზნულა სოფლის კალთაში.

მიდამოს სახე მოუღუწია,
 თაფჩაქინდრული დეკანან ქოხები,
 მთას სიმაღლიდან გადმოუშვია
 ღარიბ სოფლისთვის მწვანე ნოხები.

დილის მზის სხივი სისველეს აშრობს,
 მთის მწვერვალები ნისლებს აბოლებს,
 დღეს კი ამ სოფელს და ოფლით ნაშრომს
 შიშის შრიალი შემოაყოლეს.

ჩაეკონება გაწოლილ გორებს
შორს გადაშლილი მწვანე გრეხილი,
თითქოს კოცნიან ერთი მეორეს
კლდეები გვერდებ შემოტეხილი.

ლეჩხუმის მთა და მთა ნაქერალა
გადაწოლილა ეს ორი დევი,
ქვაბუნა ქოხებს გადაეფარა
ყინულის მკერდით სევანეთის მთები.

თეთრ ბალიშებზე ბანაობს ღამე
და ზღრვს იქავეს კლდის ხრიოკებზე,
უშბას მწვერვალზე გაშლილა მთვარე,
სხივთა ანკესით, როგორც მეთევზე.

ცივ ფერდობებზე ნიავე გრილი,
სვანს სიხალისე უკრთის თვლებში,
შორს მწვერვალიდან ჯიხვი დაჭრილი
გადმოეშვება კლდის ნაპრალებში.

რაჭის სოფლები გაშლილან ბაბად,
მწვანე ყანაში ყმუის მურია,
შეშინებულის შესაფარავად
მთის მწვერვალები გადუხუჩია.

ნეტავ რად მოჩანს ეს ჩემი ქოხი,
ნიგვზის ფოთლებში თვალ მგლოვიარე!
გაიხმაღრებს ყანაში თოხი,
ფხვიერ მიწაზე გაშლილა მთვარე.

იქ სიხარული უბით დამქონდა,
იქ დავიბადე მაისის მზეში,
როცა სიახლე სურვილს ათრობდა
გულმკერდ გაღეღილ ზაფხულის ტყეში.

ახლა სად არის ეს ყველაფერი!
სახლი ბუჯგერი, შუაცეცხლი, თარო!
ურდოს ურმებით გადანათელი.
ჩემი სიცოცხლის გზა სანეტარო!

როგორც ვარსკვლავი მომწუდარი ცაზე,
ისე გამცილდა ჩემი ბავშვობა:
მასსოვს სიხარბე გამომცხვარ მჭადზე,
ლარიბ ოჯახის ცრემლი მახრჩობდა.

ისევ ის მქონდეს, ისევ ის ვიყო!
ჩემი ხალისი სოფლის ბილიკებს,
ვხედავ: სიცოცხლე ორად გაიყო
ისე უცერად, ვერც კი გავიგე.

1930 წ. ოდენკურ.

ღმერთო დალოცე

ასფალტზე გაშლილ სახლების გორებს
ვინ გააგონებს

ამ სულის წუხილს!

ცეცხლს გააგორებს ისევ მეხები,
მიწის შეხებით

ეწლი მოგონებებს.

შორით გაფრინდა ცელქი ბავშვობა,
დღეს სხვა რას შვრება,

ეს მე არ ვიცი.

დამერღვა ფიცი.

გავსდიე ორმებს.

ვინ გაიკვირებს

მინდვრების ნაცვლად

მზით აღდგებულ ასფალტის ქუჩებს?

წუხილს აყენებს

მოგონებები.

მწვანე ფერები აიშლებიან ოცნების რთვაზე.

და თუ სინაზე

სხივების ჩანჩქერს

ბნელ უფსკრულისკენ დალუპვას ამჩნევს.

ვინ გადაარჩენს!

ღმერთო დალოცე.

ქალაქი

ცეცხლის ხვეულში გზიგალი თუჯის,
ქვეყნის აღმურით, ცაზე ტრიალებს;
ქალაქი გიყი, ქალაქი უჩი,
დაკოდლილივით შფოთავს, ღრიალებს.

გაკვირვებაა ისე, ვით გუშინ.
ვინ შექმნა ქვეყნად ძალა ამდენი!
მიწა მალული უცნაურ ქვრქში,
რკინის ცხენების კორიანტელი!

ელავს ელმნათი, ძალა მკრელია,
უჭირს სინაზე მთვარისთან შეყრილს,
ასფალტს ხეები დაუჭერია,
როგორც ნიმუში დაკარგულ ქვეყნის.

უცნაურობით იდუმალს ანბელს
მძინარე ღამის მრუში ზმანება,
დაკარგა მიწამ პირველი სახე,
სახე გულ-ჩვილი, მწვანე-აგ ღაპა.

სმენას წყურია სიცოცხლე მუნჯი,
აღვირ ახსნილი ღმუის დროება,
ქალაქი გახდა მშენებლის უჩი,
ქალაქი მხეცის საშიშროება.

1932 წ. პარიზი.

აბოჩიური დასასრული

ვერ ვნახე მხარე, დაბადების შენათვისები,
 მისი სიმშვენიე ამა ქვეყნად ვერვის ვადარე,
 გული კუბოში დალუქსმულა თეთრი ისრებით,
 მზის ჩასვენებას ლურჯი ზღვიდან ამოჰყავს მთვარე.

და განთიადზე, როცა ისიც გარდაიცვლება,
 ვარსკვლავთა სრბოლა გადაჰყვება დედის დალუპვას,
 მაცდურ მიწისკენ დაღრუბლული ეა დაიხრება,
 წვიმის ორკესტრი შობენის მარშს გლოვით დაუქრავს.

გამხმარ კუბოებს გადახედავს შექსპირის სახე,
 ყოფნა-არ-ყოფნას ძვლებად აწყობს ჰამლეტის ჩრდილი,
 იაგოს გესლმა მავრის გრძნობას დაუგო მახე,
 ტრფობის ძიების სატევარზე სისხლით გაწრთენილი.

ღრუბლების ჯიროთს ამღელვარებს სამყაროს სევდა,
 ლორდი ბაირონ გრიგალს უძღვის ციური რაშით,
 ქვეყნის საშვილეს შხამით ავსებებს კოსმოსის დედა,
 ძვლებს მიაცილებს დაბადება სიკვდილის ტაშით.

ბულრაობს ღამე შავ მიწაში ცეცხლის ანთებით,
 ცაზე განგაში გაუძაჟთავს ცის ფერ საყვირებს.
 ითხოვს სიმშვიდეს ატომებში სული ნათქვეფი,
 საწყალი მთვარე ვარაკვლავებად აწყობს ყვაილებს.

მთვარ სარდლებმა გადახედეს ოქროს ფერდობებს.
 რკინის ჩონჩხები სავალ გზაზე ძვლებად გაშლილა,
 პირველ ყოფილის საშინელი თანამედროვე
 ეძახის უფსკრულს, რომ აქციოს მზე იროშიმად.

აყირავებულ პოლიუსებს არა აქვს დაღლა.
 გაშმაგებული კაცის ქკუა გრიგალებს ამტვრევს,
 მოაქვს მილიონ სიმბურვალეს ახალი წარღვნა!
 ოჰ, ჯოჯოხეთო! ატომია დღეს შენი დანტე!

დანგრეულ ქალაქს დაეხარბა ყვაი, ყორანი,
 დამწვარ სიკოცხლეს ახჩობს ძვლისა და ხორცის სუნი.
 სახლი სახლს ანგრევს, ერეკება სოფელს სოფელი
 და იფერფლება აქ სიკვდილზე მთელი წარსული.

შავ დედამიწას გამოაშრობს კაცის გონება.
 რკინის ღრუბლები გადაივლის შეშლილ რაშებად,
 ქვეყნიურ ყოფნას აადულებს გამოგონება.
 და მთლად სამყარო მისი ორთქლით მოიხარშება.

პაჩიზი, 1945 წ.

თვალთ მაქცურად

თვალთ მაქცურად გაიღიმე ქალო!
სილამაზის ეშხით ანავერცხლი,
გსურს მონები შენ წინ დაითვალო,
სიყვარულის გადანწეარი ცეცხლით.

თუ გინახავთ მომცინარე დილა,
ცივი მიწის გულში შეპარული,
როცა ზამთრის ყინვა ისე ჰყინავს,
კანკალია მისი სიხარული.

ასეთია მკოსნის გული მაშინ,
როცა უცქერს ქალის ღია თვალებს,
ალერდოვან ტანის სიფარფავით
სიყვარული მას ვერ შეიყვარებს.

1932. პარიზი.

ქედვა

ქედვა, ქედვა!

ქარები შიდიან.

ქედვა მიყვარდი. ქალური სამოსით,
მომხედე ხალისით,

ქედვა ვბერდები,

ქართული ვედრებით აგინთე სანთელი.
პატარა საყდარი. ღარიბი კედლები,
წმინდანებს ვედები.

დამთქსლი ლოცვებით,

ქ-ისტზე ოცნებით,

დავეძებ სიყვარულს,

სიხარულს ქედვა, ნუ დაემალები.

ნარევი ღროები, გულზე რომ მაწვება,
გამზდარი ლაწვები.

მეძახის სიბერეს,

სიბნელე უშენოდ.

სიკვდილის დღე არი,

მალისე ქედვა

მზე ოქრო-მზიანი.

არ მინდა ზიანით ცრემლები ვადინო,
მხოლოდ მსურს ვადიდო

მე შენი ტრფიალი,

ათასი მზიანი,

გზები რომ გადივლის,

ქართული მანდილის მარგუნე ამბორი.

ვიქნები ამჟღად

შიმაველ ქაჩუბის,

ვით შავი თვალები, ზღვა ტალღა მღუპავი,

და შენი უბანი,

ყვავილთა სამყარო,

მსურს გადავყარო გულში მყოფ სიყვარულს.

იმედთა სიხარულს მოელის დაქცობა,

დაღლილი თვალები

მლოცველი სანთელის.

თუ დამე ნათევი სხეული დაქლექდა.

ქედვა შეუნდე გულ-მართალ სიყვარულს.

ბევრი ვილოცე

ბევრი ვილოცე, ბევრი ვიბძოლე,
მაგრამ ლოცვებმა მე არ მიშველა,
ლამით დამქეპი. არ შემიცოდე
და გულში ღამე ჩაწვა შიშველა.

დილით დაცა თეთრი თვალეზი,
მზის სატყეარზე მზისკენ სავალი.
მივდივარ, არვის არ გვეალეზი,
საკუთარ თავის მამამთავარი.

შუბლზე ილიას სისხლი მაჩნია,
ჰაუგოს მზარეს სიკვდილით შევრჩი;
მეც ხომ მკვლელებმა ამომარჩიეს,
თავისუფლების რომ ვიყო ელჩი.

ს. ხვარული

სიყვარული ძველი არის,
 სულის ქსელში ჩაქსოვილი,
 მზის სიცილი, ზღვის ტალღები,
 სიჩუმეში ღრუბელთ დენა,
 განთიადი, დაღამება,
 სიხარული, ტანჯვის შვილი,
 ის არ კედება, ჩვენ მიედივართ,
 როგორც წუთის გასიზმრება,
 ფხას იძლევა ხავერდოვანს.
 მთის მწვერვალებს, ტყეს და ბუჩქებს,
 ჩვენთვის უჩვევ სილამაზით
 გვიალურსებს, გვიშლის კალთას,
 გულის ხედვას გავეცილებს,
 დაგვანახებს ცას და მიწას,
 საფლავზედაც მიგვაცილებს.
 დაგვილოცავს კუბოს ფიცარს;
 უკვდავების წყარო არის,
 წყლის ნაკადი, ყვავილთ რბევა,
 თვალთა ცქერის სიქალწულე,
 რასაც ვგრძნობთ და რასაც ვხედავთ,
 როგორც დედა, შვილის სისხლი
 იტანჯვის და ისე კედება;
 როგორც შვილი სიკვდილის წინ
 დაიძახებს: „ვაი დედა!“
 ასე იბძვის კაცის გულში
 სიყვარულის გამოხედვა.

პარიზი. 1961 წ.

პოეტის აღსარება

შენ თამადავ! მთლად დაცალე!
 ღვინო შესევი... ოხრის ოხრად.
 ნუ დამლოცავ, გთხოვ დამწყველი-
 სიყვარულმა გამალოთა.

ღვინოს ვსვამ — და ღვინო — მე მსვამს,
 ორნივ ვდნებით, ვით სანთელე
 მოვონება — მოჩვენება,
 მიგვაცილებს ცხარე ცრემლით.

სუფრა რაა... ღვინის ყანწი,
 მე მაწულებს ჩემი გვარი,
 სიკუცხლისას არ გთხოვთ ნაწილს,
 ღვინის სმაზე არ ვთქვით უარი.

მაშ, თამადავ დამაძალე!
 შავი ფიქრის შავი ღამე,
 ღვინის წვეთი თავში ბრწყინავს,
 მოკაშკაშე, მოელვარე.

ჩემი სატრფო იყინება.
ჩქარა, ჩქარა, ლენის წვეთი.
მსურს დავათრო ამ სუფრაზე
სიცოცხლე და მისი ღმერთი.

ალავერდი! ალავერდი!
ცის განგებას, ვარსკვლავთ დენას,
ლენის ყანწებს ენაცვალოს
პოეზიის ეგ სიმღერა.

გთხოვ თამადავ (მხოლოდ სიტყვით),
ამიშენო ბედზე ბედი,
თავს დავიხრჩობ განთიადზე
სიხარულის თეთრი ღვედით.

ცის ფერ ყანწებს ნუ დაზოგავთ.
ლენო შესვით ობრის-ობრად.
ნუ დამლოცავთ. გთხოვთ დამწყველო
სიყვარულმა გამალოთა.

პარიზი. 1947 წ.

დოდო ამილახვარის ასულს

განაგდურებულს უბედობამ გზები დაგიხშო,
ჩამოდნა გრძნობა, ვით სანთელი წმინდა აზიზად,
დასრულდა ტრფობა, მზის სხივები ზეცამ აზიდა,
მთვარემ, ღრუბლებში განწირულმა, თავი დაიხრჩო.

იყავ ყვაველი, ამოსული მაისის ყლორტზე,
გადახიზნული სათნოება ქართველი ქალის,
ტანად მრხევადი და მშვენიება სახე ფიქალის,
თვით სიცოცხლეში განიცადე სიკვდილი ორჯერჯერ.

ყინვების მსხვერპლი და აფრიკის რაინდი კებო,
ძმათა ბრძოლები საფლავიდან შენთან საუბრობს:
„არ დაგვიგდია მამა-პაპის ნაცადი ხმალი!“

მჯერა, ძნელია აღსასრულთან თავის დახწევა,
შენ შეგშვენოდა ქართულ მზეზე ჯვარის დაწერა,
რომ ლურჯ განთიადს მოექარგა ტრფობა ახალი.

ვარდის ვარამი

საამო ყნოსვით ედნები,
დაჭრილი ვარდის წყლული,
მზემ დამიბრმავა დედა,
წყალმა წაიღო გული.

ვარ სურნელივით მჩატე,
ვზივარ სიცოცხლის ძირში,
ჭარის სიგიჟე მამტვრევს
დღესა და ღამის ძილში.

ღამე ჩამორჩა დილას.
დილა გადაყვა ღამეს.
შავი ღრუბლებისა ძირას
მზე ელოდება მთვარეს.

1958 წ. პარიზი.

საჩუქარი

აღბათ იგრძენი, რომ ვიყავ მარტო,
შემხვდი მხურვალე ქტაზე მდგარი,
და შემეკითხე: „ადამიანო!
გინდა გაჩუქო შენ მეგობარი?“

გაკვირვებული შემოგყურებდი,
გჭონდა თუ არა გონება სალი!
მაგრამ უეცრად შენ მუხლებს ქვევით
მე შევამჩნიე პატარა ძაღლი.

დაღონებულმა თავი დახარა,
უხეშ ძაღასთან სუსტი ჩუმდება.
მე ვერ გამეგო, თუ კაცს შეეძლო
თვით მეგობარის გასაჩუქრება.

1934 წ. პარიზი.

დაუსვენარი დასვენება

აქ ნაძვების სამოსელში
 ილიმება მთა და გორა,
 მიწას ათბობს ზეცის ეშხი!
 გულო! შენ რამ დაგაღონა!

ფრინველობა ტყეში მღერის,
 მზის სხივებში სიო გალობს.
 შენ რად გინდა თვალზე ცრემლი?
 შენ რა დაგრჩა სავალალო?

გადახედე კლდის ნაპირებს,
 ნაპრალებში ვერცხლის წყაროს,
 მთაზე ჯიხვიც ვერ გაიბენს,
 სადაც მზე და ფიქრი ხარობს.

აქ ბრუნდება კვლავ ბუნება,
 ერთად ქმნილი მთა და მდელო.
 აქ უმწიკვლო ქვეყნის ვნებას
 სიყვარული ხელმძღვანელობს.

შენ კი მწუბრის ბინას იგებ,
 უგზო მგზავრო, სად მიდიხარ?!
 მხოლოდ ერთი ის გამიგებს,
 ვინც ქართულად იცის კითხვა.

1957.

დატილებულ მიგობარს

შენ წადი ისე, ვით მოჩვენება
და ფერიებში ფერთა გალობა.
დაემორჩილე უფლისა ნებას,
იგრძენ ამ სოფლის არარაობა.

რამდენი გზები შემდეგ მოვლიე,
რამდენჯერ გული გადამიბრუნდა.
შენგან ფიქრები ჩემთან მოვიდნენ,
ძმობილმა ძმასთან დაისადგურა.

დიდ ხანს ვატარე სიცოცხლის ცოდვა,
ეგ უცნაური ქრელი საცვლები.
დრო გაიცვითა, დრო გაიცვითა!
ირო აღარ დამრჩა გამოსაცვლელი.

პარიზი. 1964 წ.

ერთი ღამის დასასრული

მადროვე... მადროვე... რა დროა?
 წუთები ებრძვიან საათებს,
 დედული, მამული მეძახის,
 სიზმრები ღამეში ანათებს,
 ცრემლები ეცემა პარიზზე,
 ეშმაკი აგორებს კამათლებს.
 მადროვე, მადროვე, რა დროა!
 დედებო! მამებო! სადა ხართ?
 დღეები ეშვება კუბოში.
 სიკვდილი გვიდგება მხარ და მხარ.
 სად წახვალ... სად წახვალ... მეძახის,
 ღრუბლების ღრენა და ჭუხილი:
 მოხრილი წუხილით ღამდება,
 მოხუცი დაეძებს ნასახლარს.
 მადროვე... მადროვე... რა დროა!
 მომეშვით, მომეშვით ლექსებო!
 რად მინდა ფიქრები ვაჭვეყნო,
 თვალები ცრემლებით მეცხება.
 სიზმარი გადადის, არ მძინავს,
 დამძლია გულმა და გონებამ,
 სიმშვიდე დაეძებს სიჩუმეს,
 შეშლილი ფერები იშლება,
 სიშავე სინათლემ დაჩეხა,
 თენდება და კვდება გიშერა.

1958 წ. პარიზი.

წმინდანის ჯვარი

ოქროს მტევანი წყნარი,
მარცვალში სითბოს თვალი,
ხვევნა — მხურვალე ალი,
წმინდანის ნატერფალი.

ვაზი ნაზარდი მზიდან,
ვაზი ლოცვების გზიდან,
ამოზიდული სხივთა,
მხრებ მოღუნული ჯვარი.

შენი სახელით

შენი სახელით დავიბადეთ ჩვენ ამა ქვეყნად,
წინ მიგვიძლოდა მზე და მთვარე თეთრი ღიმილით;
აღბათ შენ იყავ ჩვენი მოდგმის პირველი დედა,
სულს რომ ამბობებს უბილავი გულის ტყვილი.

იის ფერ დილას, მთის მწვერვალებს და მზის სიცილეჭეს
ათამაშებდა დროთა დენის ჩუმი შრიალი,
მწვანე ფერები მიწის ხნულში იშლიდა თესლებს
და გაზაფხული ყვავილებში პირ მომცინარი.

ნათლობას ერქვა მშვენიერი შენი სახელი,
სიყვარულს შეჩა ტყვილების მწარე იარა,
სიცოცხლის გზაზე ყინვის კაცმა შეგვევლო ხელი
და ვაჩდის თვეზე თებერვალმა გადაიარა.

დიდ მსტაბს

შაირის სხეულს შალაშინით ვერ ვალამაზებ,
სიტყვის საჭრელად სტრიქონებში ვერ დავედგი დაზგა,
ხელოვნებიდან ხვეულებში მშიერ ნახაზებს
ნუ ჩამითვლიან ხელოსანის მბრწყინავ ამაგად.

ჩემი ღიმილის მე არ მინდა დავაეკაცება,
რომ საღებავით შევაფერო სიტყვა ნათქვამი;
თუ კი გამწირა პოეზიის თესლის მარცღლებმა,
გულის კუბოში თავს მოიკლავს აზრი მართალი.

როგორც ზღაპარი ლურჯი ღამის დაჩება დილა,
პოეტის წირვა და ათასი კათაკმეველი.
სულის სიღრმეში ძეგლს აიგებს სასტიკი ყინვა,
მაცდური ბინა, გაორება მძლეოთა მძლეველი.

არავის აენებს სურნელება ველური ბალის,
სად კაცია ხელი ხელოსნობით ვერ შეხებია,
ხეებს ეხვევა სიხარული, ისე ვით ბაღლი,
სიცოცხლე სალი, მიწა თბილი, მზის თაღებიდან.

სად მრავალ ფერი ყვავილები ისე იზრდება,
 ეკალთა რქენას ეტმასნება მათი სხეული,
 ციურ ფერებში გულს ივრილებს ქვეყნის დიდება,
 ვით მავრის მკერდზე ქალის ტრფობა, თეთრად რხეული.

არ მინდა გულის გააზრება მალულად მჭონდეს.
 წაილოს ქარმა გაბედული შაირის ბოდვა,
 მსურს ჩაებარო აღსაზრება უდიდეს პოეტს,
 ქართულ პარნასის პოეზიის უხუცეს მოძღვარს.

ბევრი რამ მაკლდა, ვიყავ უწყლოდ თევზი სილაზე,
 სიტყვის ლაყურებს მზე ახმობდა, აზრი ორპირი,
 გზები მოღლილი თუ შეჩერდა უძარღვო თქმაში.
 გემშვიდობები, შაირებში დავრჩები ბავშვი.

1952. პარიზი.

ვინლა გადარჩა

მშვიდობით ჩემო ახალგაზრდობავ,
სასწავლებელში ბავშვობის სახევე!
რატომ არ გესმის ჩემი მადლობა,
გზა უსხივესი ველარსად ვნახე!

ველარსად ვნახე ცელქი ტაფელა,
ვერც ხალხის ქცევა, მუდამ კეთილი,
იის ფერ დილის მთებზე დაფენა,
მწყემსი ჩაბალახ ჩამოფლეთილი.

გადაცურებდი სიცოცხლეს მძინარს,
მზე ეხვევოდა ქოხებს ცვარიანს,
ორიოდელა მე და თანდილა
ემლეროდით ქვეყნის სიმწუხარედან.

თითქოს სიმღერას მოჰქონდა ქმოდლივით
ციურ ფერების გრძნობათა რთველი,
მთელი ხალისი ჩვენ და მთებ შორის
მზის ქორწინება სხივ სანათებით.

ღამე უძილო კმაყოფილების,
ბავშვის ღიმილი წმინდათა წმინდა,
სოფლის ცხოვრება, მთების ფრინველი,
ჩემი წარსული რად გამიფრინდა!

ანგელოზივით სახე მლიმარე,
ყვითელ სიზმრებში ფიქრივით ვაპქრა,
გული გონებით გამოვიცვალე?
მე დავიღუპე, ვინლა გადარჩა?!

ვინღა გადარჩა ამ საუკუნეს,
ფეხებ შორთხმული ჩიბუხით ხელში,
მკზავრი კარებზე ყრუთ აკაკუნებს,
ქოხებს ქარები ედება ხენეშით,

გაალებს კარებს მოხუცი დედა,
ეძახის შორით გახიზნულ ვაჟებს.
ქარია... ქარი... ღრუბლები ელავს,
მოელის დილას ცის სილაჟეარდე.

მოხუცს მისმინე, ჩემო პატარავ,
რად მიმატოვე, რისთვის დამცილდი?
— წლებებმა შორით გადამატარა,
გთხოვ, გევედრები, ნულარ დამცინი.

უცხოობაში ოცნების ხეგენა
ვერ განაახლებს ბავშვობის სახეს;
ჩემი ცხოვრება იყო სიმღერა,
მზის სამლოცველო, ოქროს სასახლე.

ვერასდროს აწი მე შენ ვერ განახავ,
დამარჩა სიზმარი სიყრმის სადგურად,
წარსული შორით გადაიმარხა
და მომავალიც გამინადგურდა.

მშვიდობით ჩემო ახალგაზრდობავ,
დღეს უცხოეთის მფარავს ქალარა,
ბალებს, ყვავილებს ჩემი მადლობა,
დროებამ დევნა გადმომამბარა.

1933 წ. პარიზი.

ბულონის ტყეში

თითქოს ბულონი მკათათვე არის,
 მზე ქალწულივით იცინის ცაზე,
 სხივებს სხივებზე მოაქვს ალერსი.
 ბავშვებს უღიმის ტყის სილამაზე,
 ბუმბულა ბარტყი შეჯდება ქვაზე.
 გალაღებული უღიმის დედას,
 სითბოში ხარობს მშობლის სინაზე,
 ხელით შეხებას ვინ გაუბედავს!
 შორეულიდან თამაშობს ფიჭვი,
 გულში შეჩერდა სისხლის ჩანჩქერი,
 თითქოს ვილაყამ დამადგა წიხლი.
 შეურაცხყოფას გადანარჩენი,
 და მომაგონდა მე მამა-ჩემი,
 ისე, ვით ჩემ შვილს ვახსოვარ... ალბათ;
 ყველა წინ მიდის, მე უკან ვრჩები.
 სადაც ცხოვრობდა ბავშვის დედ-მამა;
 მზემ შემავარა მაისის ვაჭდი,
 ვარდმა კი სატრფოს თეთრი კითხვები;
 მეც ხომ ჩიტვით ჰაერს ვსუნთქავდი,
 რომ ამცდენოდა არწივის მხრები.

1948 წ. პარიზი.

პირველი წუთი ახალი წლისა

შენ წარსულო! ნუ მოდიხარ, იცოდე,
არ ვაგიღებ კარებს ჩემი გულისას!
რომ კვდებოდე, მაინც არ შეგიცოდებ!
მომიწამლე გრძნობა სიყვარულისა.

გიჟის სახით შემიცვალე ადამი,
დამიკარგე გრძნობა ადამიანის.
სიყმაწვილე მიგაქვს, როგორც ნადავლი,
უცხოეთის ღამეებზე გადავლით.

არახუნებ თეთრი ძვლებით კარებზე,
რომ კუბოში სული წმინდა აწამო,
სიკვდილშიდაც შენ სიცოცხლეს დაეძებ,
ზედ მავალი მუდამ ქვეწარმავალობ.

რისთვის მომდეგე უცნაურო, კვალ და კვალ,
მომავლისთვის თავზე ქვებს რად მავორებ,
ჩემი თავი შემადღლე, ძალს ვკავარ,
სიყვარული ქვეყნად რად გამავგონე.

შხამის დენით წინ წლებები დათესე,
შედგები, ვიცი, შენ არ გაკვირვებს;
საწამლავი ცოტა ყველას ასესხე,
მორიელის კბილით რომ დავეკბინე.

პარიზი, 1965 წ.

ქალაქის ღამე

სალამო წყნარი, უსიტყვო, მუნჯი,
მოგონებების გრილ ამინდებით.
ცა — ნალველია! ცა არის ლურჯი,
გადაფრენილი ოქროს ჩიტებით.

მდინარის ზურგზე გამდგარა ხიდი,
რკინის მკლავების წყვილი მხარულით,
მიწა გაშლილა, ვით ლაბირინტი,
ბულაობს მეტრო მინოტავრული.

ფრენს ეიფელის ფერთა გაშვება,
თეთრ სართულებზე თრთიან ფარდები,
სიცოცხლე სიკვდილს ეთამაშება,
გამოუცნობი უცხო ბრალდებით.

დილას ვერ მოვფენ მზის სხივზე იით,
ვერც დავეშვები მინდვრებზე მთიდან,
გადის წლები და ჰარმონიით
ცვივა ფურცლები თეთრ კალენდრიდან.

სულში ჩამოწვა შავი ნისლები,
გულში გადაშლის სისხლიან რვეულს,
აქ ყოველივე ნათილისმები
ეტმანის დროებს, დროთი დანგრეულს.

მოდის წლებების კეთროვანება,
გულზე ეხვევა ცოფიან ქალაქს,
შე შორით დამრჩა ფიქრის ზმანება,
ბიჭი რომ ამბობს: „მიყვარხარ, ქალავ!“

1931 წ. პარიზი.

ჩემს გარდა

ჩემს გარდა ვერვის ვერ შეაწუხებ,
სულო! მნახველი არვინ გყოლია!
მწარე წუხილით გვეწვია წუხელ
ყვითელი წლების მელანქოლია.
მაშინ საწამლავს ესვამდით ქონიანს,
და შავ ლამეებს ახრჩობდა ბაზი,
ყველა შეცდება, ვისაც ჰგონია,
ცხოვრება სხივით შემონახაზი.
ცხოვრობ წლებების საყინულეში.
გცვივა ცვარ-ნამად თეთრი ტრემლები:
ვინ უნდა გითხრას ტკბილი ნუგეში,
ან და ლამეებს რად ედავები?
ვინ შეგიძლებს, ვინ შეგიყვარებს?
ან ვინ მიგიღებს, ან ვინ გაგდეწის?
მხოლოდ საფლავი გაგიღებს კარებს,
მიწა, ბელტებად გადმონადენი.
მიწის შობილი მიწას ბარდება,
მხოლოდ წუხილის რჩება ქაოსი,
ისევ სიცოცხლეს დააქვს ბრალდებად
მთელი წუხილი სასაფლაოსი.

მწახრის ხე

იდგა მწუხრის ხე განმარტოებით.
შავი ნისლების გამხმარი ჩონჩხი
ძირებს უცქერდა დახრილ რტოებით,
ეხეთქებოდა გრივალი ოხვრით.

მიწა მოთქვამდა ზეცის ვოდებით.
ღამე აქსოვდა ყინვის გაროზებს,
მზოლოდ მწუხრის ხე განმარტოებით
იდგა იღუმალ სასაფლაოზე.

1931 წ. პარიზი.

ღამე ახალი წლისა

შევადე კარები,
 მოწყენილი ხედვით ვიხილე სიჩუმე,
 აკანკალებით ყინვის კბილები
 ეძახის ცივი საგნების მოწმეს.
 სიმაღლიდან დედის სურათი
 ჩაფიჭრებული მიცქერის.
 ფორიაჟა ფიჭრებით თამბაქოს ვაბოლებ
 და ამბებს ვაყოლებ დროებს გადასრულს.
 დროებს მაშინდელს.
 მამშვიდებს წმინდანი გამხდარი ხელებით.
 იწვის თამბაქო, გულის საკმეველი.
 ვივის კივილი გაივლის სიჩუმეს.
 ჩუჩულებს წარსულის მოხუცი ძახილი.
 წითელი სახლები შახსეი-ვახსეით
 ეშუქება შეენაზადა ღამეს
 და მოწყენილ მთვარეს ლოცულობს ახალი წელი.
 რა შეიცვალა!.. რომელია ძველი?!..
 არცინ პასუხობს.
 ძნელია. ძნელი წარსულთან გაყრა.
 დედის სურათი შემყურებს მაღლა.
 არა აქვს დაღლა. მიცქერის მუდამ,
 შავ სამოსელში მოხუცი ნატვრა.
 სულში სიჩუმეს არ ერქმის სიტყვა!
 ამიტომ მიყვარს ჩემი სტუმრები.
 ძველი საგნები ახალი წელის.
 სამი სამსჭვავლი და ქრისტეს ჯვარი,
 ლოდების ჯანი მომავლის იქით,
 ჩემი ოთახი მუდამ ერთგული,
 მუღმივი ფიჭრით — მუღმივი ფიჭრით.
 1955 წ. პარიზი.

აზრიკის იღუმალი

მიწის სისველე, მწვანე დენით ტყე გადაშლილა,
ლამის ცვარნამი ილიმება ლურჯი ფერებით,
მთის მწვერვალებზე მეფესავით გადმოდგა დილა,
ოქროს სხივებით აფერადდა მინდორ-ველები.

ლამის სიჩუმე ალაყვარდა, პირს ბანს პირი-მზე,
ცხოველთ ბუნება მიესალმა სიოს შრიალეთ,
სიცოცხლის დედას სიხარულით ცა აფაქიზებს,
ციმციმებს დილა გარიჟრაჟით სახე მცინარი.

ფრინველთ გალობა ხიდან ხეზე აწყობს მთის პანგებს,
მწვანე ფოთლები ამოძრავდა სხივთა საწოლში,
ბულბულის სტვენა სიყვარულის სიმებს ალაგებს,
და თბება მიწა, ცოცხალ შვილთა ტუჩით ნაწოვი.

კუნტრუშა ნუკრი სძოვს ბალახს და შეხარის დედას,
ჭრელი ბოკვრები შესევიან ვეფხის ძუძუებს,
სათნო მშობელი თავის შვილებს ალერსით ჰკეპავს,
სხეულის საზრდოს უნაწილებს თბილი რძის სტუმრებს,

მთაზე ირემი გადმოდგება ყელ მოღერებით,
უმანკო გრძნობით გადახედავს გაშლილ სამყაროს,
ელვის სისწრაფით გადაირბენს კლდესა და ღრეებს,
შევა ოჯახში და მეუღლე მისით ამაყობს.

ირგვლივ მიდამო გადაშლილა დინჯი და მყუდრო.
მზის ზიარება ახვერდებს უწყინარ მიწას,
ფერად ფოთლებში უჩინარი სიო საუბრობს
და სასოებას ციურ ვნების საწოლში სძინავს.

1935 წ. პარიზი.

გივი ჟიჟიანს

A Guy KIPIANI

გივი! ეგ სიტყვა ისე შეგერგოს,
როგორც სიცოცხლე ვარდზე რხეული,
ქართული ძუძუ არ გიწოვია,
მაინც შეილი ხარ ჩემი სხეულის.

თუ ჩემ სიცოცხლეს, დარდზე ანაგებს
ელის სამარე უცხო მხარეში,
ასე უამბე მეგობარ ფრანგებს —
დროთა იღუმალ სიმწუხარეში,

შენ მაძა გყავდა მზე-დაკარგული,
მხოლოდ სიყვარულს ეძებდა ქვეყნად,
შემოაღამდა უცხო მხარეში,
როგორც ფოთოლი წაიღო სეტყვამ.

უსიყვარულოდ ის გარდიცვალა,
დედის ბარათი ჩაჰყვა უბეში,
უცხო ბინაში დიდ ხანს იცადა,
მისთვის სამშობლო იყო ნუგეში.

ქართველი დარჩა მისი სახელი
და ყიფიანი გაჩქვა შენ გვარად,
ბევრი ვაების იყო მნახველი,
ამიტომ არვინ არ შეიყვარა.

გივი! ეგ თხოვნა ისე შეგერგოს,
როგორც სიცოცხლე ვარდზე რხეული,
ქართული ძუძუ არ გიწოვია,
მაინც სისხლი ხარ ჩემი სხეულის.

1047 წ. პარიზი.

ნათელას ნათლობა

ინათე, ინათე ნათელა,
 დღეს ღმერთი მართალი გილიმის,
 ნათლობის სანთლების ანთება,
 სიცოცხლის სიწმინდის კითხვები.

ბარძიმი დამძივდა სინაზით,
 სახეზე შეგეხო მირონი,
 მზიური სხივების სილაზე
 შობილის წმინდანი სხეული.

შეხედები შენ დროებს აწინდელს,
 გიხილავს სიცოცხლე საამო,
 იცოდე, ღმერთი არ გაგწირავს,
 ჯვარს წირავს ჭურთველი მამაო.

სიცოცხლე ყოფილა უბეში,
 ეშმაკი უღელში ვაბმულა,
 ბაბუა ცრემლებით დაგეძებს,
 გლოცავს და მლოცველად ვერ მოვა.

მზე

ქვეყნის სიამე, სათნოება,
 ცის ანგელოზი,
 ლურჯ სამყაროდან
 სხივთა ფრენით სიციცხლეს აჩენს
 და მიწის ბავშვებს
 სიბრწყინვალით ეთამაშება,
 სურს ახავერდოს
 დრო გამზარი ცივი ზამთარის,
 გაათბოს ბუდე.
 ქვეყნიური ბარტყებით საესე,
 ფრინველთ სინაზე,
 მგლები ვროვა, თუ ვეფხის ღრენა
 მისთვის ერთია.
 მას არა აქვს მალული ცქერა,
 ყვავილს თვალს უხელს,
 სიყვარულით ამღერებს ბუღბუღს,
 ქვეშევალ სულდგმულს,
 ამოძრავებს ციურ ზრახვებით,
 ოქროს ნაღებით.
 მწვანეს აცქვევს სიციცხლის ძირებს,
 გამოზრდილ შვილებს
 შუქთა ფრქვევით ეალერსება.
 მისთვის ერთია
 ქვეყნის გლაზა, კაცი მდიდარი,
 ქალი მხიბლავი,
 თუნდ მახინჯი ცხოველის სახე,
 ძვირფასი მახე
 ვერ იმსხვერპლებს, ვერ მიითვისებს
 გზას ნათილისმებს,
 სათნოდ ათბობს მართალი მეფე.

პარიზი, 1965 წ.

სტალინი

შენ ლეგენდა ხარ. გრიგალებში გაუგონარი,
პოლიუსებზე დაბჯენილი მაგარი ჩექმით,
მსოფლიო ტახტზე აყვანილი ქართული გვარი,
წითელი ქვეყნის უღმობელი, მრისხანე ღმერთი.

შემოგსევია სურვილები, სისხლით ნაზარდი,
დაჭრილ სამყაროს აბარბაცებ რკინის მახვილით,
ნგრევას დაჰყურებს ყუმბარებით ცა განაბრაზი,
და დგას დროშები, მკვლელებივით თავებ დახრილი.

საკუთარ მშობელს შეუბორკე ხელი და ფეხი,
კრემლის ტახარში ფამოჰყვეთე შენ ერთა ყმობა,
დალლილ პლანეტას ემუქრები წითელი მებით,
რომ სისხლის დენით წააწერო სახელი: „კობა“!

ჯიჯტი ჯინი მკერდით მოგაქვს, როგორც აბჯარი,
დარჩი ფოლადი ვაუხრელი, რკინა და რვალი,
კოჯორის მთაზე გადატეხე თამარის ჯვარი,
რომ რომანოვთა ყოფილიყავ შთამომავალი.

1945 წ. პარიზი.

ღავითი და კონსტანტინე

ღავითი და კონსტანტინე
წითელ ხიდზე, წითელ ღამით
იორდანის წყალს მიჰჭონდა,
ურდოს ხელით დანადალი.

ცა იშლიდა შეშლილ ხელებს,
ჭექა-ქუხილს ელვა ჰკბენდა,
ჭრილობებით განახელებს,
მზეს ახრჩობდა წყალში ხედვა.

გელათი და მოწამეთა,
სიხარული მზეს წაერთვა,
თუ ვიყავით მაშინ ერთად,
რად დავგვშალა ასე ღმერთმა?!

ვინ მოგვტაცა წმინდანები,
ძველები ძველად დატანჯული,
ხალხის გულით ნატარები,
საქართველოს საღმრთო რჯული.

გეკითხები, მეუფეო,
მე უფერი კაცის ჩრდილი:
რისთვის დარჩა ჩვენი ლოცვა
უშედეგოდ ხელ გაწლილი.

შენსკენ მოვალ, შენსკენ ვიწვევ.
ძვლები მომაქვს ძვლებზე ნაშენს.
მეუფეო! ნუ ივიწყებ
ხიშტის წვირზე დაკლულ ბავშვებს.

ვინც სიმართლე სისხლით ზიდა,
შობის ხეზე მშობლის ღამე,
ხმა წამების სულის ხნიდან,
გვეედრები, შეიწყნარე.

პარიზი. 1964.

თეზარონი ნილის წაღწევა

(ხალხურიდან)

მთებო! სიჩუმის ფარდებით,
 მზით დაისრულო დღეო,
 გოგონავ, შეგიყვარდები,
 „ხევ, ხევ, თებრონეო“.
 იქ გზა ჩამოდის, ბილიკი,
 წყარო ჩუხჩუხებს ღაჭუნდა.
 ბიჭი ვარ, ქალის აწმეცი,
 გადმომიგორდი მკლავზედა,
 მკლავი, მკერდი და ტუჩები,
 წითლდები, გშვენის სინაზე,
 შეეხედავ, გამიყუჩდები,
 გზას ნუ ამიხვევ ჯინაზე.
 გზა მოგზაურსა იძლევა,
 ხმა ისმის შიშველ ფეხისა,
 ხმა მდინარესთან იღვეა,
 შრიალეზ სუნთქვა ვეჭვისა,
 გოგონა მეტად ნაზია,
 წყარო თმა, ტანი მაღალი,
 მკერდი აზიდა აზიად,
 უნდა სიციცხლე ახალი,
 ესმის სიმღერა ბზალდებით,
 მზით დაისრულო დღეო,
 გოგონავ შეგიყვარდები,
 „ხევ, ხევ, თებრონეო“!

პარიზი. 1934 წ.

საუბარი მარჩიელთან

ჰა... აიღე ჩემი ხელი,
 შრომის დანით დანახევი,
 თუ გადაჩა გრძნობა ძველი,
 ძარღვის ხაზზე წინაწერი,
 ეს მაცდური გამოხედვა,
 რად მიმალავს აწმყოს. წარსულს!
 ნუ ატარებ ქალო ავსულს.
 შემომხედე თვალით თვალში.
 რა მომელის მომავალში,
 გაბედული სიტყვით მითხარ.
 შემოგახევ მე შენ ნიღაბს,
 მარჩიელო, გახსენ გული!
 აჰა!.. ფული როგორც საზრდო,
 ცრუ სიმართლის სიყვარული.
 შემომხედა დარცხვენელმა
 და დაიწყო სიტყვა ასე:

გიყვარს ქვეყნის სილამაზე,
 პირდაპირი ვზა მართალი,
 ვით ღრუბლების სიხარული,
 შენი ბედი ეძებს ავდარს.
 განთიადზე დაიბადე,
 მზე შუადღეს დაგილამდა,
 ნუ მოელი, რაც დატოვე,
 ვერ იხილავ ვერასოდეს.

სოფლის ბრუნვას ნუ ენდობი,
შენ ბინაში იყავ მარტო,
რასაც ნატრობ, ზღაპარია,
ლურჯ ფერებში სანავარდო.

მითხარ, მითხარ, კუდიანო!
ნუ დამზოგავს სიტყვა თქმული,
არვინ დამჩა შორეულში
მშობლიური სიყვარულით?
სიჩუმეა! ხმა არ ისმის,
პასუხისთვის მოცხვობს ქალი.
ალარც დედა, დები, მამა,
ალარც მიწა, ვინც მიწამა!?

შენ დაწყნარდი, ქვეყნის გიჟო!
მე გაიმბობ ბედის ამბავს:
იქ წყლის გაღმა დამწვარია
სიყვარულის თეთრი ვარდი,
მძიმე დარდით ღამე დადნა.
ყვავილთ კვნესა ცრემლებს იშრობს,
მებაღემ კი განთიადზე
ხეზე თავი ჩამოიხრჩო.
შენი სატრფო სხვას გადაჰყვა,
წითელ რკინით მკერდ ნამტვრევი,
გადავიდა ძველის ძველი,
ქვეყნის გიჟო, ვის უმღერი?!

აქ რას მერჩი, კუდიანო!
იქ ხომ დარჩა მიწის მცველი!
ჩემი ცრემლი ბაღს არ ავნებს,
განთიადი იხმობს დილას.
დამწვარ კვირტებს სადაც სძინავთ,
გააღვიძებს ყვავილთ მოდგმა.
შენი ზოდვა გადაჰყვება
ჭარიშხალით ნაცემ ტალღებს,

მზე შეაღებს ღამის კარებს,
სისხლის დენით ნაკამკამებს,
ყინვის საზღვრებს გაჰკვეთს წყლული,
ქვეყნიური სიყვარულის.

დღეს იჩხავლე, როგორც ყვავი,
კვლავ მიმღერე სულთათანა,
სანამ ლოდად დაეშვება
არეული ეს ქვეყანა.
ახალ ხანას ახარხარებს
დემონების ციდან დენა,
ყოველივე ცეცხლში დნება,
ალარა ჰყავს მიწას დედა,
განწირული იწვის სული,
რწმენა ბერწი, რწმენა კვდება.

შენ მიმღერე სიხარული,
სიხარული სულ სხვა გვარი.
იქ წყლის პირზე, საფლის ღამე,
ტყის ფოთლებში ციდან მთვარე,
მთიდან სიოს სითამამე,
ქალწულების კოცნა, ხვევნა,
ღამე შიშით ატანილი,
ჭინკები და საცეხველა, —

გვედრები არ თქვი უარი:
იქ ხომ დარჩა ყოველივე
სიყმაწვილის თანამგზავრი?
ქართლის გვარი მამა-პაპა
და კედელზე ცივი ხმალი?!
მაშ, რას მერჩი მაჩიელო?!
სახლს აიგებს ნასახლარი,
წითელ ხმალს ნასისხლარი,
ძველი არის, ძველზე ძველი,
ორთავიან არწივისგან
კუბოებზე წანაწერი:

თუ მოვკვდები როგორც იწერი,
 რა მექნება მე საწყენი,
 უცხოეთის მძიმე ლოდზე
 დარჩეს ჩემი წანაწერიც.
 იდღეგრძელებს ცივი ცრემლი,
 სიყვარულის თეთრი დედა,
 თვალ წინ ვხედავ: ქაილობებში
 როგორ ისმის ხალხის კვნესა,
 საწამლავის ფესვებს თესავს
 ჩრდილოეთის შავი შხამი.
 თუ ამ ღამით ჩემი კუბო
 აიწევა უცხო მხრებზე,
 გოხოვ დამხედო: გამხმარ ხელზე
 დაინახავ გულის ძვერას.
 ასე იყო ძველის ძველად:
 ძვლებს ტოვებდნენ სულის მძევლად.

შინაგებრა-ს

შენ დაეძებდი ბაღდადის ხალიფს
და მფრინავ ნოხებს ოქროს მკლავებით,
ლამაზმანებას ღეთისმშობლის დაფნით,
ძვირფას ჩუქურთმებს ძველი ტაძრების.

ასე გეგონა ღმერთებს დაძლევი,
ზურმუხტის ქვაზე მოქნიდი ვნებას,
როგორც უკვდავი ღეთის პატარძალი
მოიხვეჭავდი ქვეყნად ღლიდებას.

შენში მხურვალე ვნება იწვოდა,
როგორც ყვავილზე პირველი სხივი,
სიცოცხლის ხვეენამ არ შეგიტოდა
და შენც მის მკლავებს დაუმორჩილდი.

ქვაზე მხურვალე ვნება დატოვე,
ისე ვით გველმა გესლი სილაზე,
თვით დიდ ხალიფის მდიდრულ სამყოფელს
აგემე ყინვა და სილამაზე.

როს დამტვრეული შენ გარეთ დარჩი,
ალმასის ქვებმა დაიწყო ნგრევა,
იყავ უვიტი პატარა ბავშვი
და არასოდეს პირველი ევა.

დაწყნარდა დრო და დამშვიდდა სისხლი,
ახალგაზრდობის გიჟური ღელვა,
გულს რომ პერანგი შემოახია
ოჭროს კბილებით დაკბენილ გველმა.

განვლილ ცოდვებში ღამეებს ვათევთ,
მზე ჩაესვენა ყვითელ სილაში,
ვამხმარ თითებით სანთლებს ავანთებთ
სადღაც პატარა ეკლესიაში.

დაგვლოცავს მღვდელი წამების ხატთან,
მოხუცი ცრემლი ლოცვებში ვალობს,
სიცოცხლე ჩემთან თუ არ გინდოდა,
სიკვდილში მაინც მეუღლე ქალო!

1954 წ. პარიზი.

შალვა აშირაჯიზი

გიყვარდა ლხინი, სუფრა ქართული,
ბესიკის სატრფო, ვარდი და ია,
მზიური სევდით ეა აღმართული
და სადღეგრძელო კვლავ ორბელიანს.

სამგლოვიარო არ არის სიტყვა,
გწვავდა თბილისის სევდები წყნარი,
წაწულმა აწმყო თუ ვერ გარიყა,
დარჩები დროსთან დაუფიწყარი.

უმზეო ბაღში ვარდი გაშლილი,
გიცნობს სამშობლო და მისი ზეცა,
გიხმობდა ცეცხლი ბატონიშვილის,
დროშა რომ ხმაღზე ჩამოეყეცა.

გულს ამოჰჭონდა ღამის სიღრმიდან
შოთა, თამარის თეთრი მხედარი,
დალუპულ დროებს სიკვდილით ღრღნიდა,
წითელი ქვეყნის ნათავხედარი.

სატრფოს გამოზრდილს სულისა ვარდად,
აზიზად ქმნილსა დედის აღერსით,
ეწირებოდი, მაინც გიყვარდა
მთელი სიცოცხლე, ულამაზესი.

შენც დაიტანჯე, ისიც იტანჯა,
დამშვიდობების ჩამოჭკრეს ზარი.
თითქოს მომავალს გადაჭრეს მარჯა,
და დაგრჩა უკან ბედის საზღვარი.

• გიყვარდა ლხინი, სუფრა ქართული,
ბესიკის სატრფო, ვარდი და ია,
მზითუნი სევდით ცა აღმართული
და სადღევრძელო კვლავ ოზბელიანს.

უცხოეთს

ერთი ღამით, მძიმე დარდით
 შავ კარავში შევდგი ფეხი
 და მის შემდეგ დღეს დავეძებ, —
 ცრემლებს ვაფრქვევ, ვით მეძებრებს.

სითბოს ნაცვლად ყინვა ყინავს,
 თავდაყირა, უკლმართი,
 გაყოფილა ერთი ბინა,
 წინ — ეშმაკი, უკან — ღმერთი.

ლოკვის ნაცვლად წყველა ისმის,
 ჩრდილოეთი ახელს თვალებს,
 გლაზებს კვებავს, მზე მაისის
 რწმენას უცდის მესაფლავე.

რას დავძებთ გზის მწერებო,
 უცნაურო ქართუს მოდგმავ!
 სინათლეზე მზის მკვლევებო,
 ლამეებში რალას ბოდავთ?!

წითელ ფერში დავლურს უვლით,
სკვიტს მონობა დაუმტკიცეთ,
რწმენა ძვლებზე დაღურსმული,
გაატანეთ კუბოს ფიცრებს.

თქვენ სიძულვილს გული არ გრძნობს,
პოეტს რა მაქვს, სხვას რა მივცე?
ცრემლს ვიწურავ, არვის არ ვცნობ,
ყველასაგან გავიციებ.

მარტოდ მარტო ცივი ციხე,
უცხოეთის კარის კაცი,
ჩემ სიცოცხლეს ძვლებზე იხვევს
სიხარული განაძარცვი.

1943 წ. პარიზი.

უკანასკნელი როკვა

არხვეს მრბევად ტანის ოხვეას
 ხმის ამბორი, სუსტი, ნაზი.
 კოკობ მკერდზე ის გეხვევა,
 ვით მტეენებზე უსურვაზი:
 თუ გაგცვალო სხვაზე ოდეს,
 სხვა სიცოცხლის ვიყო მნდომი...
 მრავალია, გიხაროდეს,
 სიყვარულის ქვეშევრდომი.

რაო... რაო?... ეს რა მითხარ!
 გულით ცივა მემახიან,
 ეშმაკისგან ვარ ნაკურთხი
 და კლდეებიც ქვებს მაყრიან...

ფეხ შიშველა მთის ლეილა!
 მოგონებას დღესაც ვკოცნი,
 წინ — ცხვრები და უკან — დილა,
 მზის სხივებით ანატყორცნი,
 ტან მაღალი, მკერდი თბილი,
 თმის ჩანჩქერში მორცხვი სახე,
 ღარიბ სოფლის ქალიშვილი,
 ყველამ ჩემებრ დაინახეთ
 თხელ საცმელის ნაზი ოხვევა,
 თეთრ პერანგში მკერდი მკვრივი,
 ღბილი მიწა ფეხს ეხება,
 ფეხიც ნაზი, ფეხიც ჩვილი.
 გაფითრება, სახე მკრთალი,
 ტყის ფოთლებში ჩუმი ჰერეტა,

სიხარულით ხმა მართალი,
 ხვევნა ხვევნით გადარხევა,
 ხან სიცილი, ხან სიმორცხვე,
 ხან კი წყრომა შოლტით ხელში,
 მზის ალერსში მზის საკოცნელს
 სიყვარულის ათრობს ეშხი,
 რა თქვი? გსურს რომ დავივიწყო,
 რაც მინახავს, რაც კი მქონდა?!
 ეს სურვილი გახლავს ვიწრო,
 უღლეური თვალთ მაქცობა!
 მაგ შენ თვალებს, იის თვალებს
 თუ ეტყობა წყრომა ავი,
 მიზეზია — სილამაზე!
 ქვეყნიური საღებავის
 გიცქერს ღამე ღვინის მღერით,
 სახე ჩრდილში თერება უბრად,
 როს გეხვევა მავრის მკერდი,
 როცა უკრავს რიმბა-რუმბა
 და შენც როკავ, როკავ ისევ,
 მიჰქრა ფერი, იქ რა ჰქრება,
 უცქერ შექმნილ სიხალისეს,
 კაბა კრძალვით იჭარგება.
 იჭარგება და მაგ სიცილს
 თვით დემონის დარჩა ლანდი.
 იქ, კარებში ვილაც გიცდის,
 გაგაცილებ — შემოიყვარდი!
 შენ მიდიხარ, თითქოს კვდება
 ეს ოცნება, შვილი შველის!
 უჩვეულო მოჩვენება,
 მთის სიციცხლე, ფეხ შიშველი,
 მთის სიციცხლე, მთის ლეილა!
 მოგონებას დღესაც ვკოცნი,
 წინ — ცხვრები და უკან — დილა,
 მზის სხივებით ანატყოცნი.

სიმშვიდე

სიმშვიდე კალამს არ დაენდობა,
 ცრემლები ცვივა სულის საძირეს,
 მისთვის მაწუხებს მე პოეტობა,
 გულში რომ ცეცხლი ვერ დაეძინე.
 დამედევნება ალი-ალმური,
 ძნელია, ძნელი უკუ დახევა,
 ათასი კვენისის ხმა სალამურის,
 ათას ჯერ გული განახევრდება;
 ცამ გადახიზნოს შავი ღრუბლები
 და სამლოცველოდ მივიდე მზესთან.
 სიმშვიდე! ველარ დაგიბრუნდები,
 ყველა დამცილდა, შენც ველარ გხედავ.
 გულზე მედება, როგორც ობობა
 დრო გადასული თეთრი ლანდების!
 სად არის წიგნი? სად არის სკოლა,
 ან გულითადი ამხანაგები!
 ჰაუ... ბიჭებო! ნეტავ სადა ხართ?
 ალიო, სერგო, ნოე, ილია!
 შავი სტრიქონი მისხამს საწამლავს,
 ლექსიც სიცოცხლის საპყრობილეს!
 კვლავ ვუბრუნდები დროთა ნიაღვარს,
 მოგონებები თქვენსკენ მშობილობს,
 დღეებს დავატრევ იმ ადვილს, სადაც
 ქართველი ქართველს ველარ ენობილობს;

1932 წ.

მზეს გაუტყდა

მზეს გაუტყდა ცერზე ოქროს ტარი,
დავიღალე მე ლექსების წერით,
დავიხორკლე მზის სხივებით ტანი
და სილაზე ტარანივით ვწვები.

ვერცხლის ღამეს მოუშვია წვერი,
ბაბუას ჰგავს პირ მღიმარე მთვარე.
სიჩუმეა! მსხვერპლის შემწირველი
შორეთიდან მიწვევს სიმწუხარე.

იზრდებიან თეთრ სიზმრების რკალში
ანთებული ფიჭვი და ლერწმები,
მომდევს უკან თმა ხუჭუტა ბავშვი,
დროს გაქცეულს ვეღარ დავეწევი.

ლურჯი ბარჯები

ვუძღვნი ეთერ ჟაღავას ასულს

ფრინავს ეთერი,

როგორც ელფერი, ჰაეროვანი,
ცის ფერიები.

მრხევად სრბოლებას

იზველივ ფარდები,

უსიტყვო სევდას

რად არის, ნეტავ, ტანჯვა ამდენი
რომეოს ცრემლი და თულიეტა!
თუ სიყვარულის

ლურჯი ტერფებით,

თეთრი ფერები,

ეამბორება.

ვარსკვლავთ ნადენი,

ცეკვაში ხედავს,

ლამე მავრული,

გზა დაკარგული დაეძებს სატაფოს,
თუ სატევიარი, მკეაღში მალული,
სულის სიამეს ჭრილობით ათბობს.

ცეკვეს ეთერი

თეთრი ტერფებით,

ვით დედოფალი ჰაეროვანი,
თელთა მშვენება, სახე ქართული,
ტან ამართული,

ამომავალი.

დაეშვა ფაქდა. ვაფრინდა ფერი,
და მშვენიერი მოჩვენებები.
ისე ვით ქარში ყვავილთ თამაში,
პატარა ბავშვი,

ციურ ოცნებით

ცამ გადაკოცნა,

ლამემ ატყორცნა,

სახელი მისი გაშალა მზეზე.
ცეკვეს სიტურფე ქართული ტერფის,
ეგვიპტის ზღაპრულ პირამიდებზე.

უცნაურად წახვედი

უცნაურად წახვედი,
უცნაურად მოგელი.
უცნაური ღამეა,
უცნაური ყოველი!

დარდი ფიქრის დარია,
დარდი დაუღეგარი,
დარდი ნატერფალია
უხილავი მერანის.

ცა სიცოცხლის მზვერავი,
ფიქრი — შავი ღრუბლები.
ვერ გავიგებს ვერაინ,
ისე დაილუპებები.

პარიზი. 1964 წ.

ასი წლის კოემა

I

ბროლის თითებით ათამაშებ დაქნილ კლავიშებს,
 გიჟქერს წამებით ვაბზარული მიწის თვალეზი.
 ღამე ღრუბლებში ნაბადივით გაშლის ბალიშებს.
 წელთა წუხილის გამოუცნობ, მძიმე ბრალდებით.

ეწყობა ხმები ვით სიციოცხლის ახლად დამწყები,
 ვხედავ შე, ქალო, თითთა თ'თოლამ ხმები დათოვა,
 დასაკარგავად მოიძულებს წარღვნა. მეწყური
 ვინც რომ სატრფოს გზა დაივიწყა და მიატოვა.

ამოჰყავს ცეცხლებს საიდუმლო ძალა ჩამქრობი.
 თითების ცემით სურათები მოგონებიდან,
 მუსიკის კენესა საშიშარი ტალღათა ქროლვით.
 ოქროს ფერ დილის განათება მონგოლებიდან.

მაშინ შორეულ მზის ნაჭვრეტში ცრემლი დიოდა,
 ვადაწვეს მიწა უნუგეშო ცეცხლის ზმანებით,
 სისხლის ღვარებად კლდის ჩონჩხებზე ჩამოდოდა
 ათასი შაჰი და მაჰმადი ნადირ-ხანებით.

ტალღათა მღერას თითქოს მოაქვს თამარის ხმები,
 ფაფარ აყრილი ფრთის კალამი აწყობს ტყაოსანს.
 მაგრამ შეჩერდა სინამდვილე და განარსხებით
 დაიწყო ზეცამ შეტევებზე სისხლით გადმოსვლა.

II

შემოიხურა მუგონებამ ღირ მკრთალი ნისლი,
ჯვრებად გადაშლილ საფლავიდან ხმები ფროვდები,
ნუ თუ შენ, ქალო, ლურჯ თვალეზავ. სრულად იცი
საუკუნეთა ვზა უმზეო, დროთა გოდება!

აღარ იკმარა მრისხანებამ რბივა დიდების,
თითქოს წარმოდგა მემამბოხე წლები ეთად:
შეთქმულთა ღამე გაჩივრების ფერ გაფითრებით
ოცდა თორმეტის მზის სხივებით გამოიკვეთა.

მთებს დაჰფენოდა ცის ჩრდილები მწვანე ნოხებად,
ღამე გულ მღვრიე შორეთიდან ელოდა შველას,
ჰკრთოდა სიჩუმე ჩაფიქრებულ მემამბოხეთა,
დღეს უმზადებდნენ განთიადის ახალ სიმღერას.

მომავალ დროთა სამფლობელო იყო ის ღამე,
ღამე ჩამჯდაჩი მემამბოხე ღრუბლების ქოხში.
ელოდა ბრძოლებს ონავრების სისხლით სიმთვრალე
და დაბრუნება სხივით მორთულ მშვიდ სამეფოში.

იღვა ნეცეში საუკუნის ფერ გაფითრებით,
ქართლისა ბედმა კიდევ ეთხელ გაიავდარა,
თბილისზე სამჯერ გადიარა მეფემ ფიქრებით,
ყორნის ყივილით ღალატთან დაეშვა ფარდა.

III

დიდია გლოვის დაგორება დასაბამიდან,
დიდია დაჭდი და დროები შესადარები,
როგორც სიცოცხლის გასარკვევად ზმა საფლავიდან,
როგორც კუბოზე დაშვებული ჩუმი თვალეზი.

უდგეაზ გრიგალს რად მოჰქონდა ქარიშხალივით
ორი ზღვის შორის დაღუნული წამების მიწა.
როცა ატირდა საუკუნე მოხუც ქალივით.
ქვეყნის დიდებამ იქ სიკვდილი რად დაიფიცა!

ნუ თუ არ არის სხვა ადგილი თავ შესაფარი.
ყველგან მთებია და მინდვრები დაგორებული.
ჩისთვის გახურავთ თქვენ დღეებო ცივი ზაფარი?
ჩისთვის დამდგარხარ, შენ სიცოცხლე, ღაღონებული!

ვინ გამოჰყვეთა ეს გრძნობათა შავი არსება,
შავ ღამეებში ნახშირით გულო ნაშობა.
სევდის ისრები სასიკვდილოდ რომ გეტმასნება!
შენ რას გასუბობს მსოფლიო და შემდეგ სამშობლო?

ყველგან ერთია, ვინც არ იყო, რომელ მხარეში.
მიწას დაწყველი გამოკვეთილს, მრავალ თვლებიანს,
რაც უფრო იწვევ საძიებლად მღვრიე ღამეში.
მით უფრო მეტი შემზარავი უფსკრულებია.

დარჩები ალბათ ისიჯ ჩუმი, კითხვის ამარა,
რამდენი დილა ჩამოჰყენება დროთა ლოდინით,
სიკვდილის ხიდზე ათასებმა გადაიარა,
კიდევ ათას ჯერ დაეშვება ღამე ლოდინით.

IV

ვერ გაუძელი მკრთალ სიმების სევდიან ნიჟნებს,
შეერთა თითები, სამუდამოდ შეწყდა ძახილი
და როცა ჩუმად დააქერდი დაქნილ კლავიშებს,
იგრძენ სიცოცხლე მოწყენილი და თავ დახრილი.

შენი თვალები, ჩამომდნარი დროთა დინებით,
დაულეველი მოგონების მჩქეფარე წყარო,
მინდა მოგტაცო და ქურდივით მთებს გავცილდები,
რომ გული ჩემი სიყვარულის ცრემლით ვაწყნარო.

ჩვენ რად ვიგრძენით უჩვეულო ჩემი ფერება,
დაღლილი დედის საალერსო ჩიტოვით სუნთქვა,
თუ კი მუსიკამ გამოკვეთა ეს მოჩვენება,
მუსიკამ სული სასიკვდილოდ რომ დაიუფლა.

როცა დღეები ამღვრეული ცეცხლებს დამიშენს,
ზეცა მიწაზე ჩამოწვება ღრუბლებ დახრილი,
კვლავინდებურად გთხოვ შეეხო სათუთ კლავიშებს,
გამომადვიძო საიდუმლო სიმთა ძახილით.

პარიზი. 1932 წ.

უცხოელის ლოცვა

ცვივა ურემლები და მოგონება,
ყინვით დამწვარი ვარდის კვირტები,
გადაჭრილ გზაზე რომ შელამდება,
უცხო ბაზარზე გავიყიდები.

რა დამჩენია! ან რა დამრჩება!
გავლილი წელი მომდევს ჭვა-მეხით,
დაჭრილი მონა არ ვადარჩება,
ან ვის რას არგებს, სიტყვის ნატეხი.

გამხდარი სახით, შევადებ კარებს,
გიჟის სიჩუმით შემხვდება ბინა,
შეშლილი სახე ამაკანკალებს,
გულ ცივი ღამეც, მთლად გაიყინა.

იქით ფანჯარა, აქეთ კარები,
შუაში დამდგარა, ქრისტეს პერანგი,
ხელებს ავაპყრობ აკანკალებით,
მაღალო ღმერთო! შენ გევედრები.

მონა მორჩილი შენ წინ ვიჩოქებ,
გამჩენო ძალაე არ მითხრა ვარი,
მიეც პასუხი ამ საწყალ ოხერს,
ბევრი არა აქვს მას სათხოვარი.

თუ ცის გადაღმა აბსებობს ძალა,
და ჩვენ წამებას აქვს საფასური;
თუ კი წმინდანმა სისხლი დაღვარა,
რომ აეცდინა ქვეყნად მაცდური;

მიიხაზ, შედეგი მაინც სად არის,
ვის ემსახურა მოციქულთ კენესა!
დაბადებიდან მღვდამ აიღარი,
სისხლით ნაღები უსასღვრო ზეცა!

საყდარი საყდარს გადანგრევია,
მრევლს ემუქება სისხლის ტალღები,
ისმის ლოცვები და ელევია,
თავ გატეხილი პატრიარხების.

ზეცა დაემხო ნაწვიმარ მიწას,
ძვლებად ქცეულა მოციქულთ ჯაჭვი,
ქრისტეს პერანგი გვალმა ჩაიცვა
და სახრჩობელად აღმართა ჯვარი.

შეწითლებულა შავი ღრუბლები,
თითქოს მიწიდან სისხლი შეუსვამს,
მეც იმ კუბოდან გესაუბრები,
რომელიც რწმენამ ძვლებით დალურსმა.

და გეკითხები უხილავ ზეცას,
წმინდაო ღმერთო, ჩვენ რა გვახაზებს,
თეთრი ტაძარი თუ კი წაგვექცა,
რა მოვიტანოთ შორეულ მხარეს?

დასრულდა ლოცვა. პასუხს აჩ მაძლევ.
გათენდა დილა და მეც გეუბრები,
ცრემლით ვასველებ ღამის სავარძელს,
მემუქრებიან უცხო ქვეყნები.

ქარხანაში

კუძღვნი თ. ჭ.

დაღლილ საათებს ღამე დაათრევს,
შუა ღამეა, ღრინავს მანქანა,
ძილი მოსვლია ფერ წასულ მთვარეს,
ღამემ ლანდები გადაატარა.

ფიქრ დატვირთული ვიძგერის გული,
მხრით ეზიდები ფოლადის უღელს,
წინ გეფინება ტკბილი წარსული.
— ორე - ხი- ორა — გასძახი ურემს.

თავზე შიშველი დაგცქერს მაშინა,
შემოგხვევია რკინის კუდები,
გამოჩნდა სახე, რამ შეგაშინა?
ტკბილი ოცნების მწაჭე წუთები.

დედიკო... დედი... მაგწამ მოგშორდა,
სახე კანკალით გაჰყვა აწრდილებს,
აღმათ სურვილი უბით დაგჭონდა,
ქარხნის ხმაური ვადმოგაპირეს.

ქარხნის საყვირი ცად აზიდულა,
ნერწყვი გიშრება გამშრალ ენაზე,
მანქანა ღვედზე ვადმოკიდულა,
როგორც ყაჩაღი სახრჩობელაზე.

ისევ ლანდები აღარ გასვენებს,
 ცეკვავს ქამარი რგოლზე მბტუნვარე,
 ჭზინავს დინამო, ღვედი სანსალეზს,
 ფცქერ მანქანას სახე მწუხარე.

მუნჯი სხეულის ლალი ოცნება,
 სატრფოს ცრემლებში გრძნობა მალულს,
 მოგონებებით გიორკეცდება
 სოფლის გოგონა და სიყვარული.

ნაღეს ფოლადზე გამოჩნდა სახე,
 როცა თვალები სიამეს თვლემდა,
 მოგეაღერსა, ხელი შეახე
 და დაიბღავლე: „მიშველე, დედა!“

ქართულ დაძახილს ვინ გაიგონებს,
 თავზე გემსხვრევა ქარხნის ხითხითი,
 შორეულ მთის შვილს ვინ შეგიბრალებს,
 სატრფოზე ფიქრმა მოგტაცა თითი!

აღბათ გოგონა ცეცხლისა პირას
 ცრემლებით გიქსოვს მხურვალე აღერსს,
 იქ ზამთარია, ცივა და ყინავს.
 შენ კი ნატვრაში თითი ვაცვალე.

პარიზი. 1930 წ.

კატა მტრედს იპერს

კატა მტრედს იპერს თეთრი კლანჭებით,
ძალლი კატას კბენს და ემუჭრება,
ძალლი ძალღური გადაჭარბებით
საკუთარ პატრონს ეპატრონება.

და კატის გრძნობა თითქოს სათუთი,
ატყვილებს გულს და სიყალბეს იხმობს,
თაგვთან ვეფხია თვით კატის კნუტი,
როცა სიკვდილი სიცოცხლეს ითხოვს.

მწიერი ბავშვი ტირის ქუჩაზე,
არა ჰყავს დედა, არა ჰყავს მამა.
არვინ არ უცქერს, არვის არ უნდა,
ლუკმა ძალღურად წაართვა ძალღმა.

ილიას

თავზე დაგვენგრა დიდების დილა,
ლეგა ღუბლები აქოვს არწიას,
ბაზალეთის ტბას ცრემლებში სძინავს,
ოქროს აკვანიც ქარიშხალშია.

ძარღვებში უნდა გეყაროს თევა.
მკერდში გამხმარი გულის ფუღურო,
როცა ტკივილი ცრემლებად ცვივა,
დედის საფლავთან აქ დაიღმეველა!

არ იგრძნო სულის მხუთავე გმინვა,
გაგიმეორდეს განცდა მოხევის,
როცა ლოდებად ჩამოწოლილა,
სისხლ შემურული შავი ჩოხები.

გულით უდაბნო მოაქვს ღამეებს,
ლეგენდებივით დგებიან დრონი,
უფსკრულებიდან ისვრინ თვალებს,
ათასი წლობით ხმა თანასწორი.

ვერ იხსნა მიწა ამდენმა ლოცვამ,
სახე დაღრეჯით დგანან ღმერთები,
ტუჩები სისხლით გადაიკოცნა
დამასკის რკინით ხორც ნაკვეთები.

შეწყდა ბრძოლა და ხმამ დაიძირა,
 თებერვლის ქარი მოთქვამს ქალივით,
 ჯვრებ გადამტვრეულ საფლავებს სძინავს,
 მკერდ გარღვეული გორგასლანივით.

დაჭრილ სიცოცხლეს ლოკდნენ ლეკვები.
 ტყვია — ნატყვიარს, ტყვიის დაწევა,
 პირ სისხლიანი ზარის შრეკველი
 და კუბოების მაღლა აწევა.

შვიდმა შეიპყრო მტრის სითამამე,
 გადატყდა ბრძოლა, ჩაეგო ხმალი.
 შეიწრო სისხლი მთაწმიდის ღამემ
 და საფლავების ნამოსახლარი.

წამოდგა სახე მკვლელობის ხნიდან.
 სახე მრისხანე, ვით საქართველო
 და ზრბოს შესძახა შუბლ დატეხილმა:
 მეორედ მომკალ, გესმის, მტარვალო!

დღეს საქართველო თავ დახრილია,
 შენზე ნატყვიარ განწირულ ბედით,
 ისევ გეძახის: — დიდო ილია!
 შემუსრულ დროთა შარავანდედი.

1932 წ. პატიზი.

მზე მწვავს

მზე მწვავს,
 ლექსს ვუძღვებ;
 მზე კანს მწვავს,
 ლექსი — გულს,
 მხურვალე სიხარულს,
 ამ ქვეყნად არ ნახულს,
 ცის ჭუჭრუტანებში
 სხივებით დათალხულს,
 მზეს უკუ ვუბრუნებ.

ამ ღამით იღრუბლებს
 სიშავის შენებით,
 გაუვალ ღამეში
 ჩვენ გადავშენდებით.
 და თუ არ გაგვწირა
 ბედმა განწირულმა,
 დილას ამოვიყვანთ
 სიკოცხლის მშვენივლით.

სირ-ლე-მელო. 1964.

შეკითხვა ვ. ნ-ს

შემოისისხლა ფიჭვმა კალთები,
დედამ ძუძუსე დანა დაირტყა;
თუ გიყვარს მიწა და ხარ ქართველი,
გვითხარ: მკვლელობის პირველი სიტყვა.

აღბათ სუფევდა ქართველთა შორის
შური და მტრობა, შური და შუღლი,
რომ არ დაინდო ტყვიამ ნასროლმა
მოხუცებული ილიას შუბლი.

შენ გეკითხები, ჩემებრ მყოფელო:
რა ვართ ამ ქვეყნად, თუ არა მტვერი...
ო... უცნაურო წუთისოფელო!
სიკვდილმა მოჰკლა სიკვდილის მტერი.

პარიზი. 1932.

ეიფელის კოშკიდან

ჩონჩხზე მიბობლავს
 შავი ობობა,
 შემდეგ მწვერვალზე
 დინჯად დაჯდება.
 თვალსაც არ ჯერა,
 გულსაც არ ჯერა
 რკინის ხვეულთა
 ეს გამარჯვება.
 ქვევით ქალაქი.
 ელექტრო-ჩქაფი.
 ქალაქი ცუქლი.
 ქალაქი სწრაფი.
 ეშორდები, მივალ
 მაღლა და მაღლა,
 ზეციურ ხმების
 მიმაქვს საკრავი.
 რა პატარაა
 ქვევით ქვეყანა!
 რა პატარაა
 და გულ საკლავი!

1936 წ. პარიზი.

შრომის ძვლებზე ანაგებს

ზა-ჰეს,
აბ-ჰეს,
რიონ-ჰეს.

შრომის ძვლებზე ანაგებს.
შავი რკინის კბილებით
ქართულ მადანს ალაგებს.
იშლებიან მონები.
ტყვედ ქცეული წააქვით,
პოეტების კრებული.
შეშინებულ წერა-ქვით.
იწრიტება მდინარე,
ვით ძაღვები ჯუღელის.
და ხითხითობს რკინის ნზე,
სისხლში ანადულები.

ზა-ჰეს,
აბ-ჰეს,
რიონ-ჰეს.

ხალხის ძვლებზე ანაგებს,
ჯაყოს წითელ კომბალით,
კრემლის ძალა განაგებს,
უსახელო საფლაგებს,
ელ-მნათები ანათებს,
ფერ გადასულ მანათებს
ეხვევიან ბუხები.

ვინ იქნება «უზრდელი».
 კრძალვას ვინ აუკრძალავს.
 იშლებიან ბუზები,
 მტვერიანი ქარხნების.
 და დანგრეულ ტაძარზე,
 მამა-პაპის სახელი
 საქართველოს ლოცვანის
 წიგნში ამონახვევი.
 როგორც დროშა ნარხევი,
 მრავალ ბრძოლის მნახველი,
 თამარ მეფის სახელით
 მიწას ემშვიდობებდა.

ზა-პეს,
 აბ-პეს,
 ჩიონ-პეს,

ეამიც ასე გავიდა,
 ვანკა-სტანკა იცინის
 ქარხნის გალავანიდან.

მე კალმით ვკინძავ

მე კალმით ვკინძავ გრძობის ნამცეცებს,
 ხმა პოეზიის მზეზე ცოცხლდება,
 კოდვილ მიწიდან ცა გამიტაცებს
 და თეთრ სიზმრებში ცეკვავს ოცნება.

ტრფობით შევქმენი, ტრფობით დავწერე,
 კალმით მოვხაზე ჩემი ცხოვრება,
 მშრალი შაირით ვიმშალე ტრემლებს,
 დამცინის დროთა განმეორება.

რად მინდა ქვეყნის ყალბი სიცილი,
 შეშლილი სახე თეთრი ძვლებისა,
 ოქროს სხეულში გველის სისინი,
 ან სიხარული მძლეოთა მძლევისა.

სევდით დავყურებ საცოდავ ბინას,
 დაღამებიდან დღეს ველოდები,
 თითქოს სამყაროს კუბოში სძინავს,
 ჩამწყკრივებულა შავი ლოდები.

მკვდრებს სისხლის ჯვრები ნიაქეთ საფლავზე,
ცეცხლის ენებით ელავს ხანძარი,
დამდგარა ჩონჩხი უფსკრულის ქვაზე,
ამაყოზს ძვლების მთავარსააღალი.

მე კალმით ვკინძავ გრძნობის ნამცეცებს,
ხმა პოეზიის მზეზე ცოცხლდება,
ვოდვილ მიწიდან ცა გამიტაცებს
და თეთრ სიზმრებში ცეკვავს ოცნება.

1942 წ. პარიზი.

ლ. ბ.

შენ გეძახოდნენ მკვლელობის მეფეს
და განდიდების იუღლე ღამე,
ვერ გაუძელი ცას ანაფეთქებს,
დამწვარ მიწაზე ძვლები ალაგე.

სახლი აშენე დაკლულ პაემებში,
ხელი ნამგალი კუბოებს კრიდა,
შორს გაიხიზნე, როგორც ყაჩაღი,
საკუთარ ბინის შენ შეგეშინდა.

წითელ ფერებში სისხლით ნანთვრალებს,
ჩაქუჩ-ნამგალის მაცდუნი ჯვარით,
ბრბოთა ბრუნება ვერ დაამთავრე,
მზის უმზეობამ მოგიკრა თვალი!

ვერვინ გიშველის მარტო ხარ... მარტო,
წითელ წიგნში გამომწყვდეული,
სიცოცხლის ჰაერს სიკვდილში ნატრობ,
მტერი მტრისაგან კვლავ დაძლეული.

გულში გული ძგერს, ველაჲ დავჩუმდი,
სისხლი გვაქვს ერთი — ღმერთმა ეს ბრძანა.
ზურგიდან უშნო, მუდამ ლაჩრული,
სლავიანუნი დაგარტყეს დანა.

და ახლა შიშით დაკარგულ კუბოს,
ცხვირ აწეული უყნოსავს მატლი.
წყვეტილი იყოს შენი სახელი,
არ შევრცებია სამშობლოს მადლი.

1953, პარიზი.

დრო გარდასული სინამდვილე

სისხლი აჩნია ქართველის ლუცმას,
გული და გრძნობა, თავი მოყვარე
ტოვებს სიყვარულს სიკვდილის უკან
და ეგებება უხილავ მხარეს.

ქორწილი არის უშლელი ვაჭდის,
თამაღობს მთვარე, სიჩუმით ბრძენი,
სიცოცხლის ძალავე! თუ კი ვიყვარდი,
რად შემადღლე სავალი გზები?!

რად მათქმევენე უძღური სიტყვა?!
რად დამიხიე გულის ფარაჯა!
რად დამაყენე ღამის წინაშე,
უცხო საფლავზე ერთგულ დარაჯად?!

სიცოცხლის სხივი მზეს შეუერთდა,
მზეს ანაცრემლებს, ოქროს ღილიანს,
ჯვარით დაგველოცა მალაღმა ღმერთმა,
მიწას აკოცა ბრძენმა ილიამ.

სამოთხის კარი შეაღო ბედმა,
ვიგრძენით ძალა, ძალა უვნები
და განთიადზე ერთად ამღერდნენ
წელ ამართული საღამურები.

ქვეყნის მხატვარმა გაშლილ ტილოზე
შინდის შრიალით შეღება სვეტი,
ვადანხდა ბრძოლა ზაგრატიონებს,
გამარჯვებული ზის პრეზიდენტი.

შემდეგ რა მოხდა?! ო... ღმერთო ჩემო!
გთხოვ დამავიწყო, ნუ მომაგონებ,
უცხო შორეთში მივდივარ მარტო,
წარსულს სიზმრების ზღვა მიაგორებს.

კიდევ ახალი წელი

გარდაიცვალა ძველი,
წელმა წლები დაჰკლა,
კიდევ ახალი წელი,
კიდევ ახალი გაყრა.

თორმეტს გადაცდა წუთი,
ცამეტი ცერზე ღვება,
ბრუნავს სიცოცხლის ბურთი,
ჩვეული მოჩვენება.

და როცა შეჩერდება
თვალეში უკუხედვით,
მოჩანს. ვით შეჩვენება,
შავებში თეთრი მტრედი.

1963. პარიზი.

შავი საათი

საათმა მორცხვად დააწკრილა,
 ფეხად სიზმრებში ვათენდა დილა.
 თითქოს დაიმსხვრა ტკობის ფიალა,
 მზე ფანჯარაზე გადმოწოლილა!
 გაათ ფერხული რომ გაუმართავს
 ქარხნისა საყვირს და რკინის კაცებს,
 ფოლადის ღერძზე ცეცხლებს დაართავს,
 ქალაქი იქსოვს ელექტრო-ფაცერს.
 მე დაღლილობას ვეღარ ვეჭვი,
 წუხელ ნასიზმარს ვიგონებ ამბავს...
 ცაზე გაშლილა „პროპელერები“.
 ქვეშ გადმოყუტებს ჯავჯნიან ქალაქს.
 ო... ეს სიზმარი... წუხელ რა იყო...
 ნეტავ იმ ძილში მოვეკალ ვინმეს...
 მზე მთის მწვერვალზე გადმომდგაიყო,
 მიწას აყრიდა ოქროს ფერ მძივებს.
 თავს ვებვევოდი ქოჩორა ქოხებს,
 სამ ფერ აწივით ბავშვივით მორთულს,
 სოფლის გოგონა მირეკდა ძროხებს,
 გზა სახრებით იხმოზდა ურმულს...
 ცვარით დანამულს გავცილდი მინდორს,
 მწვანე ნოხებად ეზო გაშლილა,
 თეთრი ზვიტები მოჰქონდა რიონს,
 მხრებზე კლდეები გადმოეწვინა...

თქვენ, ძეგობრებო, იქ იყავთ ყველა,
 მოგონებებით გული ხარობდა,
 ხალხში ვმღეროდით ხალხურ სიმღერებს,
 ხალისი მთებში დანავარდობდა!
 დანგრეულ ქოხში შევადე კარი,
 იქ დავინახე მოხუცი დედა,
 მას ცივ ფიცარზე დაედო თავი,
 გამხდარი სახით გადმოიხედა...
 შეშინებული შეჰკრთა, გაოცდა:
 — შენა ხარ, შეილო? მითხარი ჩქარა...
 ავტირდი, უნდა გადამეკოცნა...
 საათმა მორცხვად დააწყვიტა...
 სურვილი შემრჩა გამშრალი ბავის,
 სწულ დედასთან მსურდა აღეწი...
 ასე დამთავრდა იმ ერთი ღამის
 სიხმარი ცხადზე უსაყვარლესი...

1930 წ. პარიზი

სააზარაკო წიგნაკიდან

მზეს ვემალები,
 მზეს ვემალები,
 არ ვემალები.
 ის მემალემა
 ოქროს თვალემა.
 სხივთ გამრავლებით
 მიემალემა
 ღრუბელთა დენას,
 ღამე ღამდემა,
 ღამე ნაბდდემა,
 ღამე კეთილი,
 ჩამოკვეთილი
 შავ ქანდაკებად.
 სწრაფი მდინარე,
 სოფლის სიამე,
 ხმათა სიამე.
 ჩქერის დაფდაფი
 და თეთრი ქაფი,
 მალი სისწრაფით,
 ტალღათა აფრით
 შორს მიეჭანება.

სირ-ლე-მელო. 1964.

აღანიანი

ჩემ სხეულშია შავი სისხლი და საწამლავი,
 მძლავრი და სუსტი, შემართული თეთრ სატევარით.
 სამი მტევანი იწურება სიკვდილის ქვაზე.
 გადავლილ გზაზე ლოდებს აწყობს ველური კაცი.
 ჩემ სხეულშია ჩონჩხის ღამე, მუდმივი ომი,
 ბორკილის რგოლი, დაგრეხილი ძარღვების ძვრით,
 წითელი გველი, შავი კუდი და მორიელი.

ჩემ სხეულშია ატომები, ატომის მშვეები,
 მოტორის მტვრევა, ცა, ხმელეთი, ზღვა უდევარი,
 სიკვდილის ხმალი, კალიფულა, მაკედონელი,
 ხმა გარბაღდის და მღელვარე ნაპოლეონი;
 ვარ სამართალი, დაბადებას სიკვდილით ვსაზღვრავ,
 ჯალათ სიყვარულს უნუგეშოდ გულში ვატარებ,
 ვბადებ პატარებს სასიკვდილო შავი წვეთებით,
 საკუთარ სისხლში სიხარულით დავეხეტები.
 ჩემ სხეულშია ქრისტეს მკვლეელი და თეთრი ჯვარი;
 მსოფლიოს ჯარი, თვით სამშობლო, შავი ჯალათი,
 ღმერთის ხალათი, სიყვარულის ღამე - ღალატი,
 გლახის მანათი და სამეფო კრწყინვალე სკიპტრა.

ჩამოდის ღამე დახერხილი შავ-შავ ფიცრებად,
 ინძრევა მიწა, როგორც კუბო, ძვლებით ნაჭედი,
 ტლანქი სხეული უდევარი იგრიხავს კუნთებს
 და ახრჩობს წუთებს, როგორც ძაღლებს ქვეყნად ყოფნისა.

პარიზი, 1945 წ.

316 თქვა

ვინ თქვა, იმედმა გადაიხარა.
მზეს დაეუფლა ღამე წყველიადი
და აღარ მოვა მთელ სიცოცხლეში
სხვა საოცნებო, სხვა განთიადი!

ზღვა სიხარულით ისევ მოჭარვავს
დრო-ვამს დაჩეხილს დაყრილს გვამებად,
ვინ თქვა, რომ აღარ ძალღმს მომავალს
ახალ ცხოვრების აგრიგალება!

ზოგორც შუა ცეცხლთან ზღაპრები ძველი,
დედის სიმღერა მეც მსურს მესმოდეს,
რად მინდა ნატვრა დაუღეველი,
თუ ვერ ვიხილავ ველარასოდეს!

1933 წ. პარიზი.

შემოკრულება

ვუბრუნდები ბუნებას,
გული მესაუბრება:
გაიხარე, გამახარე
ისევ დაგვიბრუნდება.

ლურჯი ცა იხურება,
მოოქრული ლურსმეებით,
ტყეში სიო იცინის
მთების თავისუფლებით.

გაიხარე, გამახარე,
კლდეს ჩანჩქერი ეძახის,
შემოდგომის ოქროს ხარებს
ეხვევიან ლერწმები.

გამარჯვების ბედისწერას
მწვანე ულლით ვეწევი,
მზე თვალების სხივთა მზერის
სიცხით დავილეწევი.

სულში ბავშვი გაილიმებს,
ამღერდება ლერწმები,
გადახიზნულ სიყმაწვილეს,
გულო, ვერ დაეწევი.

1961 წ.

პროკოფი აბულაძის

(ჩემი ამონი)

საფლავში ჩაგყვა შენ სიმწუხარე,
 მზე პოეზიის სხივთა ხვეული,
 ლოდად დაგადევს უცხო სამყარო,
 ზღვა სიყვარულით იყავ სნეული.
 დღეს პოეტისთვის გლოვის კვირეა,
 მარცვლებს რომ ითვლის სიტყვის ფესვები,
 „კავკასიონ“-ში ძმობას ეძახის
 აცრემლებული შენი ლექსები.
 შენ გიტაცებდა სხვა მელოდია,
 კოჯორის ცეცხლში მებრძოლის ფიცი,
 დღეს აწერია საფლავს ლოდიანს:
 —თუ არ გავთავდი, არ გადავიწვი —
 ტუჩის კანკალით დედას ვერ ნახავ,
 შენ სიცოცხლეში რასაც ნატრობდი,
 „გავუწორობდი ხელებს გადამხმარს
 „და სამარეზე დამედო ლოდი“.
 როგორც ჩანჩქერი, სიცოცხლის ჩქერი
 შეჩერებული, ადგილზე ჰქრება,
 უსახლკარობას ვერ გადაურჩი,
 უცხო ქვეყნიდან წავილო ზენამ.
 იქ ზეციურში გულში ჩაგიკრავს
 ჩვენი თავობის საქმე კეთილი,
 მზეს წინ უზიხარ, ვით ქანდაკება,
 სახე ცრემლებად ჩამოკვეთილი.

შემოდგომაა

შემოდგომაა, არვის არ ველი,
 მხოლოდ ზამთარი, ცივი სტუმარი,
 ბედი ასეა: ყველგან ქართველის
 ქარებს გაჰყვება მზის საუბარი,
 რომელ დღეებზე ტიროდა იგი!
 მოულოდნელად გადაფრენილი,
 იშვა შორეულ შავი თაბილით,
 დაბადებიდან დღისით დევნილი,
 ხმა გაეყინა და თუ ვერ მღერდა,
 ვარდის თვის ვაჭდთა ჭკნებოდა რიგი.
 როცა სიცოცხლე სიკვდილთან შედგა,
 რომელ დღეებზე ტიროდა იგი?

სალამოვდება

სალამოვდება და მზე იცინის,
 დასავალს სერავს ცეცხლის დანებად,
 სხივების წვიმა, ფერთა თამაში,
 მიწა შეკრული ცისარტყელებად,
 მთის ფერდობებზე ღამე გორდება,
 შავ ფოთლებიან თაიგულებით,
 სახე ბავშვობის მომაგონდება,
 მზე ჭანთიადის სალამურები.
 თეთრ ბილიკებთან. მდინარის გაღმა,
 მეტუნებოდი: „გაიყო, რა იყო?!“
 შავი თვალები, როგორც ზღვის ტალღა,
 განრისხებული ორად გაიყო:
 მე სიყვარულით ვიყავი მთვრალი,
 თითები თრთოდნენ გადამწნილ თმებზე.
 იცან წარსულის ნამოსახლარი,
 ჩრდილი დაირხა თეთრ ბილიკებზე.
 ნაზი ნაბიჯით აქსოვდი ალერსს,
 მწუხარე გული სადღაც კვდებოდა,
 ხეებში თავი გაეყო მთვარეს,
 მთვარეს, რომელსაც ჩასძინებოდა.

ცოცხალ საფლავს

ცოცხალ საფლავს ვინ დარაჯობს,
 ან ვინ არის შესაფლავე?
 მწირი მიწა ძვლებით ვაჭრობს
 და იმედებს აართავს ღამე!

ღეღამ შესვა ცრემლთ ნალესი,
 ცივი ღამის სააე-გლახო.
 ნაბიჯებზე ვილაც კენესის:
 სასაფლაო, სასაფლაო!

სად ხარ, შეილო, საით გძინავს,
 ან სად ჰყრია შენი ძვლები?
 განთიადზე ცისარტყელამ
 მზეს შეაწნა შენი თმები!

დავდივარ და გეძებ, ვტირი,
 უცნობ ტყეში მინდა გნახო,
 დამიბრუნე ჩემი შვილი,
 სასაფლაო, სასაფლაო!

ცხოვრების აზრი

ცხოვრების აზრი თვით სოფელია,
 მტრედის ფერი ცა, თეთრი ქალები,
 დღეები ტურფა და ოფელია,
 სუნთქვა სხეულის აელვარებით:
 ღვინო გაღვივდა, გრძნობა ვროვდება,
 ასწიეთ მაღლა, დასცალეთ თასი!
 ასე გადიწუა ჩვენი ცხოვრება,
 წელთა აღრიცხვა ორი ათასი,
 ასე დავყვეით დაბლა დაისებს,
 ვზივართ ყინვებით აგებულ ქოხში,
 ცივა — დასცინის გზას ნამაისებს —
 დღეს დაკარგული თამარის ქოხში.
 ო... ამ ღვინოში არა მყავს მტერი.
 ო... ამ ღვინოში მეგობრებია.
 თუ კი ღვენილი სიცოცხლეს ვწყვევლი,
 თბილისის ძუძუ მთლად შემრგვებია.
 თუ ეს ასეა, ღამეც ნუ ტირი,
 ბრძოლა მომავლის არ მსუჯს შენელდეს!
 ყველას მივუძღვნათ ჩვენ სიყვარული,
 მეფეს, ჯარისკაცს, აღმაშენებელს.

1934 წ. პარიზი.

დაუსრულებელ სამსხვერპლოდან

მე რომ ბედი მქონებოდა,
 აგვისტო არ დადგებოდა.
 ვინც მიყვარდა, ის მომიკლეს,
 მეტი რაღა იქნებოდა!
 მეკუბოვე! კუბოს ნუ თლი,
 მესაფლავე! ნუ ხარ ფლიდი.
 არ მომკვდარა ჩემი სატრფო
 და იმისთვის საფლავს ნუ თხრი.

ხალხური

ლამემ გრიგალი განიშეორა,
 შემოიშდვრია ღრუბლების ჯარი,
 თითქოს დაადგეს გულს გუმბათებად
 განცდა ოცნებით ნაბილიკარი.

ვემორჩილები შავ ბედის წებას,
 მიწას მკერდ გახსნილს ცეცხლის ღიღებად.
 რა მიზანი აქვს ლექსების წერას,
 თუ არ სიმართლის ქვეყნად მხილება!

ვის რას ვერაზოდით! ვინ რას გვერჩოდა!
 როცა სიცოცხლით სისხლი დავღვარეთ!
 რისთვის გაგვწირა ჩვენ ჩრდილოეთმა?
 გახოვთ შეეკითხოთ თებერვლის ლამეს.

მზეს ქარიშხალი მოასკდა ოხვრით,
ზეცამ გრივალი განიმეორა
და მოჩვენება, სიკვდილის ჩონჩხი,
აძლევედა მიწას სამხედრო სალამს.

აეარდა ტალღა უეცარ ომის,
გრივალმა გმირებს ზურგიდან დაჰკრა
და საქართველო, ახლად ნადგომი,
ცეცხლის თხრილებად გადაისანგრა.

რა მოხდა განა გაუგებარი!
სიტყვის გამტეხი ქვეყნის თესლიდან,
როს საქართველოს ბედის მზვერავი,
ჩრდილოეთიდან შემოესია!

დაბრუნდა დროთა განმეორება,
შველს ვერ შველოდა სისხლი ნუკრების,
წმინდა გიორგის ფიცის თავდებად,
ემსხვერპლებოდნენ მტერს იუნკრები.

დამგლოვიარდა დროშა სამფერი,
დამარცხდა ჯარი, თავს არეინ ხრიდა,
გადამალა გულში ქართველი,
გულ დაისრული თებერვლის დღიდან.

როცა ოცნებით გადაშლი ფურცლებს,
მოვონებები გულს მოაწყდება,
ძვლების კორძებად მიწა ცას უცქერს,
განწირულ გმირთა გამოდის წყება.

წინ მიუძღვება თეთრი რაინდი,
წმინდა ლაშაზის ნაკურთხი ხმალით,
ჩოლოყაშვილი, მთების არწივი,
ავგისტოელთა მთავარსარდალი.

შეფიცულთ გუნდი მტერს შეემიზნა,
 ცამ ვადასახა ვაზისა ჯვარი,
 გულს ამოჰჭონდა ქვეყნის დიდება,
 ვით უცოდველი თეთრი ხანჯალი.

ქართული მოდგმა სიზარტლით მძლეობს,
 ქართული სისხლი, დედის აკვანი,
 იწევდა მტერზე მხნე საქართველო,
 ერთი კაცივით ნაქანდაკარი.

ამხედრდა ხალხი გარეთ და შიგნით,
 სოფლები იქცა ცეცხლის ძალებად,
 რუსული ხიშტით ღამე ნაშიგნი,
 ჩამოდიოდა სისხლის ღვარებად.

ბრძოლაში მოჰკლეს სოფლელი ბიჭი,
 დახრილი მთები ჰკრეფდა იარაღს,
 გამარჯვებაში არ იყო იჭვი,
 მაგრამ ქალაქმა დაიგვიანა.

იმ ბნელ ღამეში საბურთალოზე,
 იდგა სიჩუმე და დროთა ზიდი,
 მიწა ბადებდა შავ ანგელოზებს,
 საუკუნეთა დგებოდა რიგი.

ბრძანება — ცეცხლი — სიტყვა შეჩერდა,
 განგების ძალამ დაიწყო ღელვა,
 ზელებ გაკრული ტუსალებიდან
 ცამ შეიხიზნა ქვეყნის სიმღერა:

ჯალათებო! დავეცემით,
 დავეცემით ტანჯულ მიწას,
 დედა ღმერთის თეთრი ცრემლი
 ჩვენ მიგვიღებს, არ გავგწირავს.

გევედრებით მეუფეთ,
წმინდა ქვეყნის საღმრთო რჯულსა!
ნუ გასწირავ ჩვენ ქვეყანას,
ქრისტეს ჯვარით დატანჯულსა;
თვალ წინ ვხედავთ სასაკლავოს,
ძვლებში აქნილ განსაცდელსა,
გაუმარჯოს საქართველოს!
გაუმარჯოს ქართველ ერსა!

ტყვიამ დაცხრილა ხმა სამაისო,
სიკვდილის შიშით გადაუმშრალი,
ქართული მიწა ძვლებით აივსო,
ქართული მიწა ნაჯაშუშარი.

ბრძოლა მიმოვლით გადაიხიზნა,
გამარჯვებული იდგნენ ბრბოები,
ამოეთარა სამშობლო მიწას
ათი ათასი აგვისტოელი.

ალარც მზე იყო და ალარც მთვარე,
ლამე ეკიდა შავი რქებივით
და ჯალათები ქალაქის გარეთ
მოსჩანდნენ მრავალ წერტილებივით.

1932 წ. პარიზი.

სმენა სიჩუმეს

ასწიეთ დროშა,
 ჩვენ სიტყვები
 არ გესურს, არ გვინდა.
 შესდექ მოჭადაგევ!
 ამდენს ნუ როშავ!
 განვლილ დროების
 წარბ შეუხრელ
 სიმწუხარიდან
 ზღვა ქარიშხალი
 მომავალში
 გვიამბობს ალბათ,
 როგორ იბრძოდა
 ხალხის ძალა,
 გამძლე უტეხი,
 სხვა იყო მეხი,
 სისხლის დენით
 მიწა რომ გაღბა.

სიტყვებს ნუ აქნევთ,
 მომავლის ცრემლი,
 მოდის აჩრდილი,
 სახე წარსულის.
 დრო ითხოვს საქმეს;
 ასწიეთ მაღლა
 გლოვის გვირგვინი,
 სამფერი დროშა,
 შავ ჩარჩოში
 მაგრად ჩასმული.

ვერვინ დაანგრევს
ხალხის ძვლებით
აგებულ ციხეს,
გადათხრილ სანგრებს
ემთხვეოდა დედის ძახილი,
სცემდა ყუმბარა
და სიცოცხლე თავგატეხილი,
სხვა იყო მიწა,
სხვა იყო იქ ცა.
შესდექ მოჭადაგევ!
სმენა სიჩუმეს!
აგვისტოს ღამე
უსახელო საფლავებად
რომ გადაიქცა.

პარიზი. 1931 წ.

ორი მეუღლე

აკაკი წერეთლის დაბადებიდან 120 წლის თავზე

ერთი უღელის ორი მეუღლე,
საუკუნეთა უღლეელი ტვირთი,
ხალხური გრძნობის დიდი მეუფლე,
აკაკის კენესა, ილიას ფიქრი.

თქვენ დაიბადეთ, როგორც ობლები
საუკუნეთა დამტვრეულ ძვლებზე,
დაგხვდათ წარსულის წინამორბედი,
სულის წამება, გრძნობის სინაზე.

ქართულ პარნასის ციხე ნანგრევი
და ჩრდილოეთის მრისხანე ქარი,
ორ თავეანი არწივის გველი,
გველი. გველური ენით ნაქარგი.
თქვით:

„ჩვენი თავი ჩვენვე გვეუღნეს“,
„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი!“
ღვთიური ძალით კვლავ ააჩქევთ
გენიით სავსე ქართლის ენგადი!
ვინ დაივიწყებს!
ქალარა სიტყვებს:

„არ მომკვდარა, მხოლოდ ძინავს
და ისევე გაიღვიძებს.
ვინც შენატრის იმის სიკვდილს,
უმაღ მასვე დაამიწებს!“

სანამ იღინებს თერგი, რიონი,
სანამ სიციცხლე ცოცხლობს მიწაზე,
თქვენზე ილოცებს წმინდა სიონი
და საქართველოს სულის სინაზე.

ერთი უღელის ორი მეუღლე,
საუკუნეთა უღლედი ტვირთით,
ხალხური გრძნობის დიდი მეუფლე,
აკაკის კენესა, ილიას ფიქრი.

1961 წ. პარიზი.

მი ვიქიბლი

მე ვეძებდი მშვიდ სამშობლოს
 და ის ვერსად ვპოვე;
 სურვილია ცოცხალ-მკვდარი,
 ნუ მეძახით პოეტს!
 რა აზრი აქვს საფლავის ქვას,
 შეჭმნას ოქროს დილა,
 როს ისეთი სიცივეა,
 სურვილსაც კი ჰყინავს,
 როს ცრემლებით მოსაუბრე,
 სატრფიალო სატრფო
 უნუგეშო ნუგეშისთვის,
 ჯვრებზე ნისლეზს ათოვს,
 თითქოს ზეცა გუმბათია,
 გლოვობს გლოვის ზარი.
 არ მგონია ასეთ ღამეს
 ჰყავდეს მომღერალი!
 არა ერთხელ გადახარია
 მზე გადამწვარ გზაზე,
 ქარიშხლის სამოსელში
 ყვავილთ სილამაზე,
 სულ სხვა იყო შორეული,
 ტანჯვაც რომ გვიყვარდა,
 პოეზია არ არსებობს
 მშობელ მიწის გარდა.

1933 წ. პარიზი.

ზარეთ წვიმა

გარეთ წვიმაა, ღამეა შავი,
ქარი წვეთების ჯარებს აჩქარებს,
ზეცა ღრუბლებად გადანაშალი,
მიაქვს სიცივით დაღურჯულ ქარებს.

გაყვითლებულა მიწის კრილობა,
ფერ გადასული ჰქრიან ფოთლები,
ჰქრიან ფოთლები, მკედართა გმირობა
ქარი ჰკვეთს მკვეთრი განმეორებით.

თითქოს შეშინდა ღრუბლების ზენა,
ჰქრება ფერების ფერადი ხნული,
დარჩა სიზმრებში მზე აღმაცურა
და დედამიწა ყინვით დახრული.

გაივლის მზეზე ქარბუქი გზები,
ფიქრები ავსებს პატარა ოთახს,
დაუამტვრევ კარებს, გავიბიზნები,
ნეტავ, რა შფოთავს! ნეტავ რა შფოთავს!

ცვალებადი

შენი წყლული...
სისხლის ხნული,

შენი მღერა...
ბედის წერა,

წუხარ, მაინც გიხარია,
გიყვარს, ფტანჯავს,
მაინც ეტრფი.

ხან ცა ცრემლი,
ხან სიცილი,
გული ციცხლი,
გული ცივი,

ინაეარდებს,
იაეარდებს,
ეფინება,
სიოს ქსელი,
გაზაფხულის
მწუანე დილა,
გაზაფხულის
მზე შიშველი.

მაგრამ მიდის
 ყველაფერი,
 ცა, მზის ბაღე,
 მთვარე ნაზი,
 გაზაფხულის
 სილამაზე,
 შემოდგომის
 დარდებს ზადებს.

მიდის დღე და
 მიდის ღამე,
 ბრუნავს შავი,
 ბრუნავს თეთრი,
 მოგონება,
 მოჩვენება,
 და სიკვდილი
 მკვეთრზე მკვეთრი.

ასე ბრუნავს
 ბედის სული,
 ასე ბრუნავს
 დღე და ღამე,
 მზე ყინვებით
 გაპარსული,
 დაბადება
 და სამარე.

მენახშირე

ვეძღვენი ვიქტორ ზომერიკს

წმინდა დედის მარიამის თვეა,
სძინავს თბილისს თბილ სიზმრების ძილით,
მთვარე მტკვარში ტალღებს ალივლივებს,
ოქროს ბურთი ციდან ჩამოხსნილი.

აქ მოდიან ახალნი თუ ძველნი,
დროთა-ჟამის სულ სხვა და სხვა რიცხვით,
ღვას მებტები, უტეხელი ძეგლი,
განწირულთა უკვდავების ფიცი.

არხევს ფურცლებს მთვარე თეთრი თმებით,
გარიჟრაჟში ღამე ლურჯად დნება,
თბილ სამოსში მზე მზის გაღიმებით
თეთრ ქუჩებზე მზერით ინაზნება.

სიჩუმეა! დილა ნისლებს იშრობს,
სხივთა დენით მთები ირაზმება,
მენახშირე ნახშირს ჰყიდის, შიშობს,
არ აჩქარდეს ცეცხლის გამიზნება.

ვინ იფიქრებს, ვირით თუ ნახშირით
საიდუმლო სულის სამზადისი,
ქართულ ოჯახს ათბობს ცეცხლის შვილი,
ნაკვერჩხლებზე იწვის მზე მაისის.

მენახშირე ნახშირს ჰყიდის ვარეთ,
სარდაფებში წყდება ბედის წერა!
მენახშირე იხმობს მთების არწივს,
მენახშირე, ხალხის გულის ძგერა.

დედა ქალაქს ის ეწვია შორით,
ძველი ბრძოლის გამარჯვების ცეცხლით,
თებერვალის სისხლით შენაშრობი,
დაბრუნება გაფრენილი მერცხლის.

ჩრდილოეთმა გადახედა თბილისს,
საფლავებზე დადგა ცეცხლის მწკრივი,
თბილი არის ბუდე თეთრი დედის,
წმინდანების თმებით შემობწნილი.

ეს ლექსი, მსურს, გულში დავიტოვო,
უცხოეთის დანით ფრთებ დაქრილო,
საქმით, ბრძოლით, მამის თანატოლო,
საქართველოს მენახშირის შვილო!

1962 წ. პარიზი.

ძმათა სასაფლაოზე

აქ განისვენებს...
 აქ დაისვენებს
 ჩემი ოცნების
 ფაფარ-ცეცხლა
 თეთრი მერანი.
 ვდგავარ ლოდით
 და ველოდები...
 და ველოდები
 მე მრავალ ლოდებს.
 მალე ეშმაკებს
 გადმოაფრენს
 ზეცის მწვერვალს.
 ამ საუკუნის
 ყვავ-ყორნების
 ყვითელ ფრთებიანს.
 მივლის გარშემო
 მკვდართა კონცერტი,
 კუმბოთა როცვა
 და ტრალეღია.

განწირული მასკინძელი

ზეცავ შეინდე ეს ქვეყანა! პირჯვარს დავიწერ.
 მძიმე ცოდვებში ჩაძირულა მთლად დედა-მიწა.
 სახლი დამენგრა... გთხოვთ... მისმინოთ... შეილი დამიწვეს,
 ვისი რა მშართებს! რას მერჩიან! ღმერთო დამიცავ!

ყელზე მეხვევა საუკუნე გველის პერანგით
 და შხამს მიშხადებს ჩადილოეთის წითელი მოდგმა,
 ბრძოლის ქარ-ტეხილს გადაივლის თეთრი მერანი,
 მართალი მსხვერპლი სასიცოცხლოდ თუ კი გამოდგა.

მყუდრო ბინა მაქვს, წმინდანების ხელით ნაშენი,
 ციურ ლოცვებით ჩამოქნილი ყოველი კუთხე,
 მწარე ტკივილით გამოზრდილი წვრილი ბავშვები
 გადამირჩინე... ღვთის შშობელო... ცრემლით მიკურთხე!

ჩემი მუქარა ამა ქვეყნად არვის სმენია,
 მოვარდნილ რისხვას დახვედრია მოხუცი ხმალი,
 ქალარა მიწა, უღმობელი სისხლით სველია,
 დვას ონაერების ქარიშხალით ტყე ვადამხმარი.

არავისათვის ცუდი საქმე არა მიქნია,
საკუთარ ენით ვლაპარაკობ, მითხარო... რას მერჩით?
თვით ბოროტები კეთილებად გარდამიქნია,
მზეს კარის კაცად გავუგზავნე სიცოცხლის ელჩი.

საქირნახულოდ გავამზადე მიწა ნახნავი,
შვილთა მლოცველმა ხელთ ავიღე ჯვარი ვაზისა,
მყუდრო ქვეყანას ჩავაბარე მოხუცი ზმალი,
მაგრამ სიშშვიდით მოსვენება არვინ მალირსა.

მუხანათურად წამიბილწეს გრძნობა ამდენი,
სუფრა უმწიკვლო წამიქციეს. სუფრა პურადი,
ღვინოდ სვეს დაჭრილ სხეულიდან სისხლი ნადენი,
მასპინძელს დამაქვს სასიკვდილოდ დანა გულამდი.

აზარაოზის ზირისუფალი

ყველა ჩვენგანი ქვეყნად არის ობლად შობილი,
სიმარტოვეა თვითვეულის თეთრი ტაძარი,
ციდან ფერები სიფრცხვებად გადმოშობილი,
ტრიალებს მიწა საკუთარი ცეცხლით დამწვარი.

რად გინდათ გრძნობა, სიყვარული და სატრფოს ეშხი,
ჩვენი ცხოვრების ეს მაცდური სამკაულები?
არის სიყალბე შავად შობილ სინამდვილეში,
ტანჯვა, წამება, სინანული, სევდა უღვევი.

თვით მზის სხივები, მოციმციმე ოქროს ღიმილით,
რისთვის ახარებს ყვავილებად გამოზრდილ მხარეს,
თუ შემოდგომის სევდიანი ქარის ტირილი,
სითბოდან შობილს, ცივი ხელით დაასამარებს.

დავბადებულვართ დამბადებლის რომ ვიყოთ მონა,
ვზიდოთ უმიზნოდ, დადებული სიცოცხლის ვალი,
აზარაოზას რად ჭირდება მუდმივი გლოვა?
დღემდე უცვდავი არ ყოფილა ჭირისუფალი.

1945 წ. პარიზი.

მოჩვენებითი მოგზაური

აჩრდილი მოდის გამზრდელ ქვეყნიდან,
ჩემი იქ ყოფნის წმინდა მირონი,
თითქოს მოადგეს საწერ მაგიდას
მთები თეთრგულა კავკასიონის.

მწვანე ბალახი ფარავდა თიკნებს,
კვლავ აშშალა გრძნობები ცხარე
და მეც გავეყვი ლამაზ ბილიკებს,
როგორც შთიფლი, როგორც მეცხვარე.

ასე გავცილდი ნათხოვარ მიწას,
შავი ხმელეთი ცურავდა ზღვაში,
დაღუნულ ცაზე ღრუბლები იწვა,
ლურჯი ტალღები მომდევნა ტყლაშით.

თეთრი ჩანჩქერი კლდეზე გადმოჰქუხს,
ხან სიპზე აგდებს გველივით ენას,
ჩასძინებია დაქანცულ მოხუცს,
მოჩანს კოჯორი და ტაბახმელა.

ჯიხვის რქებივით დაქნილი მთები,
მწვანე მინდვრების ციდან დაშვება,
მყუდრო ქვეყანა ფერ გაფითრებით,
მზეს გარიჟრაჟი ეთამაშება.

ჰაუ, თბილისო! ციხე-ჭალაქო!
 მოხუცო მგზავრო შორეულ გზიდან,
 ბაგრატიონთა დიდო სატახტო,
 რკინის ბორკილებს გმირულად წიდავ!

როცა ცას სწვდება წუხილის ზოლი,
 თვალ არიდებით გიშვებს მსოფლიო,
 და დგახარ ისე, როგორც ობოლი,
 ამ საუკუნის უკმაყოფილო!

დრო გადაივლის ცეცხლის ნაბიჯით,
 ისევ შეხედები დღეებს დარიანს,
 ამოვა დილა, ვით სოფლის ბიჭი
 დრო გადასული სიმწუხარიდან.

სხივ მარგალიტით მოგიჭსოვთ შვებას
 მზიურ სიცოცხლის საღი მცველები,
 დაცხრილულ მკერდზე გადაგეშლება
 სამყურ დროშების ცისარტყელები.

ამღერდებიან მუსიკის ხმები
 და სიყვარული დაგიწნავს გვირგვინს,
 აფრენილ გრძნობით შენთან ვიქნები,
 მზის ხომალდებით დღეები ივლის.

თუ კი სიცოცხლემ კვლავ გამახარა,
 გულში შაირებს ვინ გამიუღიებს,
 გრძნობებს ვადავშლი, როგორც ცხერის ფარას
 და სალამურით გავყვები ქუჩებს.

სიცოცხლის საწყისიდან

ჭვეყნად მოვედი	მშობლიური
	დედის ღიმილით,
ცრემლის ტირილი,	სიყვარულის
იყო ძახილი.	თვით სიხარული,
მშობლის უჯრედი;	უჯრელი მასთან,
ვინც მცა სიცოცხლე	და რომ ვიცოდე,
მე არა მიკვირს,	მართალი სიტყვით,
სამშობლო დედა	არის შობილის
პირველი ხედვა.	ამიტომ ვბედავ
მიყვარდეს ყველა,	პირველი ენა,
აზრები ჩვილი,	ვარდი გაშლილი.
ლობე, ორლობე,	ბუნების ღონე,

გლეხის მარჯვენა.
 ბნელი, ნათელი,
 მირწევდა აკვანს
 იანანინას,
 დღესაც რომ სძინავს.
 მოჰქონდა ფრენა,
 ყვავილთა ლხენა,
 ზეცა მშობელი,
 თანამშრომელი.
 ჩვენსავეთ ბავშვი,
 სიცოცხლის ტაშით,
 თუ სილა-მტვერი,
 იყო ყოველი.
 ვეკითხებოდით
 ამას რა ჰქვია?
 უცნაურ ხვედრით
 როგორც მგზავრები
 წამოვიზარდეთ,
 ვინც მე მაჩვენა
 ლამე ნათევი
 და იმ ტკბილ საკრავს,
 გულის სიღრმეში
 მოვარდნილ ნიავს
 ბუნების შვება,
 ფოთოლთა რხევა,
 მიწა, სიცოცხლის
 და მთლად ყოველი,
 აცლქებული,
 წვიმის წვეთები,
 ჩვენთვის წმინდანი
 საკუთარ მშობლებს:
 ეს რაა, დედი?
 ვეძებდით პასუხს,
 დაკარგულ ქვეყნის.

კმაყოფილ სახეს	რა დავინახეთ!
და იმ ლერწმებთან,	სისხლი ეწერა
ბავშვობის დროდან	სადაც მღეროდა
გამოღადრული	გული მართალი,
იღვა სიცოცხლე	წითელი დანით,
გვინდოდა გვეთქვა:	ნაპარტახალი.
სად იყო დედა,	ეს რაა? დედი!
წითელი ქვიდან	შვილის მშობელი?!
როგორც სიკვდილის	გამოჩნდა სახე,
	თანამშრომელი.

დავრჩი ობოლი,
 უცოდველი, მგლების ხროვაში
 ვიხილე სისხლი,
 ხალხის სხეულს როგორ დიოდა
 მოკეთეთ კენესა,
 დაუდეგარ დროთა გლოვაში...
 ო... ღმერთო ჩემო!
 შვილი შენი ჩემებრ ტიროდა.

1937 წ. პარიზი.

დღეს შენ ბურუსში

დღეს შენ ბურუსში ბანაობს გული,
გული, შაშვივით შავ შემოსილი,
შენთან ვიცხოვრებ ცრემლთ თაიგულით,
ატეხილ ქუჩებს მისთვის მოვცილდი.

უშბა, გათლილი ვით ქანდაკება,
ბარბილიკებზე ცათ ატყორცნილი,
კლდე, კლდის მწვერვალზე ჯიხვი შედგება,
ქვეშ სვანი თოფით, ტყავ შემოსილი.

ცივი მყინვარი, მტკვარი, რიონი,
ჩვენთან მოდიან მათი ლანდები,
მთები მალალი კავკასიონის
და საქართველო დიდი დარდებით.

როცა ოცნებით დავარწევ თვალებს,
მოგონებების დადგება რიგი,
ხმები გიჟივით გადიხარხარებს,
დაბადებული შავი თარიღით.

პარიზი. 34 წ.

ვხედავ, ღამია

ვხედავ, ღამია, თეთრი, უძილო.
მჯერა, რომ ფიქრზე დავიფერფლები.
უსაზღვროება გახდა უძირო
და მხიარული — ჭრელი პეპლები.

ეს ღამე, შავი მავრის ფეხებით
ჩამოშვებული ზეცით მიწამდე,
მეხვევა იგი, თუ მე ვეხვევი,
ვიცი, მიმიყვანს კუბოს ფიცრამდე.

შენ კი, ... რომელიც ისე მიყვარდი,
ვით ოქროს დილა გაუყინავი,
შენი სხეულის სიცოცხლით ვცოცხლობ,
გაუდნობელი დავრჩი მყინვარი.

მზე შავ კუბოდან იღებს საღებავს,
ღრუბელთა დენით ზეცას აშავებს,
გიშრის ობობა ცაზე აზობლდა,
შავი დროშები მთებმა გაშალეს.

ნოე რამიზვილს

გარდაცვალებიდან ოცი წლის თავზე

წვიმს, წვრილ წვეთებს აბნევს ზეცა,
 ზმუის ქარი, იქნევს ტალღებს,
 თეთრ ნისლეზში ჩაიკეცა
 დრო, სიცოცხლის სიამაყე.

ცამ სიკვდილი შეიხიზნა,
 მზე ღრუბლებში სანთლებს ანთებს,
 წითელ მოდგმის წითელ მიზნებს
 დღეს მსოფლიო ასამართლებს.

ოცი წელი, ოცჯერ ძნელი,
 შენს გარეშე, ქართლის ბედი
 დანახვედრი, რკინის მკლავით,
 გადამწვარი, ვით აბედი.

თვით ამდენმა ბრძოლამ ერთად,
 სასიკვდილოდ, სისხლის დენამ,
 მჯერა, მჯერა მაღალ ღმერთთან
 დიდ ილიას შეგახვედრა.

ერთი რწმენით, ხელ გაშლილებს,
 ერთი ლოცვით მიწა გმცველობთ,
 როგორც დედა, დაკლულ შვილებს,
 თავს დაგტირით საქართველო.

რა გსურთ, მათთან თანასწორებს,
გაიგონე... დიდო ნოე!
საქართველო არ მომკვდარა,
გზა მიეცა მხოლოდ მკვლევებს.

რამიშვილის გამხდარ ხელებს,
ჩვენი ცოდვა... ცრემლი აზის,
მისი სული ბრძოლა არის
ტანჯულ ქართუს სილამაზის.

ოცი წელი, ოცჯერ ძნელი,
მის გარეშე, ქართლის ბედი,
დანახვედრი, რკინის მკლავით,
გადამწვარი, ვით აბედი.

რად მიცინი

რად მიცინი, ქალო,
 თეთრ კბილების ელვით,
 ნეტავ, გეთქვა რამე,
 უფრო გავიგებდი.
 აბრეშუმის კაბა,
 ფერ პრიალა თეძო,
 ვნების ყაითნებით
 გამოკრული მკერდი.
 შენ რომ იყო მზე და
 მე კი შენგან რგული,
 კოცნას დაიმყნიდა
 ჩვენი სიყვარული.

1931 წ. პარიზი.

ბანუშრელ ძმებს

დაღვრემილი შავ ღრუბლების რიგში
მოჩანს სევდა უცოდველი ბავშვის,
ვიღაც კვნესის უცხოელის ნიშნით,
ღვინის სმა და ყრუანტელი ტანში.

ვინ დასერა სისხლის ფერი მთვარე,
ვით ყაჩალი, გამოზრდილი ხორციტ,
რომ სიკვდილიც ველარ დაამთავრე,
მოურჩენელ ჭრილობებით მორცხვი.

სამსჯავროა მთელი უცხოეთი,
ბზალდებულო! წამოდექი ფეხზე!
ცოცხალთ შორის დარჩი უცხო ერთი,
მეოცნებე უშლელ ვაჭრის თვეზე.

უკან რჩები, წინ სიზმრები მიდის,
ზღაპრებს სტოვეებს გადავლილი გზები,
კლდეებს ცივა. კუბოების ზიდვით
ძვლებს აცეკვებს მიწის სავარძელი.

სისხლის ზღვაში მოცურავე ღამე
ხაფანგს უგებს ცეცხლად ქცეულ ქაჯებს,
ჩონჩხის ელჩი საფლავს გაახარებს
და სიკვდილიც ზანტად მიაღაჯებს.

ჩვენც მივფრინავთ, ვით პეპლების გროვა,
მზის სიმჩატით და მაცდური ეშხით,
ალარ გვესმის გაზდასულთა გლოვა,
სიცოცხლეა ქვეყნიური ლეში.

რა აზრი აქვს დღე და ღამის ტრიალს!
საფლავს ვკოცნი, რომ გიმღეროთ მკვდრებო.
თავს მოვიკლავ ცივი ლოდის პირას,
მომელოდეთ განუწყრელო ძმებო.

კოვბ ჭიხერიძეს

(პასუხად)

შენ, უცნობ პოეტს, ძეს ჭიხერისა,
შაირის შვების ნოყიერ კალამს,
აზრებს რომ ხატავ ხელოვნის სიტყვით,
ტვირთის ამწევი გქონია ძალა.

ნუ დაგვაცილებს „ახალი“, „ძველი“,
გადმოყოლილი სისხლის ტაიგებს,
მოხუცი მოძმის ტანჯვა იგრძენი,
დეკნილი გულის ძგერა გაიგე.

გამოიცვალე ორი ფარაჯა,
წითელი, შავი, ელოდი სამფერს
ქართული სულის დგახარ დარაჯად
და უცხოეთის ლამეებს ათევ.

„იქ“ დავიბადეთ, „აქ“ გავიზარდეთ.
წამოგვეწვია წითელი ფერი.
ცვივა ფოთლები ძირ დაჭრილ ვარდებს,
შავ ქარიშხალში გადანაფრენი.

მეორეთ მოსვლა მოდის ამ ქვეყნად-
მიწა მკვდარია, ზეცა უპირო,
არ გაცოცხლდება დღეს სამართალი,
თუნდ ატომიურ კბილით უკბინო!

ლამე ეწევა წითელ სიცოცხლეს,
ცეცხლის რგოლები ძვლებზე გადადის,
პოეზიაში, ძმაო, ვიცოდეთ:
უღლის გაწევა აწ და მარადის!

1956 წ.. პარიზი.

პასუხი გიორგი ნოზაძეს

— თავს ვერ იკავებ, ლექსს უძღვნი ყველას,
თვალმარგალიტი ძალას კლებულობს.
ვერ იმორჩილებ გრძნობათა ღელვას,
ძმაო. ეს უნდა გისაყვედურო. —

ასე მითხარი და თვით სიტყვები
მე გულში ჩამრჩა უჩინარ დარდად,
მოვარდნილ ტალღას დღესაც მივყვები.
პასუხიც ლექსად ალაპარაკდა.

მიყვარს ყველანი, ვით ქრისტეს მცნება,
პოეზიაში ლოცვა უცვლელი,
გულში მკედრებივით რომ იკეცება
დაუნწყრელი ლექსის ფურცლები.

რად მინდა სიტყვა კისერში გახშვს,
გრძნობა სიჩუმის ჯვარზე ავწიო,
უჩინარ ტინკას მზეს შემოვახვევ.
რომ ანგელოზად გადავაქციო.

მიყვარს ყოველი ერი და ენა,
გულში ჩამჯდარი ქართული სახე,
არ დასრულდება ლექსის სიმღერა,
თუნდ ბორკილების დაუფონ მახე.

1957 წ. პარიზი.

იცინე

იცინე
მარჯვნივ,
იცინე
მარცხნივ,
ახალი ტანჯვის
უძველეს წესით
იმუნჯე სიტყვავ,
იმუნჯე გულო,
საცოდავია
უთქმელი ლექსი.

არ აწყენიო
საკუთარ მოყვასს,
მოყვასს, რომელსაც
სისხლი ამოყავს,
რომ შეგიღებოს
მზიური სახე.

სული დაღლილი
ცილდება ზორცს და
წაგიყვანს ღმერთი,
ღვთიურ განგებით,
დაგავიწყდება
ყვავილთა ყნოსვა,
ციურ ცქერაში
დაიკარგები.

პოეტი პირველი

ლექსი დაიწერა,
ქვა ქვით დაიწერა,
ორის ჯგერის წერა,
ზიდა კალმის წვერმა
ქვეყნის ბედის წერა.

შორიდან იწყება,
რაც ქველად იწერა,
გული რომ იწვება
ნაცემი წერაქვით.

შენ დაიკარგები,
მეც დაიკარგები.
დარჩება ნისლეზნი,
ქვაზე გადამჯდარი
პოეტი პირველი.

1954 წ. პარიზი.

დაცინებულ მიგობრივს

ისიდორეც! არ მგონია,
რომ კვდებოდეს ყველა მკვდარი.
შენი ჩრდილი ისე დაშდევს,
ვით სიცოცხლის მეგობარი.

მაგონდება ბევრი რამე,
ჩწმენის ღამე განათევი,
ბარათებით აზრის წყობა,
ბედის ყმობა დაბადებით.

გულს ძარღვები ამოგლიჯე,
ღარიბ ჯიბით ბეჭდე ჩწმენა,
თვით სიკვდილი სიხარულის,
თეთრი ცრემლით დაიწერა.

გზები აცდა მთავარ მიზანს,
იკბინება დარღზე დარდი,
ეიკტორი შორს გადიხიზნა,
ქარებს გაჰყვა ედუარდი.

მეც მივდივარ მარტოდ მარტო,
ვერ მამხნევებს ჩემი „ტრიო“,
ხალხის ღრიალს უკან ვტოვებ,
სიჩუმეში მსურს ვიტვირო.

არც გამოღმა და არც გაღმა
წალმა აღარ რეკავს რეკვა,
დაგვეწევა სადმე წარღვნა,
წითელ ზღვაში გადაგვკარგავს.

და დარჩება ვით „ორნატი“.
ხნული ხნულზე, მთიდან სიო.
ჩვენი ძვლებით დანასტამბი,
დრო იშვილებს „კავკასიონ“-ს.

მზე მეზღვაური

რამდენჯერ ქვეყნად გამოზაფხულდა,
რამდენჯერ იამ იცვალა ფერი,
რამდენჯერ ზღვაში სხივი აცურდა,
მიარღვევს ტალღებს ცის ფერი გემი.

ზღვის სამეფოა, სხივთა ქორწილი,
ალამაზებულ ლურჯი ფერებით,
მზე-დედოფალი მკერდ ამოწვდილი,
ტალღების ტლაშით მონაფერები.

ოქროს ბაქანზე გაშალეს სუფრა,
ციურ ფერების ფერთა თასებით,
პირველი სიტყვა მზემ მოისურვა,
დალოცა სხივთა ნათესაეები.

1965 წ. პარიზი.

უზინაო ყვავილები

სიმონ ბერეჟიანის და სტეფანე კასრაძის ხსოვნას

თბილი თესლებით დაითესეთ მშობლიურ მხარეს.
მთვარეს სინათლე გადმოჰქონდა მთების ფერდობზე.
მწვანე თეძოზე უღარდელად ეძინათ სოფლებს
და ბაღში მყოფელთ უხაროდათ თქვენთან შეხვედრა.
გაწირა ბედმა მებაღე და ყვაველთა გროვა,
ნისლმა დათოვა მზით ნათელი ცის განთიადი,
ჩრდილოს ჩრდილები შეესისხლა გაუშლელ ბაღებს,
სულის გასაღებს ურდობმა დაადევს ურდო.
ცეცხლს გადაუგდო ვარდის ფერი მან ვარდის ყნოსვა,
ძვლებით შემოსა მებაღე და მზის ნასახლარი,
ყვაველთა კენესა შორეულში წაიღო ქარმა,
დაჭრილმა ქალმა მოიტანა გლოვის ამბავი.

პარიზი. 1947 წ.

პური და საწამლავი

წუთის წამწამებით
დათვლილი წლები
გვეწევა შორს.

ჭიალუას ნაშრომს
გამხმარი ნეკნებით
წინ მივერეკებით.

ცოფიანი ლექვები
ისე არ იკბინებიან,
როგორც ჩვენი ფიქრები
სიკვდილის შემდეგ.

ჭალარა არწივს
წვიმები აწვიმს,
გამხმარი ლაწვი,
შეშლილი პური
და საწამლავი.

პარიზი. 1956 წ.

მეთარე აზგარას სიმღერა

მოკვდები, დავიმარხები,
 აჰ, უივი მიწის ძირასა,
 ველარ შევხვდები გაზაფხულს,
 ველარც ვიხილავ იასა.

გულში ჩამყვება ტკივილი
 ლამაზი ტურფა მხარისა,
 ქვეყანა ბინა ყოფილა
 სიკვდილით წარმავალისა.

ვფიცავ, არაეინ მიყვარდა,
 არაეინ, გარდა მშობლისა,
 ან სადა ჰყავდა გამგები,
 განცდებს მტირალა ოპლისას?!
 ვფიცავ, არაეინ მიყვარდა,
 არაეინ, გარდა მშობლისა,
 ან სადა ჰყავდა გამგები,
 განცდებს მტირალა ოპლისას?!

როს გაზაფხული დადგება,
 ვარდი გამოზრდის ყვაეილსა,
 უმზეოდ ვარდი ვერ ხაროშს,
 ყვაეილიც ველარ ჰყვაეისა.

ჩამოჰკარ, ჩემო აზგარა,
 ჩამოჰკარ გამხმარ თითებით,
 ღვინოთი სიკოცხლეს დავლევთ,
 სიკვდილით გავიყინებით.

ხალიპინის რესტორანი, 1933 წ.

ღავით ხელაქმს

მანქანის ძვლები ივსება ზეთით,
რკინის კბილები ასოებს ქარავას,
ბევრჯერ გინახავს შენ მწარე ხვედრი,
ქართული სიტყვა არ დაგიკარგავს.

აწყობ აწყმოს და გეძახის ნამყო,
ოფლით უმშრალი მშრომელი კვირა,
ქართულმა აზრმა რომ იამაყოს,
მზადა ხარ თავი შესწირო რკინას.

განკითხვის დღეა. მე ვიმათხოვ-ე,
ნამათხოვარი მოვზიდე შენთან,
მადლობას გეტყვის პოეტის მრევლი.
ცოდვილ შაირებს თუ დამიბეჭდავ.

ვალს ნუ დამადებ, აიღე ნაღდად,
პოეტს და ამწყობს ხალხში ბრალს გვედებენ,
თუ დაგვეწია წითელი ტალღა,
სენაში ერთად გადაგვაგდებენ.

დაგვავიწყებენ ბედის სილაჩრეს,
სისხლს ჩამორეცხავს ღამე ნალადრი,
დარჩება ისევ დროთა სილაზე
შავი სტუიქონი თეთრი ქალაღდის.

ბანსხვაჲება

ამბობდი ასე,
 როცა ზიდავდი
 დარდებს დაძირულს საშიშ დევებად,
 მზე კოშკებს გახსნის ბრწყინვალე მთაზე,
 შეესვამ სიკოცხლეს ტკბილ სიმღერებად,
 იქ კოშკის ვეზირს
 ცრემლებით დაეჭრი,
 ზეცა ჩამოხსნის ღრუბლების ბადეს,
 შავ ზღვაზე გავალ გრძნობების გაჯრით,
 გულით უფსკრულში გადავყრი დარდებს,
 მაგრამ იმედმა
 თავი დახარა,
 მზე გადასახლდა ღრუბლების იქით,
 ელვამ ცეცხლებით გადინარხარა
 და ქარიშხალში გაფრინდა ფიჭვი.
 მენ ზიხარ ახლა
 სიკოცხლის პირას,
 ზეცა ჩამოდის ზანგის ზმორებით,
 დრო გადასული მოგესმის წირვა,
 წირვა, იგივე განმეორების.

1931 წ. პარიზი.

ალექსანდრე ვანახულიძის

დღეები გვიცქერს ასისხლებული,
აზრის ალმური ფიჭრით გაცივდა,
ჩვენ გულში გვიზის ლექსის სხეული
და გონებაში მაწვნის ბაცილა.

სიცოცხლეს ვიკავთ შრომისა ოფლით,
სულში წლები წუთებად წვეთავს;
ვართ სამსხვერპლოზე ახალი ყოფნის,
თვალეზ დათხრილი მომავლის ხედვა.

აქ დაბადებას არა ჰყავს დედა,
არც დაბერებას — თეთრი ჭაღარა,
ვიღაც საწყალი ცოცხლობდა ქვეყნად,
ერთხელ იმღერა და მიიწიალა.

მაგრამ სხვა იყო დიდი გრიგოლი,
სხვა ხელოვნების ხელ-ხეავი ძალა!
გლოვობდა გულში გული მალული,
კაბდუს მოამბე რომ აგრდიცვალა.

ძნელი ყოფილა უცხო მხარეში
ორჯერ სიკვდილი, გულ გალახული.
ცრემლად გდიოდა დაღლილ თვალეზში
გრძნობა ნათესი — ნათესაური.

1962 წ. პარიზი.

ღამე ვარდის თვეში

მთებზე ღამის ნაწნავებს,
თვალთ უთვლელ ვარსკვლავებს
ცაქერა ვერ დააკავებს,
ცაზე მოეარე კანკალებს
ოქროს სანათურებით.

ირზევიან ტალღები,
ლურჯ ფერებით ნაღები,
თითქოს სული კლიტეა,
ციურ ჭვეყნის გამღები.

და გუმბათის თაღები,
ცოდვილ მიწის ლოცვებით,
ბრწყინავს შარავანდედის
კოცნით განაოცები.

ტყე-გულ-მწვანე ბორცვები,
მზე და მთვარის შვილები,
მწვანე დენით შლილები,
მიწის ქალიშვილები.

ყვავილთ კმევა სურნელი,
სიო, სოფლის სულელი.
წვრილი გზები ულავი,
დღით დაღლილი ურმები.

და მაისით გაესილი
სავსე მთვარის დინება,
ციურ მზაწყინავ დიდებით
ქოხებს თავს ევლინება.

ძილში ბავშვს ელიმება,
გარედ ვერცხლის საბანი,
სიჩუმეში საუბრობს
ყვავილების ზღაპარი.

ათი ივლისი

ღამე დაეშვა ზღვის პირზე,
ტალღათა ტყლაში დაჩუმდა.
ბოროტი მიწვევს ბრძოლაში,
რჩეულ ჭინკების სიცილზე.
თავს არ მოვიკლავ გლოვაში,
შენ დამერწმუნე დილის მზევე.
ფიცი მივეცი სიციცხლეს,
არ გავეყრები ლაჩრულად.

ტალღა ტალღასა დაცილდა.
დატოვა გლოვის სურათი.
გულში გონება ვაცვივდა.
უმაღ მჭრელმეტყვი გულადი,
ჩემზე წინ მსვლელი ჯვაჰს იწერს
ახალ ცხოვრების საწყისად,
მაშ, დამილოცეთ ისინი,
სიციცხლით სავსე ყანწითა!

მეც ხომ შამა ვარ, შამაო,
ჩემი სისხლის და ხორცისა,
რად ამცდა წუთი საამო
ჯვრის წერის ჯვარზე კოცნისა!
ღამე დაეშვა ზღვის პირზე,
ტალღათა ტყლაში დაჩუმდა,
ბოროტი მიწვევს ბრძოლაში
რჩეულ ჭინკების სიცილზე!

დოვილ, 1959 წ.

26 მაისი

წელთა აღრიცხვას წინ უსწრებდა სხივი მაისის,
შემოსევია დროს — დროშები კისარტყელებად,
სისხლით მოქარვა წამებულმა ეს დღე ხალისის,
უფსკრულების წინ გამარჯვებით აამეტყველა.

ფოლადის ელვას დაუსერავს სიცოცხლე მიწის,
ახალ ატომებს, ცაზე გაშლილ სიკვდილის ცელით,
შემატეთ ცეცხლი ჯოჯოხეთსა, ჩვენც მთლად დაეიწვიოთ,
ფერფლად ქცეულნი მაისისა დავრჩებით მკველნი.

ჩემო ქვეყანავ, დიდი არის მოგონებები,
რამდენი ტანჯვა შენ დაგვურებს დაღუპულ ჯვრიდან,
გულს ნუ გაიტეხ, ამ გრიგალში ნუ დაღონდები,
დაგყვა ლალატი ონავრების გამარჯვებიდან.

დროთა წამება გვირგვინებად აწყვია კლდეებს
აწ მოვარდნილი ქარიშხალი აფშენის საწამლავს,
თამარის დროშა შემოიხვეს ფერად კიდეებს
და სიმახინჯეს ცისარტყელა ცაში დამალავს.

მანდ ძველის-ძველად მოსულიყო გადამთიელი,
რკინის მკლავებით მოეხაზა მიწა უფლისა,
ძვლებით ნაჭედი, შესისხლული „იეროგლიფები“,
ურჯულო რჯული და წამება შუშანიკისა.

სცემდა მრისხანე გაბრაზებით არმაზის კერპი,
წმინდანი ხმები რომ მოესმა ცის სამმართველოს,
მხოლოდ მან იგრძნო ხალხის ლოცვა, ეს ერთად ერთი,
უფლის დიდება, დედა მრწამსი და საქართველო.

კავკასიონის მწვერვალები ეძახის შვილებს,
თამარის მზეზე აფერადდა ქართული მიწა,
ბრძოლის ჩაინდი კიდევ ერთხელ ხმალს გაიშიშვლებს
და ტკბილ სიცოცხლეს ღმერთს შესწირავს მამულის ფიცად.

ყველგან თამაშობს სისხლის ფერი მაისის სხივი,
მთელ მსოფლიოში ის ეძახის სიცოცხლის მშველელს,
დროშა ქართლისა არ ყოფილა ჯერ ზომ დახრილი,
გადაეცემა გამაჯვების აღმაშენებელს.

ქედეა-ს. გაუზგავნელი ბარათიდან

შენზე ფიქრი, ჩემი საზრდო,
საზრდო, სულის სილამაზე!
გრძნობა, ტრფობის სანავარდო
შაირებით შემოვხაზე.

ხან ცრემლი ხარ, ხან ხალისი.
ხან ზღაპარი თეთრი ღამის,
განთიადის სამზადისი.
დედოფალი მზე მაისის.

განგება ხარ წმინდა ღამის,
ვით სიცოცხლის ბედის წერა:
შენს ღიმილზე შენახარბი,
ფერებს იცვლის ცისარტყელა.

ხან ცივი ხარ, როგორც ყინვა,
ულმობელი ქვათა გული:
მაშინ დამწეარ მზესაც ცივა,
სითბოს ეძებს სიყვარული.

გამარჯვების შედეგი

მზის ჩასაყალთან მღერის საყვირი,
ცეცხლის სხივებით დასრულდა ბრძოლა,
ჩამოწვა ღამე ტყვიით დაჭრილი,
პირ სისხლიანი საუბრობს გრძნობა.

გამარჯვებული, სახე უხეში,
მკვდრების ბუნაგში გადაესახლა,
ბელტებს აბრუნებს სიცოცხლის ეშხი,
უხორცო ძვლები და დიდი მარხვა.

გამოდის მღვდელი, თან პირ-ჯვრის წერა,
ედება ლოცვით მიწის მათხოვარს,
კათაკმეველებს აუდგამთ ენა,
დროაა ვავედროთ სული მაცხოვარს.

წითელი ჯვარი, იესო ქრისტე,
სისხლის წვეთები, ლურსმით ნაქედი,
დედის ტირილი, მარობის თვე,
ლაღატის ქვაბში იწვის საქმელი.

იძვრის წლები პირ გაღებული,
სამყაროს კუჭი ინელებს საზრდოს,
ძალა ნადირობს გაღალღებული
და დაბადება სიცოცხლეს ნატრობს.

1944 წ. პარიზი.

აღსასრულის აჩრდილი

მთელი სიცოცხლე კრილობაა და თეთრი დანა,
 ადამი — ევა და მაცდური ბალის ხეხილი.
 ახალ სახეებს ერეკება ძველი ქვეყანა,
 ფოლადის ხვევნით სიცოცხლეზე შემოგრეხილი.

თვით სიყვარული, გაწოლილი ძვლების მკლავებზე
 მიერეკება დაჭრილ ტივებს, მაგარ ტანიანს,
 გარდაცვლილ კენესით გააცოცხლებს ძველი მებრძოლი,
 მრუში სიცოცხლეს და სიმდიდრეს ანდამატთანს.

იმღერის სისხლი, თეთრი მსხვერპლი შემატეს სუფრას,
 დაკლულ სამოთხეს ეჯახება ჯიუტი რქები.
 მაშინის ქშინვას შეუპყრია ადამის სუნთქვა
 და ჩვენც გვატყვია სასიკვდილო მისი ნარქენი.

სიცოცხლის წუთებს მიაქანებს უხეში ძალა.
 ფასდება კაცი და სამყარო ცეცხლის მკლავებით,
 ატომის გრდემლზე დედამიწა მთლად გაიბზარა,
 ახალ მახეში ერთ დროულად ერთად გავებით.

1945 წ. პარიზი.

ქელა — შაირში

როცა ახლა ამ შაირს ვწერ,
შუა ლამეა! ყველას ძინავს.
ისე მზიბლავს ასოთ წყობა,
ვით უმანკო შენი ხილვა.

თითქოს აზრი ნაქსოვია,
შენი თმობის ნაზი რხევით,
თითქოს სიტყვა ტკივილია,
გულის კანზე ანახვეი.

ისე ტკბილი, ისე ნაზი,
როგორც შენი თვალთა ხედვა,
ციურ ეშხით მონახაზი,
განგებამ რომ შემახედრა.

როცა ახლა ამ შაირს ვწერ,
მარტო არ ვარ, ახლოს გხედავ.
მთელი სევდა ლამეს მიაქვს,
მზემ ღიმილი შემახვედრა.

დილა მაწვდის ყვავილთ ნექტარს,
ცა სხივებში აქსოვს ბადეს,
მგონი, მგონი, ამა ჭვეყნად,
დღეს პირველად დავიბადე.

გიყო გულის სიმარტოვეს
ნუ დატოვებ, ნურც გაკიცხავ,
სიყვარულით თუ მაცოცხლებ,
სიცოცხლეს შენ შემოგფიცავ.

უხილავ დედოფალს

მე არა ვიცი... თუ რა დავარქვა
შენი სახელის ჟრუანტელ სევდას.
ეკალთა შორის უშლელი ვარდი.
თუ საფლავის ქვეშ სიკვდილის ხედვა

ღამიდან დილა საუკუნეა,
შავ-შავ ნაბადა, მხრებ ალენილი,
სიამის გზაზე მზისთან გივლია,
მე სიყვარულში არა მაქვს წილი.

მსურს დავემყოფო უხილავ სევდას,
გზები კლდეზეა გადმოკიდული.
იქნებ გქვიოდა სახელად დედა,
რომ აგეტანა ამდენი წყლული!

ვინც უნდა იყო... რაც უნდა გერქვას, —
თეთრი სიზმრების ხარ დედოფალი!
ყოფნა - არ ყოფნა შენ სულში ფეთქავს,
ჩვენ სიყვარულით მოვედით მთერალი.

უკან მოგეძახის ძვლების სიმღერა
და თავის ქალა, ცივი ლოტბარი,
ყელ დაღადრული ყვავილთა ღელვა,
მესაფლავე და შავი ზამთარი.

აჰა... მოვედით ყველანი ერთად,
გადამწუვარი და სახე გამხდარი,
ჯოჯოხეთს მიგვცა ახალმა ღმერთმა,
დავრჩით სიცოცხლით მოუწათლავე.

1936 წ. პარიზი.

შენი, ჩემი

შენი, ჩემი ორივესი ერთია,
პოეზია თბილი ცრემლის წვეთია,
ცრემლი თვალის ნაკვეთიდან ნადენი,
გული, გრძნობა, სიყვარული ამდენი.
ცის და მიწის უღვეველი ლანდები,
მოგონება მოგონების ვარდებით,
ვაზდის ვარდო! სიყვარულის ბრალდებით
ერთად წავალთ. ქარში დავიკარგებით.

პარიზი. 1956 წ.

იმედი

გადმოეშვება ღამე ველური
და ნაბადივით გაწვება ველად.
მოვდივარ შენთან, ხმა გაბზარული.
დაბორკილ დროთა გამოსახსნელად.
ქვეყნის სიცოცხლე შენში მარხია
და მარტოობა უდევარ სულის,
წლებმა ცეცხლი შემოგახია,
ცეცხლი კითხვების, კითხვად დასმული,
ხალხი დიდების კოწკებს იშენებს,
განწირული და უხილავ ბედის.
შენ სელას ვერავენ ვერ შეაჩერებს.
რადგან შენა ხარ მათი იმედი.
შემოპრუნებულს, დროსა შორეულს
სისხლის წვეთები გულზე აჩნია,
ფრინველის ფრთიდან მოხაზულ ზვეულს
გარშემო უელის გლოვის არშია.
ტკბილ საკრავები დამწყდარ სიმებად
შემოგხვევია სიცოცხლის ხვევნით.
გულში ჩაგიკრავს ქვეყნის სიმღერა,
მიდიხარ გზაზე მზის გამყიდველი.

1932 წ. პარიზი.

ვაჟკაცის გარდაცვალება

ვუძღვნი კ. ქოჩაკიძეს

შორს გადასცდება ფიჭვი ფერდობებს,
დანისლულ ფერებს უფსკრულზე ხედავს,
ისე მოკვდება ტყვიით ვაჟკაცი,
არ დაიძახებს „ვამე მე დედა“-ს.

და სიკვდილის წინ, თუ კი იხილავს
სატრფოს ნატერფალს, ციხის გადაღმა,
სისხლის წვეთებით გადიხდის წირვას,
დაჭრილ სხეულის ხოხვით გადავა.

აკოცებს მიწას ბედი და ერი,
იტყვის: ახლა ვარ მე ბედნიერი,
მიმიღე, ღმერთო, აწ უკოდველი,
არ მინდა გლოვა, არც ერთი ცრემლი,

მრწამსის ამბორით შენკენ მოვიწვევ,
იყვეს დღე გრძელი ეგ სატრფო ჩემი,
ჩემი სიცოცხლის ლოცვის კრებული,
წმინდანთა შორის ამორჩეული.

ხმა მისუსტდება, ზეცავ მისმინე,
მე დაბადებამ დრო არ მარგუნა.
შენზე ელოცულობ. მიწა მილიმის,
მიწა, რომელიც არ დაკარგულა.

ვინც უნდა იყვე: ქრისტე, იაჰვე,
მხოლოდ ერთი მაქვს მე სათხოვარი:
რომ ჩემი სისხლი იქნეს ნათესი,
სადაც ათასი ველი ამოვა.

დახუჭავს თვალი, აყრილ წამწამებს,
ჩაქრება შორით თეთრი სანთელი,
ლამე დაუშვებს გიშრის ნაწნავებს,
ლამე გლოვაში გამონათევი.

წერამ ამიტანა

წერამ ამიტანა,
 აღმა ამიტანა
 და ასე დავწერე
 ეს წიგნი პატარა.
 ისეთი პატარა,
 თვალმაც ვერ ატარა,
 ჩემად არ ივარგა,
 ცრემლი დაიმარგა,
 ღამით გაიპარა,
 ქარში დაიკარგა.
 შორით ამოვიდა.
 მარტო ამოვიდა,
 მზემ არ მიიკარა.
 არსით არ ნახულმა,
 არსად არ ივარგა,
 თვალეზ დათალხული
 უკუ დამიბრუნდა.

სირ-ლე-მელო. 1964 წ.

ზაირები გიორგი ყიფიანისა

(მეორე წიგნის პირველი წინასიტყვაობა)

თითქმის ყოველი ზაირი გიორგი ყიფიანის ამოძრავებულ-
ლია ტკივილით სამშობლოს მოწყვეტილისა. ავტორი დაშო-
რება მშობელ მიწას ყმაწვილობისას. ეს კიდევ უფრო ამძა-
ფრებს მის ტკივილს და თანაც: კიდევ უფრო აღრმავებს მის
სიყვარულს სამშობლოსადმი. კითხულობ მის ზაირებს და გგო-
ნია: თითქოს იგი „აქედან“ წვდებოდეს მშობელ წიალს „იქ“,
რომ შეავსოს გემება მადლით სავსე ნაყოფთა დედულისა და
მამულის. წვდება კიდევ: ნატვრით წარმოსახული მას ხორც-
სხმულ სინამდვილედ ევლინება. ასეთია მქმედი ძალა სიყვა-
რულის, საკუთრივ ღრმა ტკივილით აღვივებულის.

ველი თუ მდელი, წმინდა გადმოცემა თუ ისტორიული
პიროვნება, ხრმალი თუ ჯვარი — ყოველი ეს ქალწულური
სიყვარულით არის ნაგზნები ავტორის მიერ და ჩვილი გულის
ფეთქით აცხოველებული. მაგალითისათვის ზაირი „დედის და-
რიგება“.

ერთი ტკივილი სუნთქვას კიდევ მის ზაირებში: ტკივილი
მალული, რადგან ინტიმური. ეს ტკივილიც იმგვარადგება შე-
რხეული, როგორც პირველი, თუმცა მეტი სინაზით. გასაგე-
ბია, თუ რად. ორ ტკივილთა ერთი - მეორეში ჩაქსოვას წარ-
მოუშვია ნამდვილი ლირიული შედეგნი „გივი ყიფიანი“: ან-
დერძი მამისა შვილისადმი.

„ქალწულური სიწრფელე გზნებისა და ნაგზნების ჩეილი გულის ფეთქით აცხოველება“ — აი სახასიათო გიორგი ყიფიანისა, როგორც ლირიკოსის. აქედან: ნარნარი მოქროლვით განფენა აღქმეულის. აი ერთი ხვევეული შაირიდან „ორი ობოლი“:

„მოწყენილ შტოზე
აცრემლებულ ჩიტს რომ ეძინა“ —

და როცა ქარი გადმოყრიდა
რტოებს დაღეწილს,
ელოდა დედას ტყის შრიალით
შემკრთალი ბარტყი“.

ან და მეორე შაირიდან „სურათი“:

„ღრუბლები ზიან
როგორც იდუმალ
სიჩუმის კითხვა“.

ავტორს უფრო ემარჯვება ის, რასაც ფრანგი « l'image Visuelle » -ს უწოდებს. სამაგალითოა ამ მხრით შაირი „ზამთარი“. მარტოდ მარტო ეს სახე რად ღირს: „მზრებ-თეთრა არწივი, კლდეების ნაწილი“! „ზამთარი“, „გივი ყიფიანთან“ ერთად, სანიმუშოდ შევა ოდესმე ქართული პოეზიის ანტოლოგიაში.

დასასრული ორი შენიშვნა, რჩევის სახით. 1. ხელოვანი „ხელოსანიცა“. ხელოსნობაში გიორგი ყიფიანს კიდევ წვართი სჭირდება. 2. მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ნამდვილს გამართვას ქართული სიტყვისა. ეს ეხება არა მარტო მას.

გრიგოლ რობაქიძე

აპრილი 1951

გეგვა

სიყვარულია

სიყვარულია

DE RÉALITÉ EN RÉALITÉ

LA LIBERATION DE PARIS

AU CŒUR D'UN EXILE GEORGIEN

Il est étrange cet appartement que j'habite.

Je ne l'aime pas..

Mon âme infiniment agitée n'y trouve pas de repos.
Je referme la porte derrière moi et sors dans la rue.

L'esprit en déroute, je foule de mes pieds amaigris
la chaussée asphaltée brûlante de soleil.

Un passant me salue :

« Bonjour ! Beau temps, n'est-ce pas ?... »

La Nature est étonnante : elle a doté chaque langue
d'expressions particulières.

Tous deux nous savons qu'il fait beau ;
Tous deux nous voyons clair, et cependant,
il apparaît indispensable de le confirmer :

« Beau temps, n'est-ce pas ? »

Oui, pour le Pays ou je vis il fait, ce jour, en effet,
un vraiment beau temps !

La France — jusque-là pieds et poings liés —
vient de briser ses fers, et,
rejette la dalle pesante qui écrasait sa poitrine...
Elle célèbre sa Victoire, et cette célébration
enivre la rue de son bruit de liesse.

On entend au loin les airs nationaux des Alliés, et
leurs drapeaux déploient des éventails aux fenêtres
de toutes les maisons.

Les soldats américains mâchant leur chewing-gum,
congratulent les Français.

La population entière répandue dans les rues
jette des fleurs sous leurs pas,
et envoie des baisers enthousiastes aux troupes
s'en allant vers les champs de bataille.

Victoire ! Victoire !

Le Soleil rit et la Terre se délecte.
La population s'abandonne au souffle d'une joie inhumaine.
Dieu veuille me pardonner :

Je ne suis ni méchant, ni envieux...
Sur terre chacun mérite sa part de bonheur. Cependant
mes propres douleurs me harcèlent, me troublent,
me bouleversent...

Français, je t'apprécie sincèrement, et je t'aime
non moins sincèrement. Tu sais ce que sont
la Patrie et son Indépendance.

La joie te rend aujourd'hui plus splendide que le Soleil,
et même les méchants te paraissent bons.
Je ne suis pas envieux, ai-je dit :
mais le chagrin étreint mon cœur...

Je n'arrive pas à proférer un mot, voire même un son !
Et, pourtant, combien je désirerais que tout le monde me
comprenne, et ressente ce qui affole mon cœur.
O que je voudrais parler, crier, pleurer pour apprendre
au Ciel et à la Terre

l'iniquité des choses d'autrefois,

l'iniquité des choses advenues...

Hélas, aujourd'hui, mon hôte au grand cœur, tu ne
 m'entendras pas — car j'ai mal...
 Voici la Tombe du Soldat Inconnu,
 ensevelie sous un monceau de fleurs multicolores.
 Voici les Champs-Élysées et les grands cafés resplendissants.
 De temps à autre la voix d'une mitrailleuse.
 L'air est encore empesté par le souvenir de la Mort.
 Le ciel d'azur est ponctué d'oiseaux argentés...
 Les bruits venant du Ciel et de la Terre
 s'affrontent et luttent.

Le Soleil incline vers l'horizon
 et l'agitation des vagues décroît.
 Tout semble rentrer dans le calme.

Les couleurs bleu-de-nuit montent et s'amoncellent,
 pendant que du fond des ombres lointaines et endormies,
 s'élève doucement dans l'arôme des fleurs.

la Fille à la face lumineuse.
 Elle enveloppe d'un frémissement violet l'air environnant
 et glisse vers moi avec son sourire rayonnant.

Et soudain tout est changé
 et le Ciel comme la Terre semblent avoir chaviré.

Le merveilleux a dépouillé son voile.
 Les Pèlerins du Silence se sont mis en marche...
 Et la Fille-Beauté me regardant de ses yeux débordant de
 souriante espérance, descendant des hauteurs sublimes,
 m'entraîne dans son sillage.

O, Caucase !

Tels des cyclopes vaincus se tiennent tes monts fiers...
 Des gorges sinistres les coupent.
 Des précipices remplis d'ossements fixent leurs yeux jaunes.
 A chaque pas, les cadavres abandonnés mordent la terre
 de leurs dents blanches.

Les débris osseux respirent de leurs poumons pourris
 les blessures du sol.
 Le silence célèbre ses noces de sang. Aux sommets des rocs
 les corbeaux, aux yeux injectés de rouge, continuent à
 monter la garde des abîmes du sacrifice.

Nous élevant au-dessus du monde puni de mort,

nous franchissons des espaces, et maintenant nous voici
dans un sentier étroit comme une lame et torsadé
comme une cordelière.

Là, tout respire la Vie ;
la verdure des forêts vierges nous accueille de sa sérénité
souriante d'hôte fastueux ; le soleil darde vers la terre,
par dessus les sept sommets des Sept Monts,
ses chauds rayons,
et la Beauté s'est faite : myriades de fleurs...
Voici des maisons, toutes pavoisées et serrées dans un
coude-à-coude amical...
des villages semblant converger vers la grande cité,
dont on croit entendre battre le cœur...
Un son de cloches merveilleux porte sur ses ondes
les souhaits de bonheur.
La foule délirante de joie jette des brassées de fleurs à la
reine de la liberté, et les chants fusent partout.

Ma maison natale !...
Le Toit sous lequel je vis le jour ! La famille depuis si
longtemps, si impatientement, attendue ! J'y cours affolé,
le cœur battant de plus en plus fort !
Je pousse la grille d'entrée... Je traverse la cour avec tant
de précipitation que j'en viens à croire que les portes de la
Maison se sont ouvertes sans que je les aie touchées...
Je m'arrête pétrifié. Ma vieille mère étendue sur son lit
est là,
tournant vers moi son visage émacié... Que lui dire ?...
par quels mots commencer ?...
Son corps affaibli repose, léger, presque fantomatique...
Elle tremble et essaye vainement de se soulever :
« Mon fils ! Mon fils ! Ne dis plus que Dieu n'existe pas ! »
« Je ne voulais pas partir sans t'avoir revu !... Béni soit
le Seigneur, et grâces Lui soient rendues... »
Elle balbutie, son murmure est pénible :
« Ne pars plus jamais... ne laisse pas s'éteindre l'âtre
familial... Ton père sur son lit de mort t'espérait encore !... »

Elle a encore beaucoup à dire. Mais les forces la trahissent...
Son corps devient froid... Ses yeux grands ouverts continuent
à m'adresser le message éternel du sourire d'une mère
à son enfant.

« Maman » ! « Déda » !...

Le cri jaillit de mon cœur m'éveille à la réalité.

Je regarde autour de moi.

Un passant me salue: « Bonsoir! Beau temps, n'est-ce pas? »

Je ne suis ni méchant, ni envieux...

Mais, j'ai mal...

Traduit par M. L. Z

სინამდვილიდან სინამდვილეში

ვუძღვნი ქეთევან დადიანის ასულს

უცნაურია ჩემი ბინა, არც მე მიყვარს და არც მას ვუყვარვარ, უერთმანეთოდ ვერც ერთი ვერ ვძლებთ. არ ისვენებს მასში ეს უსაზღვრო მშფოთავი სული. მსურს გავექცე, ვისმეს რამე ვუთხმო, ვისმეს რამე მოვუთხრო, იქნებ!... ვინმემ რამე გამოიგოს. რა?... არც მე ვიცი!

ნერვებ აშლილმა გამოვკეტე ოთახის კარი და გამოვედი ქუჩაზე. პარიზი ვრცელი და ლამაზი ქალაქია, ჩემთვის კი რამდენად შშვენიერი, იმდენად უხეში; რამდენად მომლიმარე, იმდენად სევდით სავსე, სხვისი სიცილი ჩემი ცრემლია. სხვისი ბედნიერება ჩემი უბედობაა და ასე ნერვებ აშლილი, გონება აფორიაქებული მივაბიჯებდი გამხმარ ფეხებს მზით გახურებულ ასფალტის ქუჩაზე.

გამარჯვება! მესალმება ფრანგი და თან დაუმატებს: რა კარგი ამინდია! ზრდილობის საკითხია, უნდა დავემოწმო. საკვირველია ბუნება: ყოველი სასაუბრო ენისათვის საკუთარი გამოთქმები მიუნიჭებია. ორივემ ვიციით, რომ კარგი ამინდია, ორივეს თვალები ჯანმრთელი გვაქვს. სიტყვით მაინც უნდა ითქვას: რა კარგი ამინდია! ამ ქვეყნისათვის მართლაც კარგი ამინდი იყო. ხელ-ფეხ გაკრულმა საფრანგეთმა ბორკილები შემოიხსნა, მკერდზე დაბჯენილი მძიმე ლოდი გადააგდო. გამარჯვებას ზეიმობდა. ზეიმი ქუჩებს ევიღ - ხივილით ათრობდა. შორიდან მოკავშირეთა ეროვნული სიმღერები ისმოდა. მათივე დროშები თვითიველ სახლის ფანჯრებზე შექოჩრილიყო.

ამერიკელი ჯარის კაცები „შენიგომის“ ღეჭვით ფრანგებს გამარჯვებას ულოცავდნენ. ქუჩაზე გამოსული მცხოვრებნი ყვავილებს უფენდნენ და კოცნას უგზავნიდნენ ბრძოლის ველისაკენ მიმავალ ჯარისკაცებს. გამარჯვება! გამარჯვება! ყველგან ისმოდა ეს სიტყვა. მზე იცინოდა. მიწა ხარობდა. ხალხი სიხარულის ზეციურ აღმაფრენას მიცემოდა. ჩემთვის ყოველი წუთი ეკალი იყო, ჩვენ სისხლიან, მოურჩენელ ჭრილობებზე მტკივნეულად ამოსული.

ღმერთო, შემინდე! ბოროტი არა ვარ. არც შურიანი. ქვეყნად ბედნიერების ღირსნი ყველანი არიან. არამც თუ ადამიანნი, ცხოველნიც კი. მე ჩემი საკუთარი ტკივილები მაწუხებდა, მაშფოთებდა, მალეღებდა კიდევ. საშინელი გულ შემზარავი სურათი იდგა ჩემ წინ. დიდების მწვერვალზე უსიარცხვილოდ ასულიყო ხალხის სისხლით შეღებილი უცნაური დროშა. დროშა მოღალატის, დამპყრობელის, დაუზოგავი დესპოტის. თვითელი მისი შერხევა საშინელ მოვონებებს იწვევდა: „თებერვალი“, „ავვისტო“, „კოჯორი“, „ტაბახმელა“. საბურთალოს მიდამო და კადვე რამდენი ასეთი? რამდენი ასეთი სისხლის ფერი სურათები ერთმანეთს ცვლიდა ამ უცნაურ დროშის ფერდობს, რომლის შუა ადგილს ვადაკვანძულ ძელებივით ჩასჭიდებოდა ჩაქუჩ-ნამგალი.

გულ წრფელად გაფასებ და გულ წრფელად მიყვარხარ ფრანგო, რადგან შენ იცი, თუ რა არის სამშობლო. მისი თავისუფლება. დღემდე ჩვენ ორივენი ერთ ბედ ქვეშ ვიყავით. აწ შენ მე ვერ გამოიგებ, რადგან შენ ხარობ, ზეიმობ: რადგან შენ მოიპოვე: შენი ოჯახი, დედ-მამა, საკუთარი ქვეყნის თავისუფლება; დღეს შენ სიხარულით მზეზე უფრო სპეტაკი ხარ. ბოროტიც კი კეთილად გეჩვენება. არ მშურს, მაგრამ გული მტკივა, რადგან ჩემი მეგობრის მეგობარი ადამიანური გრძნობის მოსისხლე მტერია. მე კი ხმა ვერ ამომიღია. სიტყვაც ვერ მითქვამს. ჰო... როგორ მინდა ყველამ გაიგოს, ვანიცადოს, რაც გულს ასე მიტოვებს, მიმლულვარებს. ჰო... როგორ მინდა ვთქვა, ვიყვირო, ვიტროო კიდევ, რომ ცამ და

დედამიწამ იგრძნოს ამ ქვეყნიური უკულმართობა. მაგრამ ამა-
ოდ... დღეს შენ ვერაფერს გამიგებ, კეთილშობილო მასპინ-
ძელო, რადგან შენ წინ ჩემი მკვლელის დროშა დგას, შენთვის
ჯერჯერობით უცნობი „წმინდანია“ იგი, ჩემთვის დიდი ხნის
იღდა ისკარიოტელი.

უცებ ხმა გაისმა: „მძიმედ დაჭრილები უნდა იყვნენ!“
ხმაურმა შემარხია. გამოეფხიზლდი. თვალები ამოვიშმუშნე.
ქუჩას ფრთხილად მიჰყვებოდა წითელი ჯვრის ავტოები. ერთ-
ხელ კიდევ გადავხედე საერთო სიხარულს. მძიმე ნაბიჯით ჩა-
ვედი მიწაში, მეტროში შევედი. რამოდენიმე ხნის შემდეგ
„ვარსკვლავის“ მოედანზე ამოვედი. აქაც იგივე სანახაობა.
ვეებერთელა ქუჩები. ხალხით გაჭვირთული მოედანი. უსახე-
ლო ჯარისკაცის საფლავი. ირგვლივ ათას ფერი ყვავილები.
ეიფელის კოშკი. ელისეს მინდვრები. აკეკლუცებული ყავახა-
ნები. ხან დაშვით მოისმის ტყვიამფრქვევის ხმა. ჰაერს წამ-
ლავს სიკვდილის მოგონება. ლურჯ ცას ვერცხლის ჩიტები-
ვით შესევია მოკავშირეების ყუმბარათა მშენი თვითმფრინა-
ვები. ზეცის და მიწის ხმაური ერთმანეთს ეჯიბრება.

მზემ ჰორიზონტისაკენ გადაიხარა. მღელვარე ტალღები
ნელ-ნელა დამშვიდდა. თითქოს ყოველივე მიწყნარდა. ლურ-
ჯი ფერები აღმართებად გადაიშალა. სიჩუმე ზეციური საი-
დუმლოებით შეიშალა. შორს მიძინებულ აჩრდილებში სურ-
ნელოვან ყვავილებიდან სახე სხივისანი ქალწული წამოდგა,
იის ფერი მღელვარება გარემოს შემოახვია, ბრწყინვალე წმინ-
დანის ღმილით მომიახლოვდა. ყველაფერი გამოიცვალა,
თითქოს ცა და დედამიწა შემოტრიალდა. საკვირველებამ
მკერდი გაიხსნა. სიჩუმის მგზავრები ამოძრავდნენ. მწვანე ფე-
რებად გადაშლილ ჰაეროვან სივრცეში მიმიძლოდა მშვენიებით
მოსილი ქალწული. თვითებული მისი მიხვრა-მოხვრა ღვთიურ
საიდუმლოებით იყო შეპყრობილი. მომლიმარე, იმედიანი
თვალებით შემომხედა. ბრწყინვალე სხივებში გახვია სულ-
მნათი სათნოება. მალლობიდან დაეშვა და მეც გამიყოლა. და-
მარცხებული დევებივით იდგა ამაყი მთები. მათ შორის სა-

შინელი უფსკრულები გადაშლილიყო. ძვლებით ავსილი ნაპრალები ყვითელი თვალებით გამოიყურებოდა. ყოველ ფეხის ნაბიჯზე, მიტოვებული გვამები თეთრი კბილებით მიწას ჩასჭიდებოდნენ. ძვლების ნამტვრევები დამპალი ფილტვებით სუნთქავდა მიწის ქრილობებს. სიჩუმეს სისხლის ფერი ქორწილი გაემატა. კლდის მწვერვალებზე წითელი თვალებით ყვავ - ყორნები დარაჯობდნენ მსხვერპლად ქცეულ გაუფალ უფსკრულებს. ჰაეროვან სიმსუბუქით გაცვილდით სიკვდილით დასჯილ ქვეყანას. მიწაზე ფეხი მოვიკიდეთ. წელი ნაბიჯით შევუდექით ვერცხლის ღვედივით დაკლანჩილ საცალფეხო გზას. მიდამო სიცოცხლეს სუნთქავდა. გაუფალი მწვანე ტყეები დარბაისელი მასპინძლის სიხარულით გვეგებებოდა. მზე შვიდი მთის შვიდი მწვერვალიდან დედამიწას მხურვალე სხივებს აფრქვევდა. მეგზური ქალწული წინ მიმიძლოდა. მისი ზეციური ელვაება უფრო ალამაზებდა ისედაც ლამაზ და ათას ფერ ყვავილებით მორთულ ქვეყანას. ყველა ხარობდა. ხალხი გაცივებული სხეულით ეალერსებოდა მხურვალე მზის სხივებს, სამ ფერად მორთული სახლები მეგობრებივით ჩამწყრივებულებიყო.

სოფლები ქალაქისკენ მიიწეედა. იძვროდა ქალაქი. გული. ოქროს სასახლე დებულობდა ღირსეულ შვილებს. შორს, მთის მოხუც მკერდზე ციმციმებდა ოთხი სიტყვა: „ჩენი თავი ჩვენზე გვეყუდნეს“. ქალაქის ირგვლივ აშვებული ზარების ხმა ზეციური სიფაქიზით მცხოვრებთ ბედნიერებას ულოცავდა. ქუჩაზე გამოსული ხალხი ყვავილებს უფენდა თავისუფლების დედოფალს. მრავალ ეამიერ ისმოდა ყოველ მხრიდან. მე კი სულ სხვა სიხარული მიზიდავდა. ჩემი ბინა, დაბადების პირველი კარავი, ამდენი ხნის ლოდინი მშობლიური სიყვარული-სა. ვაშმაგებული მივიწევი. გულის ცემით მივუახლოვდი და მოუთმენლად ჭიშკარი შევალე... ეზო თითქმის სირბილით გადავიარე. ეს ისე ჩქარა მოხდა, მგონი სახლის კარი ხელ შეუხებლად გაიღო. გავშეშდი. ადგილიდან ველარ დავინძერი. ლოგინში იწვა მოხუცი დედა. არ ვიცი, რა უნდა მეთქვა. საიდან დამეწყო. გამხდარი სახით ჩემსკენ გადმოიხედა. აკან-

კალდა. ძალა მოიკრიბა. მაგრამ აწაოდ. სუსტი სხეული მო-
ჩვენებასავეით დაესვენა.

— შვილო... შვილო... ნუ იტყვი, რომ ღმერთი არ არ-
სებობს. უშენოდ სიკვდილი არ მინდოდა. ვენაცვალე გა-
მჩენს! დაილოცა მისი მადლი! — სიტყვებს მისუსტებულ
ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ძლივს გამოთქვამდა.

— შვილო! აწი არ მოცილდე ოჯახს! კერა არ გააცივო.
მამა-შენი რომ კვდებოდა, შენი იმედი ჰქონდა...

კიდევ უნდოდა ბევრი ეთქვა, მაგრამ ძალა აღარ შესწევ-
და, სხეული გაუცივდა. ღიად დარჩენილი თვალები მშობლი-
ური ღიმილით შემომყურებდა.

— ვაიმე, დედა! — გულიდან ამოგლეჯილმა ტყვიელმა
გამომავთხიზლა. გაკვირვებულმა მივიხედ-მოვიხედე. მოედანი
დაცალკეობული იყო. შემთხვევით ნაცნობმა სახემ გაიარა.
სალამი მომცა და თან დაუმატა:

— კარგი ამინდია! არა?

მეც დავეუბრუნე და სინამდვილიდან სინამდვილეს და-
ვუბრუნდი.

1944 წ. პარიზი.

შინაარსი

გვერდი

უცხო შორეთში	11
თბილისი (საიუბილეო მიმართვა უცხოეთიდან)	13
პრეზიდენტის დასაფლავება (1968 — 1953)	15
ჭაიხოსრო ჩოლოყაშვილს (ეროვნული გმირის ხსოვნას)	17
მარიამ დედოფალს (გარდაცვალებიდან ისი წლის თავზე)	19
ევგენი გეგეჭკორს	21
დამწეიდობება	23
უკანასკნელ წუთამდე	27
დაკვიმადლებთ	29
ზამთარი	31
საიდან — სად	33
ორი ღამე	34
გაზაფხული	35
ერთი მარცვალი	36
გიჟს მეძახიან	37
სასაფლაოდან	39
წყალ წაღებულნი	40
ძალღუერი	41
ღამე განთიადისკენ	42
მთაწმინდას	44
სამშობლოს	46
სურათები სოფლის ცხოვრებიდან	48
დღეს დაეფინა	50
რისთვის ვხელობ	51

პოეტი „ლურჯა ცხენების“	52
არა აზადროს	53
ქარი	55
უკანასკნელი იმედი	56
უკანასკნელი სადღეგრძელო	58
იდიდე მარად ჩემო სამშობე	50
ლოცვა უცხოეთიდან	61
იროშშიმა	63
მისი მზე	64
მიხეილ წერეთლის ხსოვნას	
სურათი	65
კლოშარი	66
ლოდინი	68
პოეტი ეფემერი	69
შემოდგომა	71
საჭატველოდან	73
დედის დარიგება	75
ლეველი	77
შორს	80
იქნებ ვიშვი	82
ხმა სამარიდან	83
აპრილის სუფრა	85
ვიქტორ ნოზაძეს	87
პოეტები სამსხვერპლოზე	89
ქუთაისი	90
შობის ხე (ეუძღენი ოთარ ზურაბიშვილს)	92
გაზაფხულის საწყისი	94
დავით გუჯამიშვილს (დაბადებიდან 250 წლის თავზე)	95
სელა წუთებისა	97
გრიგოლ რობაქიძეს	98
ვაშლის ქურდი	99
მხატვარი (ეუძღენი ლიდა ნოზაძისას)	100
შემოდგომა იმერეთში	101
ქუთაისი	103

ორი ობოლი	104
საავადმყოფო — სიჩუმე	106
ორმოცი წელი	109
იმერეთი	110
ღმერთო დალოცე	113
ქალაქი	114
ატომიური დასასრული	115
თვალთ მაქცურად	117
ქედვა	118
ბევრი ვილოცე	120
სიყვარული	121
პოეტის აღსარება	122
დოდო ამილახვარის ასტ.	124
ვარდის ვარამი	125
საჩუქარი	126
დაუსვენარი დასვენება	127
დაცილებულ მეგობარს	128
ერთი ღამის დასასრული	129
წმინდანის ჯვარი	130
შენი სახელით	131
ღიდ ოსტატს	132
ვინღა გადარჩა	134
ბულონის ტყეში	136
პირველი წუთი ახალი წლ	137
ქალაქის ღამე	138
ჩემს გარდა	139
მწუხრის ხე	140
ღამე ახალი წლისა	141
აფრიკის იღუმალი	142
გივი ყიფიანს	143
ნათელას ნათლობა	144
მ'ხე	145
სტალინ	146
დავითი და კონსტანტინე	147

თებრონე მიდის წყალზედა	149
საუბარი მარჩიელთან	150
შინაბერას	154
შალვა ამირეჯიბს	156
უცხოეთს	158
უკანასკნელი როკვა	160
სიმშვიდე	162
მზეს ვაუტყდა	163
ლუჯი ტერფები (ვუძღვნი ეთერ ფაღავეს ასულს)	164
უცნაურად წახვედი	166
ასი წლის პოემა	167
უცხოელის ლოცვა	171
ჭარხანაში (ვუძღვნი თ. ჭ.)	173
კატა მტრედს იჭერს	175
ილიას	176
მზე მწვავს	178
შეკითხვა ვ. ნ-ს	179
ვიფელის კოშკიდან	180
შრომის ძვლებზე ანაგებს	181
მე კალმით ვკინძავ	183
ლ. ბ.	185
დრო გარდასული სინამდვილე	186
კიდევ ახალი წელი	187
შავი საათი	188
სააგარაკო წიგნაკიდან	190
ადამიანი	191
ვინ თქვა	192
შემობრუნება	193
პროკოფი აბულაძეს (რეო ამონი)	194
შემოდგომაა	195
სალამოედება	196
კოცხალ საფლავს	197
უცხოვრების აზრი	198
დაუსრულებელ სამსხვერპლოდან	199

სმენა სიჩუმეს	203
ორი მეთელე (აკაკი წერეთლის დაბადების 120 წ. თავზე)	205
მე ვეძებდი	207
გარეთ წვიმაა	208
ცვალებადი	209
ბენახშირე (ვუძღვნი ვიქტორ ზომერიკს)	211
ძმათა სასაფლაოზე	213
განწირული მასპინძელი	214
არარაობის კირისუფალი	216
მოჩვენებითი მოგზაური	217
სიკოცხლის საწყისიდან	219
დღეს შენ ბურუსში	222
ვხედავ ლამეა	223
ნოე რამიშვილს (გარდაცვალებიდან ოცი წლის თავზე)	224
რად მიცინი	226
განუწყრელ ძმებს	227
პოეტ ქიმერიძეს (პასუხად)	229
პასუხი გიორგი ნოზაძეს	230
რცინე	231
პოეტი პირველი	232
დაცილებულ მეგობრებს	233
მზე მეზღვაური	235
უბინაო ყვავილები (ს. ბერეჟიანის და ს. კასრაძის ხსოვნას)	236
პური და საწამლაგი	237
მეთარე აბჯარას სიმღერა	238
დავით ხელაძეს	239
განსხვავება	240
ალექსანდრე ჟანულიძეს	241
ლამე ვარდის თვეში	242
ათი ივლისი	244
რცდაექვსი მაისი	245
ქედია-ს, გაუგზავნელი შაირიდან	247
გამარჯვების შედეგი	248
აღსასრულის აჩრდილი	249
	277

ჭედეა შაირში	250
უხილავ დედოფალს	251
შენი — ჩემი	253
იმედი	254
ვაჟკაცის გარდაცვალება (ვუძღვნი კ. ქოჩაკიძეს)	255
წერამ ამიტანა	257
ვრიგოლ რობაქიძე — შაირები გიორგი ყიფიანისა (მეორე წიგნის პირველი წინასიტყვაობა)	258
De réalité en réalité	261
სინამდვილედან სინამდვილეში	266

მივიღე წიგნის გამოცემის სასარგებლოდ —

პარიზის ქართული სათვისტომოს გამგეობის წევრებისაგან	110
ალექსანდრე და მზია დონდუასი	200
ლევან და ზეინაბ ზურაბიშვილისა	30
ნოე ცინცაძე	100
გიორგი და ლიდა ნოზაძისა	30
ვიქტორ ნოზაძე	20
ჭეთევან დადიანის ასული	30
მიხეილ ქავთარაძე	30
მარიამ ლოლობერიძის ასული	20
ალექსანდრე ფანჩულიძე	100
დავით ყურულაშვილი	50
აკაკი გამსახურდია	50
ვიქტორ ხომერიკი	100
მიხეილ ვრიგოლია	10
ირაკლი ჯაფარიძე	50
ნიკოლოზ ბოკუჩავა	30
„ჩვენი დროშა“	30
არჩილ გედევანიშვილი	50
პაველე სარჯველაძე	10
მიხეილ სტურუა	100
ვალეკო წილოსანი	100
რაქდენ არსენიძე (†)	50
ქრისტეფორე იმნაიშვილი	50
მიხეილ და ელენე ცაგარელისა	30
ალექსანდრე (საშა) მელიაძე	25

„ბედი ქართლისა“	30
ჯაბა ხაბულიანი	30
აკაკი შავგულიძე	100
გიორგი კორძახია	40
რუბენ ყიფიანი (†)	50
გიორგი გრიგოლაშვილი	30
გიორგი შანშიაშვილი	30
დავით ჟორდანი	10
ლევან ბალანჩივაძე	50
მიხეილ მიმინოშვილი	30
არჩილ დადიანი	20
შოთა აბაშიძე	20
გიგო ჟორდანი	30
გრიგოლ (გრიშა) გვეჯაძე	30
ალექსანდრე (შურა) ნაკაიძე	100
პროკოფი ინწკირველი	50
გიორგი წერეთელი	50
კაკო აღშიბაია	50
ალექსანდრე შათირიშვილისა და მისი ოჯახისაგან რუბენ გივი ყიფიანი	50
ყიფიანის ძვირფასი ხსოვნისათვის	150
მიუნხენის რადიოგადაცემის რედაქციის თანამშრომ- ლები	100

თვითუღს და ყველას ჩემ უღრმეს მადლობას მოვახსენებ
ნივთიერი დახმარებისათვის.

პატივისცემით გიორგი ყიფიანი

И.М.П., 40, rue des Jeûneurs — PARIS-2^e

NK 367

